

თაბილა ცაგარეიშვილი

ტრადიციული კულტურა
და ეკონისტიმები

თბილისი
2000

574.4
5(479.22)
ც 132

ნაშრომში თეორიულ, ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში განხილულია ეთნოსისა და ბუნებრივი პირობების ურთიერთკავშირის პრობლემა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული შრომითი ჩვევების ტრადიციული ხასიათი, ინოვაციური პროცესები და მათი გავლენა ეკოსისტემებზე.

В исследовании в теоретическом, конкретно-историческом и современном разрезе выдвинута на первый план проблема взаимосвязи этноса с природными условиями, традиционный характер исторически сформированных трудовых навыков, инновационные процессы и их влияние на экосистемы.

In the research, the problem of interrelation of an ethnos with natural conditions, traditional system of historically developed habits of work, innovation processes and their influence upon the ecosystems, is advanced to the forefront in theoretical, specific-historical and modern contexts.

რედაქტორი: ს. ჭანტურიშვილი პროფ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
Editor: S. Chanturishvili Dr. Sc. Hist.
Редактор: С. Чантуришвили проф. доктор исторических наук

რეცენზენტები: ბ. ნემსაძე დოც. ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
Reviewers: N. Nemsadze Dr. Sc. Biology
Рецензенты: Н. Немсадзе Доц. Кандидат биологических наук

ბ. გამკრელიძე პროფ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
B. Gamkrelidze Dr. Sc. Hist.
Б. Гамкрелидзе проф. доктор исторических наук

ფოტო თ. ცაგარეიშვილი, Photo T. Tsagareishvili, Фото Т. Цагареишвили

ISBN 99928-0-119-0

ც 0503010000
M607(06)2000

© თამილა ცაგარეიშვილი
Tamila Tsagareishvili
Тамила Цагареишвили

© გამ. „მეცნიერება“ 2000
Pub. Haus “Metsniereba” 2000
изд. “Мецниереба” 2000

წიგნი გამოიცა ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების
ფონდის ხელშეწყობით.
ჩიკაგო, აშშ.

This publication has become possible thanks to the
John D. and Catherine T. MacArthur Foundation
Chicago, USA

Издание книги финансировано
Фондом Джона Д. и Кэтрин Т. МакАртуров
Чикаго, США

ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსა და ეთნოსის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის ურთიერთკავშირის პრობლემას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ცივილიზაციის მზარდი ტემპები მკვეთრად უცვლელს სახეს ბიოსფეროს, რამაც, თავის მხრივ, დარღვეული ეკოსისტემები წარმოშვა. კაცობრიობის წინაშე წამოიჭრა მტკივნეული ამოცანა – დედამიწის ეკოლოგიური სტაბილურობის დაცვისა და შენარჩუნების საკითხი. ამიტომ ხალხური ტრადიციით შემონახული ბუნებათ-სარგებლობის კულტურას, მეცნიერული ღირებულების გარდა უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ამავე დროს საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია დღის წესრიგში აყენებს ლოკალურ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში ჩამოყალიბებული ჩვევებისა და ტრადიციების გათვალისწინებით ახალი ეკონომიკური სტრუქტურის შექმნას, რომლის საშუალებით სახელმწიფო შესძლებს გადაჭრას ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანები, როგორცაა გარემოს ეკოლოგიური სტრუქტურის აღდგენა, მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, ტრადიციული სამეურნეო ფორმების განვითარება.

ამ მიმართულებით კვლევა მიზნად ისახავს გამოვლენილ იქნას ქართველი ხალხის ბუნებასთან ურთიერთობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული კულტურა, შრომითი ჩვევების ტრადიციული და ინოვაციური ხასიათი და მისი გაეულენა რეგიონის კულტურულ ლანდშაფტზე.

საკვლევი პრობლემის სპეციფიკურობის გამო კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ არაგვის ხეობა, რადგან საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ძირითადი თავისებურება – მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა ნათლად იჩენს თავს თითოეული ხეობის შიგნით. თავის მხრივ, ცალკეულ ხეობაში დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი კონკრეტული გარემოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის ძირითადი კანონზომიერება.

თანამედროვე სიტუაცია ავლენს ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის პროცესს, დისბალანს მოსახლეობის მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას შორის. თემის აქტუალობას მნიშვნელოვნად ზრდის ენერგეტიკის განვითარებასა და ბუნებრივი პირობების დაცვას შორის არსებული დაპირისპირება, რომელიც თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით გაძლიერდა. როგორც დღევანდელია

გეიქენებს, ბუნების დაცვა მეორე პლანზე გადასწია ენერგეტიკულმა კრიზისმა და ხელი შეუწყო ეკოსისტემის რღვევას. არაგვის ხეობაში ჯერ უინეალის წყალსაცავის, შემდეგ გზის და გაზსადენის მშენებლობისას მასიურად გაიჩეხა ტყე, დაიტბორა სოფლები, საეარგულები, სათიბები, რასაც ბუნებრივია მოყვა მოსახლეობის უკმაყოფილება. ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებული უთანხმოება, განსაკუთრებით მკვეთრად ელინდება მაშინ, როდესაც საზოგადოების საქმიანობა და უნარი არ უტოლდება ბუნების მიერ საზოგადოებისათვის მიცემულ შესაძლებლობებს.

ნაშრომში განხილული კულტურულ-ისტორიული საკითხები ეკოლოგიური ასპექტის შემცველია და უშუალოდ უკავშირდება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემას. წინა რიგში დგება ეკოლოგიის სოციალური ასპექტი და მეტ აქტუალობას იძენს ბუნებათსარგებლობის ტრადიციული კულტურის ემპირიულად შემუშავებული წესჩვეულებები, რომლებიც გამოაქვნიან სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ურთიერთთანაშეწყობას; მეორე მხრივ, თანამედროვეობაში მიმდინარე ბუნებრივ-ანთროპოგენულმა პროცესებმა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური თანაფარდობის რღვევა გამოიწვია და გახდა კონფლიქტის მიზეზი ბუნებასა და ადამიანს შორის.

ნაშრომი ეყრდნობა 1999–2000 წ.წ. არაგვის ხეობაში ჩენს მიერ შეკრებილ ახალ ეთნოგრაფიულ და საილუსტრაციო მასალას, რომელიც აქვინს ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ კულტურას და თანამედროვე ეკოლოგიურ სურათს. ასევე დაგუბებული წყალსაცავის ზეგაქვნიან (წყლის დიდი მასის ზეწოლა ნიადაგზე, წყალსაცავის სარკიდან აორთქლებული წყლის მიერ ტენიანობის და ჰაერის ლოკალური შეცვლა და ა.შ.) ადგილობრივ ბუნებრივ გარემოზე, საცხოვრისზე. მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

მონოგრაფიაში პრობლემასთან წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალები პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ასევე ფართოდაა გამოყენებული როგორც სპეციალური, ასევე მომიჯნავე დარგების სამეცნიერო მონაცემები.

მასალის კლასიფიკაციისას გამოიკვეთა ორი პერიოდი: ერთი ასახავს გასული საუკუნის დასასრულისა და XX ს. დასაწყისის, მეორე – დღევანდელ ეკოლოგიურ სურათს. მასალის ამგვარმა გააზრებამ საშუალება მოგვცა გენეზისურ ტრილში შეგვესწავლა ბუნებათსარგებლობის პრობლემები, გვეჩვენებინა როგორც მოვლენის ჩასახვისა და ტრადიციულად დამკვიდრების, ისე მისი განვითარებისა და თანამედროვეობაში ცვლილების გზები.

საკვლევი რეგიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნობა. არაგვის ხეობა მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. არაგვის ხეობას ქმნის მდ. არაგვი, რომელიც შედგება მოიულეთის (თეთრი), გუდამაყრის (შავი), ფშავის და ხეესურეთის არაგვისაგან. ეს ოთხი არაგვი უინეალის სამხრეთით ერთ მდინარედ შეკრული მერიდიანულად მიედინება ქ. მცხეთამდის.

არაგვის ხეობის ტერიტორია, რომელიც საქართველოს ტერიტორიის 4,3%-ს შეადგენს, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ძირითადად მოიცავს დუშეთის რაიონს. საისტორიო წყაროებით ხსენებულ რაიონზე მოდის დიდი ნაწილი საქართველოს ოდითგანვე დაწინაურებული ისტორიული პროვინციისა, რომელიც „შიდა ქართლად“, ქართლის „შიდა ქვეყნად“ არის ცნობილი და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში რამდენიმე თემისაგან შედგებოდა: ბაზალეთ-არაგვისპირი, წობენი, ფხოვი (ფშაე-ხეესურეთი), ჭართალი, მთიულეთი (ხადა-ცხაგატი), გუდამაყარი. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი. ტრადიციულად არაგვის ხეობა ტრანზიტული ტერიტორიის როლს ასრულებდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის შორის იმიტომ, რომ აქ გადიოდა კავკასიის ერთ-ერთი უძველესი სახმელეთო – სატრანსპორტო გზა.

საკვლევი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ყველაზე სახასიათო ნიშნებია: მისი განლაგება რესპუბლიკის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა და მეტ-ნაკლებად იზოლირება ბარისაგან. გარდა ამისა, ჩრდილოეთით მალღდება ამ ტერიტორიის ჰიფსომეტრია, ვიწრო ხდება მდინარეთა ხეობები და იზრდება ფერდობების დახრის ხარისხი – იგი ტიპური მთიანი რეგიონია. შედარებით კარგადაა ათვისებული რეგიონის მთისწინა და დაბალი ზონა, არაგვის ქვემო დინება და ბაზალეთის პლატო – უინეალამდე. სოფლები განლაგებულია ხეობათა ძირში ან ფერდობებზე. უმეტეს შემთხვევაში დასახლება ცალკე „ნების“ სახით შეჭრილია მაღალ მთებს შუა მდინარეთა ხეობებში. საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ტერიტორიული გადანაცვლების ახალი სახეობა ჩამოყალიბდა – მთის ვიწრო ხეობებიდან მდინარეთა ნაპირებზე, სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ, რის შედეგად გაიზარდა მდინარისპირული დასახლებანი.

რეგიონის რელიეფი ტიპური მთიან-ეროზიულია, ძირითადი ოროგრაფიური ნიშნებია: ღრმა ხეობები და მათი წყალგამყოფი ეროზიული ქედები. ძლიერი დახრილობა და დანაწევრება უხვი ნალექიანობის პირობებში იწვევს ეროზიული პროცესების განვითარებას, ხრამებისა და მეწყერების წარმოშობას, ქანის გაშიშვლებას. (რამაც ბოლო პერიოდში დიდი მასშტაბები მიიღო უინეალის წყალსაცვიდან აორთქლებული წყლის დიდი მასის კონვერგენციის გამო)

რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცენარეულ საფარს, სათიბ-საძოვრებსა და ტყეებს, რომელიც მთელი რესპუბლიკის ტყეების 5,1%-ს შეადგენს, ტყის მასივები მოქცეულია ზღ.დ. 1000-დან 2000-მდე, რომელთაც ძირითადად ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი ფუნქციები ეკისრება.

ჰაეა ნოტიო სუბტროპიკულიდან – მშრალ სუბტროპიკულზე გარდამავალია. სიმაღლის ზრდასთან ერთად ჰაეა მკაცრდება, მატულობს ზამთრის ხანგრძლივობა. ამიტომ მაღალმთიანი ზონა 1200 მ ზღ.დ. ზემოთ ხელს არ უწყობს ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას, რის გამოც მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა.

მრავალფეროვანი ბუნებრივ – ლანდშაფტური პირობები განსაზღვრავს როგორც ბარული, ისე მთური მეურნეობის ტიპს. არაგვის ხეობის ბარის ზოლში მისაქციელიდან – ანანურამდე მემინდერეობა-მევენახეობაა გაერცვლებული, მთიან ზოლში – შერწყმულად მესაქონლეობა-მემინდერეობა.

საკვლევი რეგიონის ტერიტორიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მცირემიწიანობა. სამეურნეო სავარგულები შეადგენს მთელი მიწის ფონდის 42%, და კიდევ უფრო მცირეა მიწის ფონდში დასამუშაებლად ეარგისი მიწების ხევედრიით წონა, რადგან ჭარბობს მაღალმთიანი ტერიტორია. ამავე დროს დამუშაებული ფართობების შემცირება ხდება ეროზიული, მეწყერული და სხვა ბუნებრივი პროცესების შედეგად. დასამუშაებელი ფართის შემცირება გამოიწვია აგრეთვე უინვალის ჰიდროკვანძის აგებამ, რომლის მშენებლობას მოჰყვა სამი დასახლებული პუნქტის და საკმაოდ დიდი ფართის სავარგულების დატბორვა.

რთულმა რელიეფურმა, კლიმატურმა პირობებმა განსაზღვრა ნიადაგებისა და მცენარეულის მრავალფეროვნება, რაც ძირითადად ბუნებრივი ლანდშაფტების ევრტიკალურ გაერცვლებას უკავშირდება. მაღალმთიან ქედებზე გაერცვლებული მთა-მდელოთა ნიადაგები, ძირითადად დაფარულია საძოვარ-სათიბებით.

ტყის მასივები მოქცეულია ზღ.დ. 1000–2000 მ შორის. მთის ტყეებს ძირითადად ენჭება ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი ფუნქციები. მთაგორიანი რელიეფის პირობებში, მცენარეული საფარი არა თუ იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, არამედ სისტემატურად აუმჯობესებს მის შედგენილობასა და სტრუქტურას.

მოსახლეობა იყენებს ტყის მცენარეულობის მერქანს, მის ნაყოფს საკვებად, სამკურნალოდ. ტყე იყო ბაზა გარეული მეხილეობის, შემგროვებლობის, მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ამავე დროს წლის მანძილზე ემორჩილება სეზონური მოხმარების ფორმებს და ასრულებს დამხმარე მეურნეობის ფუნქციებს; როგორცაა: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა, საწვავ-სათბობი მეურნეობა,

ბინათმშენებლობა და ა.შ. ბუნების გამოყენების ხალხურ კულტურაში ელინდება გარემოს შეცნობისა და პრაქტიკულად მისი გამოყენების ჩეეები. ბუნებათსარგებლობის ტრადიციული ხაზი ემორჩილება არა მარტო ადამიანის მოთხოვნილებებს, არამედ ბუნების კანონებსა და შესაძლებლობებს, ითვალისწინებს რელიეფს, ნიადაგის პოტენციურ შესაძლებლობებსა და სასიცოცხლო არეალს.

ადამიანის მჭიდრო კავშირი ბუნებასთან შეიგრძნობა ზნეობრივ შეგნებაში, აღზრდაში, ურთიერთობის ფორმებში. ხალხური გაგებით, ბუნება ადამიანის სიცოცხლისუზრუნველყოფის წყაროა, მისი არსებობის უმთავრესი პირობაა.

მცენარეების განსაკუთრებულმა როლმა ადამიანის ცხოვრებაში მითოლოგიზაციის ობიექტად აქცია არა მარტო მცენარე თავისი ანატომიური აგებულებით, არამედ მისი ნაყოფიც. ქართველი კაცის არსებობის ადრეულ ეტაპზე ტყე მხოლოდ არსებობის წყარო როდი იყო: მცენარეთა განვითარების მრავალფეროვნება, ხის ეგეტიაციასთან დაკავშირებული ცალკეული მოვლენები, ბოტანიკური თვისებები სხვა ესთეტიკურ განცდასთან და პრაქტიკულ საჭიროებასთან ერთად ერთგვარ შინაგან ემოციასაც იწვევდა, რითაც საფუძველი ეყრებოდა ხეთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს.

საკელე რეგიონში სამლოცველო ხატების გარშემო მდებარე ტყეები ბევრ ადგილას დღემდე დაცულია „წმინდა ტყეების“ // „ხატის ტყეების“ სახელწოდებით, ცადაზიდულ მუხებითა და იფნის ხეებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დგინდება ლოკალური ვარიანტები, ელინდება ხის ჯიშის სხვადასხვა სახეობები, რომლებიც თაყვანისცემის ობიექტები იყენენ და დღემდე შემოინახა ყოფაში სხვადასხვა ვარიაციებით. ტრადიციულ წარმოდგენებში ხე გააზრებულია სიცოცხლის მარადიულობის, კეთილდღეობის იდეასთან, ამიტომ ხალხი „სალოცავად“ „წმინდა ხეებზე“ კიდებს ღეთაებისადმი შეთქმულ ნიეთებს, ფერად ნაჭრებს, მძიებს და ა.შ., რაც ერთხელ კიდვე ადასტურებს მოსაზრებას, რომ ტრადიციული ჩეულებები ხალხის ცხოვრების აქტიური ელემენტი და ამავე დროს სოციალური ნორმა – სიმბოლურ კატეგორიებზე ორიენტირებული, მეორე მხრივ – მცენარეულის თაყვანისცემის უძველეს პლასტებზე მიგეითითებს.

ეთნოეკოლოგიური კვლევის მიზანი და ამოცანები

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მომიჯნავე დისციპლინების შედეგად მრავალი ახალი მიმართულება განვითარდა. ამ ახალ დისციპლინათა აღმნიშვნელ სახელწოდებებში აშკარად ჩანს, რომ თითოეული მათგანი მომიჯნავე დარგების სინოეზის შედეგადაა წარმოქმნილი, მაგრამ სათანადო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის მოლიანად გამოკვეთილი მათი კვლევის საგანი, ამოცანები, მეთოდები.

60-70-იან წლებში ეთნიკური ეკოლოგია აღმოცენდა ეთნოლოგიისა და ეკოლოგიის გზაშესაყარზე. იგი თავისი კვლევის ამოცანად სახავეს ეთნიკური ჯგუფებისა და ეთნოსების სიცოცხლისუზრუნველმყოფი სისტემების თავისებურებათა შესწავლას იმ ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოში, რომლის გარემოცვაშიც იმყოფება ესა თუ ის ეთნოსი.

ეთნიკური ეკოლოგიის კვლევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ კულტურულ-ისტორიულ ასპექტებს, რომელიც საზოგადოებას შეცნობილი აქვს თავისი საწარმოო პრაქტიკით და რეგიონალური მეურნეობრივი კულტურის საფუძველია; მეორე მხრივ, ისინი ავლენენ მოცემულ ეკოლოგიურ ნიშში საზოგადოების გარემოსთან შეგუების ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ მხარეს, ე.ი. ეკოლოგიურ ფაქტორს.

ეკოლოგიური პრობლემები, რომლებსაც ადრე ლოკალური ხასიათი ჰქონდა, XIX ს II ნახევრიდან საგრძნობლად გაფართოვდა, ფართოდ გაერცვლდა და მსოფლიოს გლობალურ პრობლემად იქცა¹. ეკოლოგია, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების

¹ Жако Р., Основы экологии, изд. Прогресс, М. 1975; Гиренок Ф.И., Экология, цивилизация, ноосфера, М., 1987; Стефан Г. Спурр, Бертон В. Барнес, Лесная экология, М., 1984; Культура жизнеобеспечения и этнос, Ереван, 1983; Лисиенд, Современные проблемы этнографии, М., 1981; Будыко М., Глобальная экология, М., 1977; Лагидзе Т., Грузия, Экономика и окружающая среда, Докл. Европ. комиссии ООН, 1995; Экология человека, основные проблемы, М., 1988; Бромлей Ю., Очерки теории этноса, М., 1983; Котляков В.М., Иванов П.М., Бажев А.Б., Экологическое состояние природных ресурсов северного Кавказа и их рациональное использование, ЭВ, М., 1995, 1; Бобриков В., Рошин М., Экологическое сознание в традиционной культуре горцев Дагестана, ЭВ., М., 1995, 1; Анучин В.А., Географический фактор в развитии общества, М., 1982; Арутюнов С.А., Народы и культуры, развитие и взаимодействие, М., 1989; Гумилев Л.Н., Этногенез и этносфера, "Природа", 1970; Мисиге, Этнос и ландшафт, Изв. всесоюз. Геогр. общ., 1968 № 3; Арутюнов С.А., Культурологические исследования в глобальной экологии, Вест. АН СССР,

გარემოსთან ურთიერთობის შემსწავლელ მეცნიერებად ითვლებოდა, იქცა იმ ცენტრად, სადაც მოხდა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სინთეზი² და ერომანეს დაუკავშირა სხვადასხვა მეცნიერებათა კვლევის ობიექტი. წარმოიქმნა დედამიწაზე მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობა. იგი შეიჭრა ცხოვერების ყველა სფეროში და გასცდა მისი გაგების ტრადიციულ, წმინდა ბიოლოგიურ საზღვრებს. უახლოეს წლებში ფართოდ გავრცელდა კულტურის ეკოლოგიაც, რომელიც განიხილავს ეკოლოგიური და ჰუმანიტარული მიდგომის ურთიერთდამოკიდებულებას³.

კულტურის ეკოლოგიის მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბებისას ენის, ხალხის ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულებათა დაცვის და სხვათა გვერდით დგება ეთნიკური კულტურაც, რადგან საწარმოო მატერიალური, სოციალური, სულიერი ცხოვერების ტრადიციები ეროვნულ ენასთან ერთად ის ძირითადი ნიშნებია, რომლითაც ამა თუ იმ ეთნოსის, როგორც საზოგადოების განსაზღვრული ერთობის თავისებურებების შეცნობა და დახასიათება ხდება⁴.

ზოგადად, ეკოლოგია გულისხმობს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობას მის გარემომცველ გარემოსთან. ამ ურთიერთობაში ძირითადია ორგანიზმის შეგუების, ადაპტაციის მომენტი. თვით ცნებას „გარემოცვა“ აზრი აქვს გარკვეული ცენტრის დაშვების შემთხვევაში, რომელშიც დგას ადამიანი და ითვისებს ამ გარემოცვას. მთავარია გარემოს ხასიათიც: ფიზიკური, ბიოლოგიური თუ კულტურულ-სოციალური და შესაბამისად – ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიური და კულტურულ-სოციალური ეკოლოგია, რომელიც შეიცავს ეკოლოგიის ჰუმანიტარულ ასპექტს. იგი ადამიანს განიხილავს არა როგორც ბიოლოგიურ, არამედ როგორც სოციალურ-

1980, № 12; Уатт Н., Экология и управление природными ресурсами, М., 1971; Реймерс Н., Природопользование, М., 1990; Холличер В., Природа в научной картине мира, М., 1966; ირ. ელიაევა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია, ეკოლოგიის საფუძვლები, თსუ, 1992; გ. ქაჯაია, გარემოს დაცვა და თანამედროვე ეკოლოგია, ცისკარი, 1977, 5; მისივე, ეკოლოგია, თბ. 2000; ი. ბრომლეი, კაცობრიობის ეკოლოგიის ეთნიკური ასპექტების შესწავლისათვის, (რუსულ ენაზე), ხელეწიერი, თბ. 1985; მ. ხუტაშვილი, ბუნება-სარგებლობის საფუძვლები, თბ. 2000; მ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, მეცნიერება, თბ. 1982; მისივე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ. 1978 და ა.შ.

² რ. გახოკიძე, ბუნება მზრანებელია, თბ., 1989; ს. ცინცაძე, ა. ციციაშვილი, გარემო ჩენი არსობისა, ბათუმი, 1990.

³ Вестник АН СССР, 5, 1989; თ. გამყრელიძე, ეკოლოგია და კულტურა, საქართველოს ბუნება, 1989-1.

⁴ მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 9.

კულტურულ ობიექტს⁵. ამ შემთხვევაში ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება გარემოს მიმართ პასიური კი არ არის, არამედ აქტიურად ზემოქმედებენ მასზე, რაც საწარმოო შრომის ორგანიზაციის დამკვიდრებასა და განვითარებას გულისხმობს კონკრეტულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში.

ცნობილია რომ, კულტურის ცნების განხილვა წარმოდგენილია ადამიანის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არიან. კულტურის ფორმირების პროცესში ეთნოსი ძირითადი შემოქმედებითი ძალაა, რომელიც მოიცავს სოციალურ მცირე ჯგუფს, ეიწრო გეოგრაფიული არეალით. ამ ჯგუფის შიგნით კავშირი ფუფუნება გენეტიკურ-ნათესაობრივ, ეთნო-მითოლოგიურ და ენობრივ ფორმებს, რაც საბოლოოდ ფორმირდება ეთნოკულტურის მოდელის სახით⁶. მასში გამოხატულია ხალხის მიერ მიღწეული დონე, განსაზღვრული ადამიანის ურთიერთობით ბუნებასთან.

უკანასკნელ პერიოდში ზოგადი ეკოლოგიიდან დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა ადამიანის ეკოლოგია, რომლის საკვლევი არეალია ადამიანის ადაპტაცია გარემოსთან⁷ ორი მიმართულებით: 1. შეგუება კონკრეტულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოსთან; 2. კულტურა-ადამიანის საქმიანობის სახეობათა და შედეგების ერთობლიობა, რაც ნიშნავს კულტურული ადაპტაციის გზით ადამიანის ურთიერთობას გარემოსთან. ამდენად კულტურის საფუძველია შემოქმედება, უპირველესად ადამიანის საწარმოო საქმიანობა და მასში გამოხატული ხარისხოვანი მაჩვენებელი.

ეკოლოგიური პრობლემა თავისი არსით სოციალური პრობლემაა⁸. ადამიანის არსებობას თან ერთვის არა მარტო ბუნებრივი, არამედ სოციალური ფაქტორებიც. უნივერსალური მნიშვნელობით ცნება „ეკოლოგია“ ასახავს მატერიალურ და სულიერ ურთიერთობებს, საზოგადოების სოციალურ საქმიანობას და მის განსაზღვრულ ორგანიზაციას⁹. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიის მჭიდრო კავშირს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობასთან¹⁰, ბუნებასთან

⁵ თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1-2; გ. ყორანაშვილი, ბუნება და ისტორია. უკრნ. „ცისკარი“, 1982, № 6; მისივე, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975; Бондарев Л.Г., Природа и цивилизация, М., 1988.

⁶ ე. ავალიანი, ტ. გუალია, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 6-7.

⁷ კ. კოლხი, ადამიანი და ეკოლოგიური პრობლემები, კრებ. ეკოლოგიის პრობლემები, 1. თბ. 1990, გვ. 185-221; კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998, გვ. 160-184.

⁸ Степан Г. Спурр, Бертон В. Барнес, Лесная экология (Перевод английского издания), М., 1984, ст. 6.

⁹ Гиренок Ф.И., Экология, цивилизация, ноосфера, М., 1987, ст. 15.

¹⁰ ეკოლოგიის პრობლემები, თბ. 1990, გვ. 13.

მის ურთიერთობას. მეცნიერთა ნაწილი ეკოლოგიას განმარტავს, როგორც ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთკავშირისა და მათი საერთო გარემოსადმი დამოკიდებულების, მეორე კი, როგორც თავისი არსით სოციალურ პრობლემას¹¹ რომელიც ასახავს საზოგადოების სოციალურ საქმიანობას და მის განსაზღვრულ ორგანიზაციას გარემომცველ სამყაროსთან: ტყე, ფლორა. ფაუნა და ა.შ. ფართო გაგებით, იგი არის საზოგადოების მიზანმიმართული შრომის შედეგი გარემომცველ სამყაროზე, რომელიც მუდამდგება მატერიალურ კულტურას, საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებში, და ქმნის ეთნიკურ ყოფას, როგორც ბაზისური მოვლენების მთლიანობას და მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ადამიანის ხანგრძლივი საწარმოო საქმიანობის შედეგს.

ეთნიკური კულტურის, ეკოლოგიის სისტემასთან კავშირში განხილვა არა მარტო აელენს ხალხურ საწარმოო ემპირიკას, არამედ ახალი შინაარსითაც აესებს მას. თეორიულ და კონკრეტულ ისტორიულ არეალში წინ წამოიწევეს ეთნოსის, როგორც სოციოკულტურული ფენომენისა და კონკრეტული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ურთიერთკავშირის პრობლემა, ეთნიკური კულტურების ეკოლოგიური ფუნქციების ცვალებადობის პროცესები უძველესი ხანიდან, თანამედროვეობამდე¹². საზოგადოების სამეურნეო-საწარმოო საქმიანობა დაღს ასევემს შესატყვისი რეგიონების კულტურულ ლანდშაფტებს. ამიტომ მათი შესწავლა შეუძლებელია მეურნეობის ტრადიციული ფორმების გათვალისწინების გარეშე¹³.

აღნიშნული პრობლემა მთელი სიმძაფრით დადგა ეთნოლოგიური მეცნიერების წინაშე. ეთნოსის მიერ ბუნებრივი პირობების გამოყენების სპეციფიკა და მისი გაელენა ამ გარემოზე (როდესაც ადამიანი თავისი საწარმოო მიღწევებით განხილვება გარემოს შემადგენელ ნაწილად) კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ხაზი გახდა¹⁴ და წამოიჭრა ეთნიკური ეკოლოგიის საკითხი¹⁵, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური ჯგუფებისა და მთლიანად ეთნოსების სიცოცხლისუნარუნეველმყოფი ტრადიციული სისტემების თავისებურებათა, ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ პირობებში ეთნოსების ადაპტაციის, ეთნოსთა მიერ ბუნებრივი გარემოს გამოყენებისა და ამ გარემოზე მათი ზემოქმედების სპეციფიკის, ბუნებათსარგებლობის რაციონალური ტრადიციებისა

¹¹ Вальтер Г., Общая геоботаника (თარგ. გერმანულიდან), М., 1982, გვ. 15.

¹² 8. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, გვ. 15-18; Арутюнов С.А., Культурологические исследования и глобальная экология, Вестник АН СССР, 1980, 12.

¹³ Бромлей Ю.Р., Этнос и этнография, М., 1973, ст. 261-262.

¹⁴ Бромлей Ю.Р., Современные проблемы этнической экологии, СЭ, 1983, I, ст. 8.

¹⁵ Козлов В.Н., Основные проблемы этнической экологии, СЭ, 1983, 1.

და ეკოსისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებების შესწავლა¹⁶.

ამა თუ იმ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ეთნიკური ყოფის ჩამოყალიბება-განვითარება საზოგადოებას შეცნობილი აქვს თავისი საწარმოო პრაქტიკით. იგი რეგიონალური მეურნეობრივი ტიპის ჩამოყალიბების საფუძველიც ხდება. მეორე მხრივ, მოცემულ ეკოლოგიურ ნიშში ადაპტაციას ანუ საზოგადოების გარემოსთან შეგუების ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ მხარეს, გამოხატულს ეთნიკურ ეკოლოგიაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალური განვითარებისათვის¹⁷.

ამრიგად, ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან წარმოებს არაბიოლოგიური ადაპტაციის ხარჯზე და ასეთი ადაპტაციის ძირითად მექანიზმია კულტურა მისი ეთნიკური ვარიანტებით, რომელშიც თავს იყრის ეთნიკური ერთეულის ყველა განმასხვავებელი თავისებურება, ენა – ეთნიკური ერთობის ინდიკატორი, მატერიალური კულტურა, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულება და ა.შ., ის წელილი, რომელიც ამა თუ იმ ხალხს, დიდსა თუ მცირეს, შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ეს თავისებურებები ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ემპირიულად, პრაქტიკულად. ემპირული გზით მოპოვებული კულტურა ძირითადად მარტივ წარმოდგენებს ემყარება, შემოწმებულია საუკუნეებში გამართლებული ექსპერიმენტით და ერთიანდება ხალხურ წეს-ჩვეულებებში. ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ყალიბდება კომპლექსურად ყოფის ძირითადი სფეროების მიხედვით და საბოლოო ჯამში ქმნის ერთიან სისტემას ხალხის მატერიალური და სოციალური ცხოვრების განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისად. ზემოთაღნიშნული საფუძველად ედება ე.წ. ცხოვრების წესს და ქმნის ეროვნულ ხასიათს¹⁸.

ეკოლოგიასთან დაკავშირებული ცნებები დღეს ფართოდ გავრცელდა და ისინი დამკვიდრდნენ სოციალური ცხოვრების სფეროშიც. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამოსავალი პოზიციის ნათლად გარკვევას, რადგან ეკოლოგიის როგორც ბიოლოგიური ტერმინის (წარმოშობით და რაობითაც) გამო, სოციალური ცხოვრების სფეროში მისი გამოყენება საკმაო სიფრთხილეს და პრინციპულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

რამდენადაც კულტურის ყველა სფეროში მეტნაკლებად ელინდება ეთნიკური თვისებები, ეთნოეკოლოგიური კვლევა ამ კუთხით, პირველ რიგში უკავშირდება

¹⁶ Козлов В.Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 8–9.

¹⁷ კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, გვ. 161.

¹⁸ გ. ჩიტაია, ცნება „კულტურა“, შრომები, ტ. II, თბ. 2000, გვ. 132–139; მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1980; ალ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ. 1981.

მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საწარმოო შემოქმედებითი შრომის შედეგებს, სამეურნეო-კულტურულ ღირებულებათა გამოვლინებას ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი საწარმოო ურთიერთობის ფონზე.

ამიტომ ადამიანის ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობის კანონზომიერებათა შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება¹⁹.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების სურათის სწორი აღქმისათვის, უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს მეურნეობის ისტორია, რადგან არაეინ არ არის მიწასთან ისე თანშეზრდილი და შესისხლხორცებული როგორც მიწისმოქმედი. იგი ყოველდღიურ შრომით ურთიერთმოქმედებს ბუნებაზე და მასთან პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში შეუცნობლივ იყენებს ბუნების კანონებს. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „ეს უნდა ყოფილიყო შესაძლებელი იმის გამო, რომ ადამიანი შეგრძნების შემწეობით ქმნის საერთოდ სწორ წარმოდგენას მისი გარემოცვის შესახებ“²⁰. ქართული ეთნოსის ინდივიდუალობას განსაზღვრავს სწორედ ლოკალურ ბუნებრივ არეალში ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი ძიების საფუძველზე ჩამოყალიბებული ყოფაცხოვრებითი თავისებურებები.

სამეურნეო კულტურის საფუძველია შემოქმედება, უპირველესად ადამიანის საწარმოო საქმიანობა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი. ამდენად იგი გამოხატავს ხალხის ისტორიული განვითარების დონეს, რაც განსაზღვრულია ადამიანის დამოკიდებულებით ბუნებასთან, ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და უნარის ხასიათით. ცნობილია, რომ კულტურა, თუ იგი ვითარდება სტიქიურად, შეუგნებლად თავის „შემდეგ ტოვებს უდაბნოს“. სწორედ ამ დროს ვითარდება „ეკოლოგიური ჩიხი“, როცა საზოგადოების უნარი და ბუნების მიერ საზოგადოებისათვის მიცემული შესაძლებლობები არ უტოლდება ერთმანეთს და დიდი სულიერი და ეკონომიკური ზარალით გამოვლინდება. ეთნოეკოლოგიის ამოცანაა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული და ექსპერიმენტით გამართლებული იმ წეს-ჩვეულებების მიკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების მიზნობრივ და პრაქტიკულ გამოყენებასთან, ბუნებრივი კომპონენტების თვისაღდგენის უნარის შენარჩუნებასთან.

¹⁹ კ. კოლხი, ადამიანი და ეკოლოგიური პრობლემები, კრებ. ეკოლოგიის პრობლემები, თბ. 1990, გვ. 185–221; გრ. მარგიანი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ. 1985; Горелов А., Экология наука моделирование, М., 1985, გვ. 5; Козлов В.И., Покшитевский В.И., Этнография и география, СЭ, 1973.

²⁰ გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ეკოლოგია ლიტერატურაში მიღებული განმარტებით არის ბუნების ეკონომიკის შეცნობა და მის ბაზაზე საზოგადოების მიერ გარემომცველი სამყაროს სწორ ეკონომიკურ ბაზაზე წარმართვა. ეკოლოგიური აზროვნების განვითარება. რეგიონალურმა ეკოლოგიურმა კვლევამ უნდა დაასაბუთოს ამა თუ იმ რეგიონში მეურნეობის რომელი დარგის განვითარებაა მიზანშეწონილი ეკონომიკური თვალსაზრისით²¹ ეთნოეკოლოგიურმა კვლევამ კი, უნდა გამოავლინოს ცალკეული რეგიონის ტრადიციული სამეურნეო დარგების ისტორია, გაერცვლება, სტრუქტურა, შრომითი ჩვევები ბუნების გამოყენების ემპირიული ხასიათი და პრაქტიკა. ამავე დროს საქართველოს მრავალფეროვან ბუნებრივ არეალში უნდა გამოიკვეთოს ცალკეული ლოკალური რეგიონისათვის სახასიათო ტრადიციული სამეურნეო დარგების განვითარებისათვის ნიშანდობლივი თვისებები და ეთნოსის ემპირიული ეკოლოგიური კულტურა.

ხანგრძლივი შრომის პროცესში ადამიანის პრაქტიკული ურთიერთობა ადგილობრივ ბუნებრივ საწარმოო ძალებთან საფუძველს უყრის კონკრეტულ სამეურნეო საწარმოო წესის შექმნას და ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბებას. ეს კარგად არის გამოხატული ილიასეულ ცნებაში „ადგილის კაცი“, რაც არა გეოგრაფიული ნიშნით მიკუთვნებას, არამედ კონკრეტულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ადამიანის ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგების სინთეზს წარმოადგენს.

ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული კვლევა ეარაუდობს ეთნიკურ მასალაზე დაყრდნობით ეკოლოგიური სისტემების კანონზომიერებების გამოვლენას. ბუნებისა და საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესების ასახსნელად მთავარია მოცემულ გარემოში და გარკვეულ ეპოქაში საწარმოო ძალთა განვითარების დონისა და შესაძლებლობის გარკვევა. ამ გაგებით, საზოგადოებას თავისი შინაგანი კანონები ახასიათებს, რომლებიც განსაზღვრავენ ცხოვრების წესს, ყოფისა და კულტურის თავისებურებებს. თუმცა ამ პროცესში ბუნებრივ გარემოსაც ეკისრება გარკვეული როლი, მაგრამ არა არსებითი, გადამწყვეტი.

ეთნოეკოლოგიური კვლევის საგნად წარმოდგენილია ეთნოსი და გარემო, როგორც გარკვეული ერთობლიობა – ეთნოეკოლოგიური სისტემა, ჩამოყალიბებული გარკვეულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში. ეთნოგრაფიული კვლევის ძირითადი ობიექტი – ეთნოსი ცხოვრობს და შრომობს გარკვეულ ბუნებრივ გარემოში. ეს

21 პ. ლომონჯავა, ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემები, თბ. 1987; გ. თუმანიშვილი, მოსაზრებები მწევანეთა ეკოლოგიური კონცეფციის გამო, გაზ. „დედამიწა“, 1991, 4; П е р Агресс, Ключи к экологии, М., 1982; ნ. კეცხოველი, ა. მაყაშვილი, ბუნება და სოფლის მეურნეობა, ტფ. 1931.

მოითხოვს ეთნიკური ასპექტის გამოვლენას ეკოლოგიური კუთხით. გარკვეულ ისტორიულ და სოციალ-ეკონომიკურ პერიოდში ბუნებაზე ურთიერთმოქმედებს კონკრეტული ხალხის ჯგუფები, რომლებსთვისაც სახასიათოა ბუნებაზე ზემოქმედების ის ინდივიდუალური თავისებურებები²², რომელიც განსაზღვრავს ეთნიკური ხასიათის ნიშნებსაც.

ეთნოეკოლოგიური კვლევისას დაცული უნდა იქნეს მეცნიერული საეკლექტონოგრაფიული კვლევის მიმართულება, მეთოდოლოგია, კვლევის ტექნიკა და საშუალებები. ხოლო მეცნიერული შედეგები – განხილული ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ურთიერთკავშირში. ეთნოლოგია იკვლევს ხალხთა ცხოვრების ყველა მხარეს, არა მარტო მეურნეობასა და საზოგადოებრივ სტრუქტურას, არამედ ცხოვრების სხვადასხვა მხარეების ურთიერთდამოკიდებულებას. ხსნის მოვლენათა წარმოქმნის დროს არსებულ ვითარებას და მათ ურთიერთკავშირს. თანამედროვე სინამდვილეში არსებული ცალკეული კულტურების სრულყოფილი მეცნიერული კვლევა უპირველესად გენეზისურ ძიებას მოითხოვს, როგორც მოვლენის ჩასახვისა და ტრადიციულად დამკვიდრების, ისე განვითარებისა და ცვლილებების გზების ჩვენებას.

გარემოზე ადამიანის ურთიერთობას რამდენიმე ასპექტი აქვს: ბუნებრივი, ბიოლოგიური და ეთნიკური, რომელიც ეკვლინება ადამიანის მიერ ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვანი კომპონენტების შეცნობისა და მათთან შეფარდებული ემპირიული მეთოდებისა და ხერხების შემუშავებისას. იგი აღმოცენებულია არა მარტო მყარ საწარმოო ტრადიციებზე, არამედ შემოწმებულია მრავალსაუკუნოვანი ექსპერიმენტით და გამართლებულია პრაქტიკაში.

ეთნოეკოლოგიური კვლევა ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის ტრადიციული ფორმების გამოვლენის გეგრდით საშუალებას იძლევა ტრადიციული შეგნებისა და გამოცდილების შემკვიდრებობითობის ჩვენებას თანამედროვეობასთან ურთიერთობაში. დროის მიერ შემოწმებული და ემპირიულად გადმოცემული ეკოლოგიური გამოცდილება ყოველთვის იყო და დარჩება მომავლის ბაზისად და ორიენტირად. რადგან გეოგრაფიული გარემო არის არა მარტო წმინდა ბუნებრივი კატეგორია, ერთდროულად დიდი შრომის რეზულტატიც²³. კვლევის შედეგებს დღეს მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება. XX საუკუნის სამრეწველო რევოლუციამ დააჩქარა სამრეწველო ძალთა განვითარება და საზოგადოებას მისცა „გარემოცვის“ შეცვლის ჯერ კიდევ არნახული ტექნიკური საშუალებანი, ამავე დროს გააფართოვა

²² P. Дажо, Основы экологии, стр. 8-9.

²³ მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიცია, გვ. 110

ბუნებასა და ადამიანს შორის აქტიური ურთიერთობის საზღვრები. დაირღვა ეროვნული ეკონომიკის ბუნებრივ-ისტორიული ბაზა, გაიზარდა ეთნიკური თავისებურებების ნიველირებისა და ეთნოკულტურული გარემოს რღვევის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურული მემკვიდრეობის განადგურება: უზარმაზარ ტერიტორიებზე იჩეხება ტყეები, შენდება მსხვილი წყალსაცავები და მძლავრი პიდრო-ელექტროსადგურები, იზრდება დიდი ქალაქები, მცირდება სოფლები, მძლავრობს ურბანიზაციის პროცესი. მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად იქმნება ახალი დასახლებები; ახალმოსახლეობა უტევს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, უკანასკნელნი ავიწროებენ საძოვრებსა და ტყეებს, ისპობა წყლის რეზერვები, მძლავრობს ეროზია; იცვლება ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის სურათი, რასაც მოყვება მეურნეობის არატრადიციული ფორმების დანერგვა: საქართველოს ბალენახებს, საყანე მიწებს იჭერს ბოსტნეული კულტურა. შემცირებული მიწის ფართობების ნაყოფიერების ამღლეების მიზნით მძლავრობს მინერალური სასუქების ეფექტური საშუალებები, მისი გამოყენების ჭარბი და არარაციონალური ფორმები, ამას ემატება გარემო პირობების გაუთვალისწინებლად და ხალხური ემპირიული გამოცდილების უგულვებლყოფით დასახლება და სხვა. ყოველივე ზემოთაღნიშნულმა საზოგადოება დააყენა ეკოლოგიური კრიზისის წინაშე.

საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ ბუნების ექსპლოატაცია-გამოყენება და დაცვა ხალხურ სამეურნეო პრაქტიკაში ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, პირიქით თანაარსებობს. ამის საფუძველი იყო ხალხური წლიური სამეურნეო კალენდარი და ტრადიციით მიღებული ემპირიული ეკოლოგიური კულტურა, რომელსაც გლეხი ეწეოდა და მალალ ეფექტსაც აღწევდა: პატარა მდინარეების ენერჯის გონიერული გამოყენება, მოქნილი სარწყავი სისტემის შექმნა, მცენარეთა და ცხოველთა საუკეთესო ჯიშების გამოყენება, ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს შერწყმული შრომის იარაღების შექმნა (დაწყებული მარტივი სახენელი იარაღით – კაეწურა და დამთავრებული მუხრანული სახენელით) ხალხური რძის მეურნეობის მაღალპროდუქტიული სახეების მიღება (თუშური ყველი, ხვესურული ერბო, მეგრული სულგუნი), საუკეთესო საენახე ჯიშები (რქაწითელი, ოჯალეში, ხვანჭკარა და ა.შ.), და ბოლოს მიღწევები მემინდერეობაში: ენდემური ჯიშების შექმნა, ნიადაგის გარკვეული სახის სასუქად გამოყენება, ორი მოსავლის მიღება წელიწადში, მიწის დასვენების, თესვის წესები და მრავალი სხვა. კვლევამ ცხადყო, რომ ამ მიღწევების გზაზე ქართველი მეურნის შეუპოვრობა, შრომისუნარიანობა, მიწასთან კაეშირი მის ეროვნულ ხასიათში ელინდება. ბუნებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება ხალხის შრომითი

დისციპლინა და დღის რეჟიმი. ხალხური კალენდარული ჩვევების ტრადიციული ციკლი მჭიდროდ უკავშირდება ბუნებრივ და აგრარულ დროს, რაც იწვევს ადამიანის შრომისა და ბუნების რიტმის კავშირს, თუმცა გენეტიკური აირები არ იყო ცნობილი საზოგადოების შეგნებაში და ჩვეულებით ხსნიდნენ.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის პროცესში ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებიც: შრომის ორგანიზაცია და ურთიერთდახმარების სახეები, ზნეობრივი აღზრდის საოჯახო და საზოგადოებრივი პრინციპები, სამეურნეო ტრადიციები და სხვა, რომელიც ხალხის მდიდარ ემპირიულ პრაქტიკასა და წეს-ჩვეულებებში ელინდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში და სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებულია²⁴. გეოგრაფიული გარემო ზემოქმედებს საზოგადოებაზე, მიმართულებას აძლევს მის ცხოვრებას (ტყე, ველი, უდაბნო, მთები...), საზოგადოება კი თავისი ჩამოყალიბების მომენტში მწარმოებლურად ეგუება განსაზღვრულ ლანდშაფტს, იწყებს მასზე ზემოქმედებას, რაც სათანადო გამოხატულებას პოუვს სამეურნეო-კულტურული ტიპების ისტორიულ ჩამოყალიბებაში. კონკრეტულ ბუნებრივ სამეურნეო პირობებში შესაფერისი, ემპირიულად ჩამოყალიბებული და გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება²⁵; ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, მაღალპროდუქტიული მესაქონლეობისა და კულტურულ მცენარეთა პირველადი კერების ჩასახვა.

ამიერკავკასიის სუბალპურ, ალპურ და ტყიან ზოლში ჩამოყალიბდა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს შეფარდებული მეურნეობა, შერწყმული ლოკალურ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ადამიანის კულტურულ საქმიანობასთან. ყოველ ცალკეულ გეო-ეთნიკურ რეგიონს გააჩნია ემპირიული ეკოლოგიური კულტურის ტრადიცია, შემუშავებული სიცოცხლისუზრუნველმყოფი სისტემის ჩამოყალიბებისა და გამართლებული ტრადიციული ხალხური სამეურნეო კულტურის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებითაც.

ამ მიმართებით, ნაშრომში გაანალიზებულია საზოგადოების მიერ ბუნებრივი გარემოს გამოყენების სპეციფიკა, რომელიც ეარაუდობს ბუნების ჰარმონიულ

²⁴ გრ. მარტიანი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, გვ. 20-35; გ. ყორანაშვილი, ბუნება და ისტორია, უკრ. ცისკარი, 1982, №6, გვ. 5-10; Анучин В.А., Географический фактор в развитии общества, М., 1982.

²⁵ Чебоксаров Н.Н., Чебоксарова И.А., Народы, расы, культуры, М. 1971, გვ. 169; მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 93.

ათვისებას ეკოლოგიური ფაქტორის დაცვით და ბუნებათსარგებლობის ტრადიციული წესების გამოყენებით, რომელიც გარემოს შინაგან კანონზომიერებებს ემყარება.

ეთნოეკოლოგიური მიდგომით ცნება „გარემო“ კომპლექსურად გამოხატავს ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, და კულტურულ-ყოფითი ფაქტორების სინთეზს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საქმიანობის ცალკეულ მხარეს.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო (კლიმატი, ნიადაგი, მიკროფლორა, პიდროგრაფია) ადრეული პერიოდიდანვე განაპირობებდა საზოგადოების დასახლების ტიპს, საცხოვრებელს, კვებას, ტანსაცმელს, ტრანსპორტს და სხვ. საუკუნების მანძილზე, ადამიანის მიერ ათვისებული და სამეურნეო საქმიანობაში პრაქტიკულად გამოყენებული ბუნებრივი კომპონენტები (ცალკეულ მიკრო და მაკრო რეგიონებში) აპირობებდა მასში „ეთნიკურ“, „მშობლიურ“ დამოკიდებულებას. ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობისას ჩამოყალიბებული შრომითი წეს-ჩვეულებების ცალკეული ელემენტები კი საბოლოო ჯამში ტრადიციულ ხასიათს იღებდა.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, მიგრაციული ცალკე და ერთად აღებული) მოქმედებდა ტრადიციული კულტურის ხასიათსა და განვითარებაზე.

ხოლო კულტურულ-ყოფითი ფაქტორები (ისტორიული, ეთნიკური, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა), რომლითაც გამოიხატება ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედება, ტრადიციულ ლოკალურ და ეთნიკურ გამოცდილებას უკავშირდება, რომლის გამძლეობა ბუნებრივ და სოციალურ, ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით დაადასტურა დრომ. ის გამოიხატა ცალკეულ ტრადიციულ დარგებში, ცხოვრების წესში, ეთნოფსიქოლოგიაში და ა.შ.

საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის შრომის შეხამების ეკოლოგიური ასპექტი, რადგან საქართველოს მთისა და ბარის მეურნეობრივი განვითარება და დარგობრივი შეთანხმება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ნაყოფია და ასახავს ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელ გეობოტანიკურ კანონზომიერებებს²⁶. ეკოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე²⁷ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მჭიდრო კავშირს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობასთან.

²⁶ მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 8-9.

²⁷ ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, ეკოლოგიის საფუძვლები, გვ. 13.

უკანასკნელ წლებში თანდათან უფრო ნათლად ელინდება ეკოლოგიური კრიზისის ეკონომიკური ასპექტი, რადგან ხალხის ცხოვრება, მისი ფიზიკური და სოციალური გადარჩენა პირდაპირ კავშირშია გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ცნობილია, რომ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა: რელიეფი, ნიადაგი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა ბუნებრივად გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსახლეობის სამეურნეო პოტენციალის, ტრადიციული დასახლების, კვებითი რეჟიმის, საცხოვრებლის და ამასთან მიმართებაში – ადამიანის სიცოცხლის და ფიზიკური არსებობის პირობების უზრუნველყოფაში. ბუნებაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკვირვებისა და სამეურნეო გამოცდილების ბაზაზე საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ეთნიკური ტრადიციები, თანამედროვეობისათვის საყურადღებო მატერიალური და სოციალურ-კულტურული ასპექტებით.

ამიტომ ეთნიკური ეკოლოგია უპირველესად ისტორიულ ჭრილში კვლევას გულისხმობს, შესწავლილი კულტურულ-ისტორიული მოვლენების განვითარების დინამიკაში ჩვენებას. დაკვირვების არეალში ექცევა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ინოვაციური პროცესები და მისგან გამომდინარე შედეგები, რომლებიც განხილულია გლობალურად – ისტორიული წარსულის, აწმყოსა და მომავლის კონტექსტში, მათი სპეციფიკური ნიშნებისა და შედეგების ანალიზით, უპირველესად საზოგადოების გარემოსთან ურთიერთობის რღვევის მიზეზების გამოვლენით, რომელმაც თანამედროვეობაში საზოგადოების გარემოზე ურთიერთობისას წარმოშობილი პრობლემების ახალი მოდელი შექმნა.

საქართველოს ბუნების კონტრასტულობა ისტორიულად განაპირობებდა ტყის განსაკუთრებულ როლს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მისი მოვლა-პატრონობის მრავალფეროვან ტრადიციებსა და ფოთხილი, ზომიერი ექსპლოატაციის მეთოდებს. უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. შეიცვალა ტრადიციული ეკოლოგიური სურათიც: გაიჩეხა ტყის ზოლები, გაჩნდა ეროზიის, ღეარცოფების, და ზეაეების საშიშროება, მოიშალა ტრადიციული ტყესარგებლობის ჩვევები. განსაკუთრებით მიძიმე მდგომარეობა შეიქმნა დიდი წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის რღვევის პროცესები თანადროულდება და უფრო მწვავედ იჩენს თავს, რაც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ აღვიქვათ ის საშიშროება, რაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაბალმა ეკოლოგიურმა შეგნებამ, მომხმარებელურმა ფსიქოლოგიამ და გულგრილობამ. მეორე მხრივ, მოსახლეობის საუკუნეობრივ გამოცდილებას დაფუძნებული ჩვევების უგულვებელყოფამ.

ეინოვაციური კვლევის ზოგადი ისტორია. ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოების განვითარების ურთიერთდამოკიდებულება ერთ-ერთი ძველი თეორიული პრობლემა და მის შესახებ აზროს სხვადასხვაობა არსებობს¹. მეცნიერთა ერთი ნაწილი გადაჭარბებით აფასებს მის როლს და გაეღწას ისტორიული განვითარების პროცესზე, მეორე კი, უარყოფს გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნულ საკითხზე თავიანთი შეხედულებები პქონდათ ანტიკური ხანის მოაზროვნეებს: ჰიპოკრატეს, სტრაბონს, არისტოტელეს და სხვებს. თითოეული მათგანი თავისებურად ხსნიდა გარემოს გაეღწას საზოგადოებაზე, უპირველესად, გეოგრაფიული ფაქტორის რომელიმე კომპონენტის გაეღწით (ჰაეა, მცენარეულობა, ნიადაგი და ა.შ.) და ამის საფუძველზე ცდილობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების, სახელმწიფოს ტიპების, ადამიანთა შეხედულების, მორალის და სხვ. ახსნას.

ქართულ მეცნიერთაგან საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლისა და მნიშვნელობის შეფასების შესახებ უდაეოა ეახუშტი ბაგრატიონის დამსახურება, რომელიც ქვეყნის ბუნებრივ სამეურნეო პირობების თავისებურებებს და ხალხის ისტორიას ერთმანეთს უკავშირებს.

„არსად ჩეენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სიერცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ეახუშტის შრომაში“ – წერდა იე. ჯაეახიშვილი². ეახუშტი ქვეყნის ბუნებრივ მონაცემებს (რელიეფის, ჰაეის, ფლორის, ფაუნის, მდინარეთა ქსელის) ეერტიკალურ-ზონალური პრინციპით განიხილავს და უკავშირებს საზოგადოების ეკონომიურ და სამეურნეო განვითარებას, მის ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს. ასეეე მცენარეული საბურეეელისა და კულტურული მცენარეულობის გეოგრაფიული განლაგებისას თანმიმდევრულად ასახაეც ეერტიკალურ ზონალობას, მთიან მხარეებში მცენარეთა განაწილების კანონზომიერებას და ამაზე დაყრდნობით მთელ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თეალსაზრისით, რამდენიმე ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ ანაწილებს; ხოლო „ბრინჯ-ბამბიანობას“ და

¹ გრ. მარგინი. გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ. 1985; გ. ზარდალიშვილი, ადამიანი და გეოგრაფიული გარემო, თბ. 1988; გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ. 1975; ტ. გეალია, გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ. 1991; Худушин Ф.С., Человек и природа, М. 1966; Гарковенко Р., Общество и природа, М. 1974; Гирсов Э., Методологические проблемы теории взаимодействия общества и природы, М. 1978; Гумилев Л., География этноса в исторический период, М. 1990; Миссиге, Этногенез и биосфера земли, М. 1989 და სხვა.

² იე. ჯაეახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, ტფ. 1930, გე. 113.

„ვენახ-ხილიანობას“ ან უვენახობას ქვეყნის მოსაგლიანობა-ნაყოფიერების საზომად იყენებს. მკვლევარი საქართველოს ტერიტორიას ზოგადად მთად და ბარად ჰყოფს და გამოჰყოფს ხუთ ბოტანიკურ-აგრონომიულ არეს, რომელიც ნათელს ჰგენს საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის მჭიდრო კავშირურთიერთობას.

გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემებს დიდი გულისყურით მოეკიდა ივ. ჯავახიშვილი. მის ტერმინოლოგიურ საცნობარო დეფინიციებში ტერმინი „ეთნოეკოლოგია“ რასაკერძეელია არ გეხედება, რადგან ის 80-იან წლებში, საგნის განვითარების ფონზე შეიქმნა. მაგრამ მისი ნაშრომები შინაარსობრივად და მიმართულებითაც, სწორედ კვლევის აღნიშნული მეოოდის განვითარებას უყრის საფუძველს³. იგი წერდა: „ვიდრე საქართველოს ისტორიას განვადგომბდეთ, თავდაპირველად უნდა გაეთვალისწინოთ საქართველოს გეოგრაფიული ვითარება... შევისწავლოთ იმ ქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი... ამისათვის კი უნდა გექონდეს ყველა ცნობები, რომლებიც კი მოეპოვება ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში საქართველოს შესახებ და ჩვენი ქვეყნის აღწერილობას შეიცავს“⁴. ამდენად მან ზედმიწევნით სკრუპულოზურად განსაზღვრა საქართველოს „ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებები“, მისი გაელენა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით— „ყოველი ქვეყანა თავისი მიწის, ნიადაგის, ჰაერის, წყლისა და ნაყოფიერების თვისებების მიხედვით ფასობდა“⁵. ქვეყანა იმდენად ფასობდა, რამდენადაც „ჰაერი კეთილი“ და „წყალნი ტკბილნი“ გააჩნდა და ნიადაგი, რომელსაც „კეთილად“, „მდიდრად“ შეეძლო „მცენარეთა აღმოცენება“. ამ სამი თვისების შედეგი კი იყო „იფუბა ნაყოფთა“ ე.ი. ეკონომიური კეთილდღეობა .

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით საქართველოს ტერიტორიაზე ადრევე ჩამოყალიბებულ ბუნებრივ-დარგობრივ სხვაობას, საფუძველად ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტული თავისებურებები უდევს. კერძოდ, დარგობრივ განვითარებას შეესაბამება მოცემული გარემოს კონკრეტული ბუნებრივ-სამეურნეო პირობები. მაგრამ ეს მეურნეობრივი დაყოფა წარმოდგენილია ურთიერთკავშირში. „ბარელს მთა ჭირდება, მთიელს ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუქმოდ მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ. 1930, გვ. 113; მისივე საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II, ტფ. 1934.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ. 1965, გვ. 5.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ. 1930, გვ. 141.

საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-
მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა”⁶.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს მთლიანად, თუ ცალკე კუთხეების
გეოგრაფიულ თავისებურებებს და მასთან შეფარდებულ ეკონომიკურ ურთიერ-
ობებს განიხილავს ურთიერთკავშირში. საქართველოს მრავალფეროვანი სამეურნეო
წარსულის შესასწავლად იგი საჭიროდ თვლის საბუნებისმეტყველო კვლევის
უახლესი შედეგების ჩართვას ისტორიულ კვლევაში და ამის საფუძველზე მთისა
და ბარის ბუნებრივ-სამეურნეო კავშირურთიერთობების ახსნას. მან დადებითად
შეაფასა ეახუშტი ბაგრატიონის შრომა ამ მიმართებით, განსაკუთრებული
მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებუ-
რებებს და განიხილა ქართველი ხალხის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურა და კულტურულ-სამეურნეო
განვითარების ისტორიული თავისებურებები მან წარმოადგინა უპირველესად.
ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნებაში, მეორეც, მეურნეობრივ
კულტურაში (მესაქონლეობა, მევენახეობა, მიწათმოქმედება, ცალკეული
მარცვლოვანი კულტურები და ა.შ.) და ამ მიდგომით, განიხილა ერის ისტორია
მთლიანობაში – ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მიღწევების ფონზე.

გეოგრაფიული გარემოს როლი ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესში
შეფასებულია აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ⁷. იგი თვლის, რომ გარემო გავლენას
ახდენს მეურნეობაზე, მეურნეობა სოფლების განლაგებაზე, რასაც ხევისპირული
დასახლება მოჰყვება და რომ „საქართველოს დაყოფა ხეებზე“⁸ მისი სამეურნეო
განვითარების სახეობის შედეგია.

სპეციალური კვლევის გაშლამ მეცნიერების სხვადასხვა დარგში შესაძლებელი
გახადა საქართველოს გეომორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური,
ლანდშაფტური, ფლორისტული, გეობოტანიკური დარაიონება, ხოლო მეცნიერულ
კვლევის ამ კომპლექსმა ხელი შეუწყო საქართველოს ფლორის, კერძოდ,
კულტურულ მცენარეთა სარტყლების დაზუსტებას⁹, რაც ეხმარება საქართველოს
კულტურულ-ისტორიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევაში მიღებულ
დაყოფას ბარის, მთისძირის (გარდამავალ) და მთის ზოლებზე¹⁰. განსაკუთრებით

⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. I, ტფ. 1930, გვ. 317.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I და VIII.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 423.

⁹ ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ. 1957; მისივე,
საქართველოს მცენარეული საფარი, თბ. 1960.

¹⁰ გ. ჩიტაია, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბ. 1960 თუ 1964.

საყურადღებოა აკად. ნ. კეცხოველის მიერ შედგენილი მცენარეული საფარის რუკა, რასაც საფუძვლად ბუნებრივ-ისტორიული და კულტურულ-სამეურნეო ზონალობის პრინციპი უდევს.

ეთნოლოგიური ნაშრომები აესებენ ქართველი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეკონომისტების, გეოგრაფების, ბოტანიკის მკვლევართა გამოკვლევებს და ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ და საზოგადოებრივი ძალების ისტორიული განლაგებისა და განვითარების სურათის აღდგენას. ამ მხრივ სპეციალური კვლევა, პირველად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, პროფ. მ. გეგეშიძეს¹¹ ეკუთვნის, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის კულტურულ-ისტორიულ ასპექტებს, რაც გულისხმობს კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საწარმოო შემოქმედებითი შრომის შედეგების, სამეურნეო-კულტურულ ფასეულობათა გამოვლინებას ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი საწარმოო ურთიერთობის ფონზე. ასევე ისტორიულად, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შეაფასა სახალხო მეურნეობის ბევრი ტრადიციული დარგი, რომელშიც ხალხს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებისათვის მიუღწევია და ახსნას კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში პოულობს.

თანამედროვეობაში ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა ახლებურად არის წინ წამოწეული. გეოგრაფიული გარემო მოიცავს ქვეყნის ფიზიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ არეს. იგი კონკრეტული ეთნოსის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ძირითად ასპექტებს განსაზღვრავს. ბუნებრივი პირობები არის ის ბაზა, რომელშიც კონკრეტული კულტურა ჩაისახა და განვითარდა. რაც უფრო მრავალფეროვანია ბუნებრივი გარემო, მით უფრო მრავალფეროვანია მასზე მცხოვრები ხალხის კულტურა და ცხოვრების წესი, რადგან ერის ეთნოგენეზის პროცესი გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს და ერის განვითარების ძირითადი ნიშნები განპირობებულია ამ გარემოს თვისებებით.

გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთმოქმედება უსაზღროადროში და ამ ურთიერთობისას ჩამოყალიბებული სპეციფიკური ნიშნები თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობითობის პრინციპით. კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ეთნიკური ყოფის ჩამოყალიბება-განვითარება ის ეკოლოგიური ფაქტორია, რომელიც საზოგადოებას შეცნობილი აქვს თავისი საწარმოო პრაქტიკით და რომელიც რეგიონალური მეურნეობრივი ტიპის ჩამოყალიბების საფუძველიც ხდება.

¹¹ მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ. 1973; მისივე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ. 1980.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები და ეკონომიკური პირობები ახალ პრობლემებს და ამოცანებს უყენებენ ქვეყნის განვითარებას და წამოჭრიან რიგი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების გადაჭრის აუცილებლობას, როგორცაა: ეკოლოგიის, მიგრაციის, ფიზიოლოგიის, ადაპტაციის და სხვ.

დღის წესრიგში დგება ქვეყნის ბუნებრივი და საწარმოო ძალების ისტორიული სურათის აღდგენა. კერძოდ, ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეთნოეკონომიკური განვითარების სპეციფიკის შესწავლა, კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში შექმნილი სამეურნეო კულტურის ნიშანთვისებების და ხალხის შრომითი შედეგების პრაქტიკული ასპექტების გამოვლენა. ისტორიულად უნდა შეფასდეს მეურნეობის ყველა ტრადიციული დარგი, რომელშიც ხალხს მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებისთვის მოუღწევია და ახსნას კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში პოულობს.

ამ მიმართებით კვლევას ის მეცნიერული მნიშვნელობაც ენიჭება, რომ იგი ეხმარება ქართული ეთნოგრაფების კონკრეტული კვლევის შედეგებს, რომლის მიზანი იმ მცდარი შეხედულებების გაფანტვა იყო, რომ საქართველოს სიმდიდრე მხოლოდ ბუნების წყალობაა და არა ხალხის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

ქართული ხალხის სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია ააშკარავებს ამ თეორიის მცდარობას, რაზეც მოუთითებს ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ბუნების გონიერული მოხმარებისა და დაცვის საქმეში.

შემდგომ წლებში, საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გაფართოებას მოჰყვა ამ მიმართულებით მუშაობის გაშლა. ცხადია, ეკოლოგიური ასპექტის წინ წამოწევი სპეციალური კვლევა არ წარმოებულა, მაგრამ ხალხური საწარმოო ემპირიის შესწავლამ გამოავლინა, რომ საუკუნეებში შემოწმებული შრომითი ჩეეების შედეგები, კონკრეტული ეკოლოგიური კანონზომიერების ინდიკატორიც არის¹².

საველე ეთნოგრაფიული კვლევით გამოვლინდა ქვეყნის ბუნებრივ გარემოსთან შეფარდებული ქართული ხალხის ემპირიული ცოდნის უმდიდრესი მარაგი. დადგინდა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობებთან შეფარდებით, რაც მკვეთრად გამოხატული ევრტიკალური ზონალობის ხასიათს ატარებს, შექმნილია მრავალდარგოვანი მიწათმოქმედება, მესაქონლეობის სხვადასხვა ფორმები, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეები და ა.შ. დამკვიდრებულია და განვითარებული მთისა და ბარის ურთიერთშემავსები სამეურნეო სისტემა, სამეურნეო პირობების და ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნების ბაზაზე როგორც ზოგად ქართული, ისე ლოკალური ხასიათის თავისებურებები: სამეურნეო წლიურ ციკლში, დარგობრივ

¹² მ. გეგეშვიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული... გვ. 13.

სამეურნეო მიმართულებებში, ხალხურ აგრიკულტურაში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში და სხვა. აგრეთვე განსხვავებები დაბლობის, ბარის, მთისძირის, მთის, მაღალმთიანი ზოლების მიხედვით, სამიწათმოქმედო კულტურების სიმალლის მიხედვით, გამოვლინდა ადგილობრივ ბუნებრივ გარემოს შეპირისპირებული შრომის იარაღები, რომლის განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულია ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო ზონალობა. ხუთი ათეული წლის უწყვეტი კვლევა-ძიებით გ. ჩიტაიას მიერ სრულყოფილად იქნა დამუშავებული და დადგენილი სახენელი იარაღების მრავალფეროვნებისა და კონსტრუქციული თავისებურებების ძირითადი მიზეზი – ფუნქციური სხვაობა, რაც პირველ რიგში ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს კონკრეტული თავისებურებებით იქნა ახსნილი¹³.

ქართული აგროოთნოგრაფიის პრობლემის შესწავლისას (გ. ჩიტაია¹⁴, გ. ჯალაბაძე¹⁵, ჯ. რუხაძე¹⁶, ნ. ბრეგაძე¹⁷, ლ. ბერიაშვილი¹⁸, მ. ქანთარია¹⁹) გამოვლინდა ბუნებრივ სამეურნეო პირობების მრავალფეროვნება და სირთულე რაც გაელენას ახდენს მეურნეობის განვითარებაზეც და განაპირობებს მისი მრავალფეროვნებასაც. ქართული ხალხის სამეურნეო ემპირიული ცოდნის დიდი მარაგი, უპირველესად გამოხატავს ემპირიულ ეკოლოგიურ ცოდნას, რომელიც გარემოს სპეციფიკური ბუნებრივ-სამეურნეო პირობების შეცნობა-გამოყენებაში გამოიხატება. ეთნოგრაფიული კვლევა ცხოვრების ყველა სფეროში ავლენს კონკრეტული ბუნებრივი პირობების კავშირს სამეურნეო ყოფასთან. მაგალითად, ირიგაციის ფორმათა და ტრანსპორტის მრავალსახეობას განსაზღვრავს ბუნებრივ სამეურნეო პირობების სირთულე, თავისებურება, ხალხის ემპირიული ჩვევები²⁰. ხორბლის კულტურის ისტორიის შესწავლად დაადგინა ხორბლის ცალკეული სახეობების გავრცელების გეოგრაფიული ზონები და სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის სამიწათმოქმედო

¹³ გ. ჩიტაია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. შრომები, ტ. I, თბ., 1997, გვ. 10–20.

¹⁴ გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი.

¹⁵ გ. ჯალაბაძე, მემინდერეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986.

¹⁶ ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.

¹⁷ ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969; მისივე, Очерки по агроэтнографии Грузии, თბ., 1982.

¹⁸ ლ. ბერიაშვილი, ტერასული მიწათმოქმედება მესხეთში, თბ. 1973; მისივე, ნიდაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბ., 1989.

¹⁹ მ. ქანთარია, ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, მეცნიერება, თბ., 1982.

²⁰ მ. გუგუშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961; მისივე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1976.

ათვისების ეტაპობრივი სურათი. დასაველეთ საქართველოს აგრიკულტურის შესწავლამ გამოაქვინა ადგილობრივ ეკოპირობებს შეფარდებული ეთნიკური კულტურის სპეციფიკა. მესხეთში – ტერასული სამეურნეო კულტურა, რომელიც შეპირობებულია ამ კუთხის გეოგრაფიული თავისებურებებით, ავლენს მეურნეობის ამ დარგის ტრადიციული წარმოების ფორმებს, დატერასების ხალხურ წესებს, რომელიც ადგილობრივ სამიწათმოქმედო ტრადიციებზე მიუთითებს. ეთნოგრაფიული კვლევით, გამოვლინდა საწარმოო ემპირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი – ხალხური სელექცია. ამავე დროს საქართველოში დიდ პრაქტიკულ ღონისძიებაზე დაფუძნებული ნიადაგის დაცვისა და გაუმჯობესების, ბუნებრივი მიწათმოწყობის საკითხები, სარწყავი სათიბი მიწათმოქმედება, მელიორაციის ფართო ქსელი – მორწყვა, ამოშრობა და მრავალი სხვა, რომლის შესწავლა – გამომზეურებას ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი ღვაწლი დასდო.

აკად. გ. ჩიტაია საქართველოში ეთნოლოგიის სამეცნიერო თემატიკის განვითარებისათვის საჭიროდ თვლიდა, რომ რადგან „აგროეთნოგრაფიის დარგში მუშაობის ხაზს განსაზღვრავს ადამიანის ფაქტორი. ამიტომ წინ უნდა წამოიწიოს ადამიანის სიმბოზი მცენარეებთან და ცხოველებთან. საჭიროა ეკოლოგიისა და მეურნეობის ისტორიის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში წარმოჩენა, რადგან კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში გამოცდილი და გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება”²¹.

ეთნიკური მასალის კონკრეტულ ეკოლოგიურ სისტემასთან კავშირში გახილვისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესში გადაიქცევა ერთ-ერთ ეკოლოგიურ ფაქტორად, რომლის მოვლენები ხელს უწყობს, ან ზოგჯერ არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ადამიანის, როგორც სოციალური არსების მხარე ეკოლოგიაში შეიძლება მხოლოდ გარემო პირობებთან ადაპტაციით განისაზღვროს. ამდენად, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული კვლევისას ელინდება არა მარტო ხალხური ემპირიული ცოდნა არამედ, ბუნებრივი და ეკოსაწარმოო სისტემებიც.

²¹ გ. ჩიტაია, საქართველოს აგროეთნოგრაფიის პრობლემები (შესწავლის მდგომარეობა, პერსპექტივები), შრომები, ტ. I, გვ. 62.



ფშავის არაგვი Riv. Pshavis Aragvi
Пшавский Арагви

**ხალხური ბუნებათსარგებლობის ტრადიციული
კულტურა**

1. საქართველოს ტყეები¹. საქართველო შორეულ წარსულში ხშირი ტყეებით ყოფილა დაფარული. ამაზე მიუთითებენ ძველი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები და ისტორიკოსები. პეროდოტეს, პიპოკრატეს, სტრაბონის მოხსენიებული აქეთ კოლხეთის დაბლობის ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარი უღრანი ტყეები. მრავალი ისტორიული დოკუმენტი მიუთითებს საქართველოში ტყის დიდ სიმდიდრეზე და ამუამად ნატყევეარ ადგილებზე ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარი უხვი ტყეების არსებობაზე. ტყე ძველი დროიდან უდიდეს როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მის ეკონომიკაში. ცნობილია, რომ ადამიანმა თითქმის ყველაზე ადრე ხე ჩააყენა თავის სამსახურში. ხე და ხის მასალამ დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში და ხელი შეუწყო ტექნიკისა და ტექნიკური აზროვნების განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოშხეურებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა ცხადყო, რომ ხის დამუშავების ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. საქართველოში არ ჩანს რეგიონი, რომლის მოსახლეობას ხის დამუშავება მცირე ან დიდი მასშტაბით არ ეწარმოებინოს. ამ მიმართულებით ქართველი ხალხის კულტურა დიდი ხანია დღის სინათლეზე გამოიტანა ქართულმა ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ.

ძველად ტყეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხშირად თაედაცვითი მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა და ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა მომხდურებთან ბრძოლაში. ამაზე მიუთითებს ჯუანშერიც (XI ს.) როცა წერს „რამეიყო კახეთი ტყე იყო და შეუეალი მტრისა მიერ“ ან „შეუწყუდიენეს ჰელსა წარმართისა

¹ აღნიშნული საკითხი დამუშავებულია სპეციალური ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, კ. თარგაშაძე, საქართველოს ტყის ფონდი, თბ. 1973; ში სი გე, სამთო ტყის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. 1984; გ. გული საშვილი, ზოგადი მუტუკეობა, თბ. 1957; ში სი გე, ბუნებისმცოდნეობის საფუძველები, თბ. 1986; ლ. მარუაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ. 1981; ა. ბეროზაშვილი, ტყის კულტურები და სატყეო მელიორაცია, თბ. 1981; მდინარე არაგვის აუზის მყურნეობა, კრ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, XVII, 1990; გ. გიგაური, საქართველოს ტყეებში მყურნეობის გაძღოლის საფუძველები, თბ. 1980; ქ. მუშკუდიანი, ხე-ტყის დამუშავებული მრეწველობა და საქვეელო პროლეტარიატი რევოლუციამდე დასაეღეს საქართველოში, თბ. 1982; შ. ისაკაძე, საქართველოს ხალისოვანი მცენარეები, თბ. 1970; ზ. სეფერთელაძე, ლანდშაფტების დიფერენციაკია და ფიზიკურ გეოგრაფიული დარაიონება, თბ. 1995; აღ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, თბ. 1990; Гул и с а ш в и л В., Горное лесоводство, М. 1956 და სხვა.

ერნი ქრისტიანეთანი, რამეთუ რომელნი ტყეთა დაიძალდეს და რომელიმე მოსრნეს...”
ჯუანშერის მიხედვით „ტყე იყო მტრისა მიერ შეუქალი“. მაგალითისათვის შეიძლება
დაეასახელოთ დაეით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ისტორიული ბრძოლის
წარმართვა, როდესაც მან 56000 მეომრით შეძლო 300000 მტრის ჯარის ძლევა. დაეით
აღმაშენებელმა სასწრაფოდ ხელოვნურად შექმნა „ხეთა გორები“, რომელმაც
მნიშვნელოვნად შეაფერხა მტრის იერიშები. საინტერესოა ის ფაქტიც რომ დიღმის
ხეობის თავში, რომელიც ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი იყო, დღემდე დაცულია
ტოპონიმი „ჩახერგილა“. ტყის შეუქალობა მტრისაგან მისი სიხშირით უნდა
ყოფილიყო გამოწვეული. ამიტომ უნდა ეთვლებინათ, რომ საზღერის პირს, სადაც
მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა, ქართველი ხალხი ცდილობდა უღრანი ტყეები
ქქონოდა, რათა ტყის თავდაცვითი როლი შეენარჩუნებინა. ასეთი მნიშვნელოვანი
მასივები მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა და მისი მუდმივი
მფარველობის ქვეშ იყო. ეს ვარაუდობდა უპირველესად ტყის სარგებლობის
რეგულირებას, რადგან ტყის სარგებლობის გაზრდა გამოიწვევდა მის გამჭვხერებას,
რაც დაუკარგავდა მას თავდაცვითი მნიშვნელობას.

ტყის მეორე ფუნქცია ძველ საქართველოში იყო მისი როლი სამონადირეო
მეურნეობაში.

ცნობილია ის ფაქტი, რომ ძველად ნადირობას არა მარტო გასართობის, არამედ
სამხედრო ვარჯიშის ფუნქციაც ეკისრებოდა და ბეგარასავეთ სახელმწიფო
ვალდებულებას წარმოადგენდა. სანადირო ადგილებს მზრუნველობა არ აკლდათ
და სათანადოდ იყენებ დაცულნი. ჯერ კიდევ XII ს. თამარ მეფის სამეფო კარზე
არსებობდა თანამდებობა „ტყეთ უხუცესი“, რომლის მოვალეობას სწორედ
სტრატეგიული და სამონადირეო ტყეების დაცვა შეადგენდა.

„ტყის მცველი“ მოხსენიებულია ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტში (IX ს.).
ალექსანდრე მეფის 1430 წ. სიგელში.

ვახუშტი ბაგრატიონთან „ტყის მცველი“ ბაზიერთუხუცესის სახელოსთან არის
მოხსენიებული:

„ბაზიერთუხუცესი, ამისი ჳელისა იყო: სრულიად ბაზარნი, ბაზურნი, მეძალღენი,
ძაღლნი, ტყეთა და ევლთა მცველნი, სანადიროთა მეფისათა“. ნაზარალიხანის 1690 წ.
სიგელში ტყის მცველი შეცვლილია „მეყორულით“.

საშუალო საუკუნეებში არსებულია ტყისმცველთა სპეციალური ორგანიზაცია,
რომელნიც წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ სამეფო კარზე. „ხელმწიფის კარის
გარიგების“ ტექსტის მიხედვით „ტყის მცველნი კიდე არიან. ესენი გიორგობასა
კარზედ მიელენ და თვედორობამდის კარზე არიან“. ეს შეკრება ითვალისწინებდა

ანგარიშის ჩაბარებას მათთვის მიწოდებულ ტყეებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქართული სამართლის ძეგლებში (დასტურლამალი, ბექასა და აღბუღას სამართალი, იონა ბაგრატიონის სჯულდება და სხე.) პირდაპირი მნიშვნელობით მოიპოვება ბუნების სიმდიდრეთა გამოყენებისათვის დაწესებული ნორმები და მათი დაცვისათვის შემუშავებული რეჟიმი.

ტყის მნიშვნელობის ფართო ცნებით გაგება მოცემული აქვს ქართველ სჯულმდებელს ეახტანგ VI-ს თავის „სამართალში“, რომელმაც საჯაროდ გამოაცხადა „რომ სამი რამ არ დაეჭირების კაცსა: ტყე, ბალახი და წყალი“. და შემდეგ ხსნის: „მთა და შუშა ამისათვის არ დაეჭირვის – თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შუშით არ დარჩების, ქვეყანაზე შენობა მოაკლდების და ხელმწიფის ლაშქარ-ნადირობა დააკლდების“.

ამ კანონთ ტყე (შუშა) სახელმწიფო საკუთრებად არის გამოცხადებული. მაგრამ სახელმწიფო ტყეებს გარდა არსებობდა აგრეთვე კერძო მიწისმფლობელთა, სამონასტრო, სასოფლო და საგეაროენო ტყეებიც.

საქართველოს მტრები – მონღოლები, არაბები, სპარსელები, თურქები ანადგურებდნენ არა მარტო მოსახლეობას, არამედ ტყეებსაც.


საქართველოს ტყეების განადგურების პროცესი განსაკუთრებით XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში გააქტიურდა, როდესაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გაიზარდა მოთხოვნილება ხე-ტყეზე, რამაც გააძლიერა ტყეების უსისტემო ჩეხვა.

XIX ს. დასაწყისიდან საქართველოში ტყით სარგებლობის გარკვეული წესები აღარ არსებობდა. ამის მიზეზი – ძველი ეახტანგისეული და ახალი რუსული კანონების აღრევაში მდგომარეობდა.

XIX ს. მთელ მანძილზე საქართველოს ტყეებში საექსპორტოდ იჭრებოდა ხის ძირფასი ჯიშები: ბუჩქი, კაკალი, მუხა, წაბლი, ურთხელი, იფანი და ნედლეულის სახით გაჰქონდათ სამხრეთ რუსეთში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ამ დროს ცნობილი მრეწველები იყვნენ: ზეზელმანები, ძმები ონანოვები და სხე.

დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა სათაედაზნაურო ტყეების განადგურებაც, რომელნიც პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აგორავებდნენ ან ყიდდნენ საკუთარ მიწებს, მათ შორის ტყეებსაც. ტყის ჩეხვამ მასიური ხასიათი მიიღო. მის აღდგენა-განახლების სამუშაოებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რადგან იგი ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო დიდ კაპიტალ დაბანდებასთან, მეორე მხრივ, ტყის ბიოლოგიურ თვისებებთან, დაბანდებული თანხების უკუგებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა კერძო მესაკუთრეებისათვის არასარგებლიანს ხდიდა ამ დარგს. მაგ.

1912–1915 წლებში მოლიანად განადგურდა თავად ციციანოვის 60000 დესეტიანა ტყის მასივი, თავად მაჩაბლის 40 ათასი დესეტიანა. 1917 წელს 1985 წელთან შედარებით ტყის ფონდი 654,113 ჰექტარით ნაკლები იყო. ტყის მასივი კიდევ უფრო განადგურდა 1917–21 წლებში, როდესაც შეწყდა ბაქოდან თხევადი სათბობის შემოზიდვა და მოსახლეობამ ამ დანაკლისის შეესება შეშით დაიწყო.



სურ. 1. მთის ტყე, ფშავი.

Рис. 1. Горные леса (Пшави)

1. Mountain forest (Pshavi)

1978 წ. მონაცემებით, ტყით დაფარული იყო საქართველოს ტერიტორიის 2146,5 ათასი ჰექტარი, დაუფარავი 80 ათასი ჰექტარი. 1 სულ მოსახლეზე მოდიოდა დაფარული ფართობის 0,54 ჰა.

1980-იანი წლების მონაცემებით ტყის საერთო ფართობი 3,02 მლნ. ჰექტარს უდრიდა ე.ი. საქართველოს მთელი ტერიტორიის 37,6%-ს.

საქართველოს ტყეები ვერტიკალური სიმაღლეების მიხედვით განლაგებულია შემდეგი სახით: ზღ.დ. 500 მ-ის სიმაღლეზე მოთავსებულია მთელი ტყეების 23,5%; 500-დან-1000-მდე – 22,7%; 1000-დან-1500-მდე – 16,6%; 1500-დან-2000-მდე – 17,4%

და 2000 ზევით სიმაღლეზე 19,80. ტყეების ასეთი გეოგრაფიული განლაგება აპირობებს ტყეების სახალხო მეურნეობრივი გამოყენების ხასიათს, მეურნეობის წარმოების ფორმებს და რეჟიმს.



სურ. 2. მთის ტყეები (გუდამაკარი).

Рис. 2. Горные леса (Гудамакари)

2. Mountain forest (Gudamakari)

გარდა ამისა, ვერტიკალური ზონალობა აისახება იმით, რომ ზღვის დონიდან სიმაღლესთან დაკავშირებით მთიანი სისტემის კალთებზე იცვლება ჰავა, ნიადაგი, მცენარეულობა, რაც განაპირობებს მოსახლეობის განფენილობას, სამეურნეო ზონალობას და მათ ურთიერთკავშირს. მოსახლეობის ყოფა, შრომა-საქმიანობა შეესატყვისება ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს. მთიანი რელიეფის ადგილობრივი საარსებო არე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამოკვების საშუალებას იძლეოდა, რომელიც სტაბილურად, ტრადიციული საქმიანობის წარმოებით ქმნიდა მთურ კულტურას, გამოხატულს სამეურნეო, მატერიალურ თუ სოციალურ ურთიერთობებში და დაფუძნებული იყო ლოკალურ ეკოლოგიურ ცოდნა-გამოცდილებაზე. ეთნოგრაფიული კვლევით (გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, ნ. ბრეგაძე, მ. ქანთარია, ლ. ბერიაშვილი, ლ. ფრუიძე და სხვ.) დადგენილია, რომ ბუნების

ვერტიკალური ზონალობის, მისი გეოგრაფიული სარტყლების, მთის, გარდამავალი ზოლისა და ბარის ბუნებრივ-სამეურნეო გარემო დიფერენცირებული იყო მიწათმოქმედების დარგების განლაგებითაც. მათი ზონალური შესატყვისობა კარგად ელინდება წლიურ სამიწათმოქმედო ციკლში, სამეურნეო წესების დინამიკურობაში, შრომის იარაღების მრავალფეროვნებაში და ა.შ.

ეთნოგრაფიული კვლევით ნათლად ჩანს რეგიონის მიკრო ზონალური მასშტაბები: მთა, გარდამავალი ზონა, ბარი. მაგ. არაგვის ხეობაში გამოელისნდა ბარის, დაბლობისა და მთის ტყეების წარმოების ხასიათი ლოკალური ნიშან-თვისებებით.



სურ. 3. შავი არაგვის ხეობა
 Рис. 3. Ущелье Черного Арагви
 3. Gorge of the Black Aragvi

საქართველოში დასახლება და მოსახლეობის გეოგრაფიული გაერცვლება ექვემდებარება ხეობების მიხედვით დასახლებას. მოსახლეობა ვერცვლდება ხეობის აყოლებით ბარიდან-სათავეებისკენ. დასახლებულ ადგილებს უკაეიათ ხეობის გაგანიერებული ძირები და ხეობათა მცირედ დაქანებული კალთები. დასახლება და მოსახლეობა მოქცეულია ტყის გაერცვლების ზოლში. ხეობათა ოროგრაფიული და პიფსომეტრიული თავისებურებანი არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობა, რომელიც იწვევს დასახლებულ ადგილთა და მცხოვრებთა

გავრცელებას, შემჭიდროვებასა თუ გაფანტულობას. ხეობაში მეურნეობის გარკვეული სისტემის ფორმირება მთისა და ბარის, მთური და ბარული მეურნეობების სინთეზს ემყარება, რამაც განსაზღვრა არა მარტო მეურნეობის სრულყოფა, არამედ ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლების, მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაც.

ცალკეულად ჩამოყალიბებული ყოველი ხეობა წარმოადგენს ისტორიულ-ტერიტორიულ ერთეულს, სადაც ყალიბდება ადამიანის საწარმოო და კულტურული გამოცდილება, მთა-ბარული სოციალურ-კულტურული კომპლექსი და ეკონომიკური კავშირურთიერთობა. მთა-ბარული კომპლექსები კარგად გამოიკვეთება მესაქონლეობაში: კარები, საბოსლოები, სამთოები, ღაბაგები (სეანეთში), აგერთა (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი), საკარე, ღაკადა (სამეგრელოში) და სხვ., რაც მთისა და ბარის ერთიანობის მატერიალური გამოხატულებაა.

მთურ ცხოვრებაში შესანიშნავად გამოიხატება მოსახლეობის ეკოლოგიური ცოდნა, როცა მცირე ტერიტორიაზე შესწავლილია ყოველი კუნჭულის მიკროკლიმატური პირობები, ბუნებრივი მოვლენები, ნიადაგები, მცენარეული სამყარო, ითვალისწინებენ მის ექსპოზიციას მზის მიმართ, ერკვევიან საძოვრების სტრუქტურაში და ა.შ.

გათვალისწინებულ იქნა რა, ტყის უმთავრესი ბუნებრივი კანონზომიერება სხვადასხვა ტიპის ღანდშაფტების ზონალობა ბარიდან-მთისკენ, რომელიც ქმნის მცენარეული საფარის მრავალფეროვან გეოგრაფიულ არეალებს შესაბამისს ტერიტორიის ტყიანობასთან, ტყის ჯიშებთან, წყლის სისტემასთან რაც იწვევს ცალკეულ რეგიონალურ და ლოკალურ თავისებურებებს, შეფარდებულს ბუნებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის სპეციფიკასთან – დაკვირვების ობიექტად შერჩეულ იქნა ხეობა. კონკრეტულ შემთხვევაში ბუნებრივ-სამეურნეო ვერტიკალური ზონალობა თვალსაჩინო გამოხატულებას იძლევა ცალკეული ხეობის შიგნით და ბუნებისმომხმარებელ ვერტიკალურ ჭრილში-ბარის, დაბლობის და მთის ტყეების მეურნეობის წარმოების ხასიათის, თავისებურებებისა და ლოკალური ნიშნების ჩვენებით; იგი საშუალებას იძლევა წარმოინდეს ცალკეულ ეკოლოგიურ პირობებს შეგუებული ტყის მცენარეული საფარის ეკონომიკური მნიშვნელობა და ამავე დროს, ცალკეული ხეობებისათვის დამახასიათებელი ზოგადსაერთო ნიშანთვისებებიც; კელევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლოკალურ, ტერიტორიულ გამოცდილებებს, რომელთაგან რიგი თვითმყოფ ნიშნებს გამოხატავს და რეგიონალური მნიშვნელობისაა, რიგი კი ზოგადქართული თავისებურებების ამსახველია და საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივ-სამეურნეო საერთო ნიშანთვისების მატარებელი.



სურ. 4. შავი არაგვი
Рис. 4. Черный Арагви
4. The Black Aragvi

მდ. არაგვის აუზი შედის კონტინენტურ-სუბტროპიკებიდან ზღვის სუბტროპიკულ კლიმატზე გარდამავალ ოლქში და მოიცავს სამ კლიმატურ ზონას:

1. 600 მ-დან 900-1100 მ. ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით.

2. 900 მ-დან 1100 მ-დან 1800-1900 მ-დე ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით.

3. 1800-1900 მ-დან 2500-2600 მ-მდე ზომიერად ნოტიო კლიმატი, შედარებით მშრალი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით.

კლიმატურ ზონებს შეესაბამება თეთოთუფლი ტიპისათვის დამახასიათებელი მცენარეული ზონები ვერტიკალური ზონალობის სისტემის პრინციპით.

I ზონას მიეკუთვნება დუშეთის რაიონის ბარში მდებარე სასოფლო საბჭოები: დუშეთის, ბაზალეთის, მჭადიჯერის, ჭოპორტის, სასოფლო საბჭოები ზღ.დ. 800-1000-1200 მ-მდე.

II ზონას – უინვალის, მალაროსკარის, გრემისხევის, ფასანაურის, ლაფანანო-კარის სასოფლო საბჭოები ზღ.დ. 1200-2000-მდე.

III ზონას – ბარისახოს, გუდანის კიტოხის, უკანაფშაეის სასოფლო საბჭოები.
ზღ.დ. 2000 მ. ზევით.

ტყის ზონებს შეესაბამისება ნიადაგის ზონებიც. გაერცვლებულია ტყის ყომრალი, ნეშომპალა, კარბონატული და ტყის გაეწრებული ყომრალი ნიადაგი. 2000–დან 3500-მდე მთა-მდელოთა ნიადაგი. ეს გარემოება აიძულებდა მეურნეს ყოველი მტკაველი მიწისათვის ებრძოლა ტყესთან, სათეს, სათიბ, სასაძოვრე ადგილების მოსაპოვებლად.

მ. საბაშვილის კლასიფიკაციით² არაგვის აუზში გამოიყოფა სამი ძირითადი ნიადაგური ზონა:

1. ეაკებისა და მთისწინეთის;
2. აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყეთა;
3. აღმოსავლეთ საქართველოს მთა-მდელოთა ნიადაგების ზონები.

არაგვის ხეობა წარსულში გაუეღლი ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ ზედაპირის ზომიერი დახრილობის გამო ტყის მასივები ადრიდანვე ათვისებულა სახნაე-სათესად, რასაც მოსახლეობის სიმჭიდროვეც უწყობდა ხელს. ამიტომ არაგვის აუზის ნაწილი სულ უტყეოა, ან მეორადი ტყეებით არის დაფარული³.

დუშეთის რაიონში ტყის საერთო ფართი უდრის 121000 კვ. მეტრს. აქედან I ზონაზე მოდის 55000 კვ.მ., II ზ. – 45000 კვ.მ. მარტო მაღაროსკარის სატყეოზე – 26000 კვ.მ.

ზემოთაღნიშნულ რეგიონში ტყის მეურნეობის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა არა მარტო ტყის მცენარეულ საფართთან, მის გამოყენებასთან დაკავშირებული ხალხური ჩვევებისა და ტრადიციების გამოვლენა. არამედ მოსახლეობის მიერ ტყის გამოყენების წლიური ციკლის დადგენაც.

ტყის მეურნეობა წარმოადგენს ერთ მთლიან სამეურნეო ციკლს, რომელიც გარდა იმისა, რომ თეითონ მოიცავს ცალკეულ სამეურნეო დარგებს, ამავე დროს მუდმივ გამოიყენება სხედასხვა სამეურნეო დარგების წარმოებაშიც.

ცალკეული სოფლების მიერ ტყის გამოყენების წლიური ციკლის შესწავლასთან დაკავშირებით დგინდება, რომ წლის განმავლობაში იგი აქტიურად არის გამოყენებული ხალხის სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში:

გაზაფხული – საქონლის დამატებითი საკვების ერთ-ერთი წყარო, სამასალე მასალის მოპოვება-დანიშენა, ახოს აღება, შემგროვებლობა.

² მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ. 1962.


³ ი. აფ ხაზაგა, არაგვის აუზის ლანდშაფტური დარაიონებისათვის, საქ. სსრ მკცან. აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, №3, 1962.

ზაფხული – სამასალე ხის მოჭრა-დამუშავება, სათბობი მასალის მომზადება (ნახშირი, შეშა), საკეები ბუნებრივი ბალახეულის მოხმარება.

შემოდგომა – საშეშე ხის ჭრა, ტყიური მეცხეარეობა, გარეული მეხილეობა.

ზამთარი – ტყიური მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეშეშეობა, მენახშირეობა.

გარკვეულ რეგიონში ტყე ხელს უწყობდა მეურნეობის ცალკეული დარგების დაწინაურებას, როგორცაა, მაგალითად მელორეობა. ხოლო კაპიტალიზმის გაერცვლების შემდგომ ტყის მასალის გამოყენების საფუძველზე სოგიერთმა შინამრეწველობის დარგმა სასაქონლო ხასიათი მიიღო, არაგვის ბარის რაიონებში – მეკერეობა, მეკასრეობა, მეკირეობა, მენახშირეობა, მეშეშეობა. არაგვის ხეობის მთაში – მეტყურჭლეობა (ფშავი), მეშეშეობა (მოიუღეთ-გუდამაყარი), მელორეობა (დუშეთი-ანანური) და სხვა.



სურ. 5. უთხოვარის კორომი, ფშავი

Рис. 5. Тиссовый перелесок, Пшави

5. Yew-tree copse, Pshavi

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა მცენარეულის გამოყენების პრაქტიკამ და ტრადიციულმა გამოცდილებამ ქართველ მეურნეს საშუალება მისცა

ექსპრიულად მიგნებული მცენარეულის თვისებები თავისი სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებინა. რაც აღბეჭდილია ტყის მცენარეულ საფართან, მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ცოდნასა და წეს-ჩვეულებებთან. მოსახლეობა არჩევდა ხის ჯიშებს შესახედაობის, წლოვანების, გამძლეობის, ანატომიის, მერქნის რაობის მიხედვით. გამოიშუშავა ხის მოპოვებასთან დაკავშირებული წესები, ხის დასაკუთრება-დანდიშენის ფორმები, ხის მოჭრასთან დაკავშირებული პრაქტიკული წესები. რუსიელიც ითვალისწინებდა გარკვეულ ბუნებრივ ციკლებს, როგორიცაა, წელიწადის დრო, მთვარის ფაზები, ტყის სიხშირე და ა. შ. ყურადღებას აქცევდა მცენარის 'ხრდა-განვითარების ნიშანდობლივ თვისებებს, რაც ექსპრიულად ექსპრიულად შექმნილებულ პრაქტიკულ ეკოლოგიურ ცოდნას. ტყისცოდნეობის გამოცდილება ასევე აღიბეჭდა ტყესთან დაკავშირებულ მდიდარ ტერმინოლოგიასა და მიელა-დაცვის წესებში.

მღ. არაგვის, მტკვრის, ლეხურის, თეძხის, ქსნის ხეობის აღნიშნული მიდგილისათვის შესწავლა-შედარებისას გამოვლინდა, რომ ზონალობას დამორჩილებული ბუნებრივ ფაქტორთა კომპლექსი იწვევს სამეურნეო პირობების მრავალფეროვნებას თეთაოფული ხეობის შიგნით და ამავე დროს, გავლენას ახდენს მეურნეობის ძირითადი დარგების ჩამოყალიბება-განვითარებაზეც. მატერიალურ-კულტურული მითხეონილებების დაკმაყოფილების პერიოდში ტყის რესურსების მრავალმხროვობა განაპირობებს მის მუდმივ საჭიროებას ხალხური ტრადიციული მეურნეობის სხვა დარგებში.

ამავე დროს ბუნებრივ-ეკოლოგიური და სამეურნეო პირობებთან შეყვარდებით ცალკეული ხეობის შიგნით ეხედებით განსხვავებას დასახლების ტიპებსა და მეურნეობის ფორმებში აღსანიშნავია, რომ მეურნეობისა თუ მატერიალური კულტურის ცალკეული დარგები მქმინდერეობა (გაახობის სისტემა), მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, დასახლების ფორმები თუ სხვა ტრადიციული საქმიანობა ტყის გარემოცვაშია და მისი გავრცელების სამივე ზონაში დანიშნულება-გავრცელების სპეციფიკური იერის მატარებელი. ამდენად, მასთან უშუალო კავშირშია ტყის გაკაფვის სისტემის თავისებურებები. თუ დაბლობ რაიონებში უპირველეს განვითარებას პოვებს მიწათმოქმედება, მასთან შეყვარდებით წარმოდგენილია გაშლილი დასახლება. მესაქონლეობის დაწინაურებულ რეგიონებში — მჭიდრო დასახლება, საინტერესოდ გამოიყურება ქსნის ხეობის მკვიდრთა დახასიათება მეურნეობის დარგთა განლაგებისა და ზონალობის მიხედვით: მინდერის ხალხი, ტყის ხალხი, მთის ხალხი⁴.

დაბლობ რაიონებში გავრცელებას პოვებს ჭაღლის ტყეები, უმთავრესად მდინარის ნაპირებზე, რომელსაც ეკისრება ძირითადად წყალშენახეითი და ნიადაგდაცვითი

⁴ მ. შაკალათია, მეცხოველეობა, კრებ. ქსნის ხეობა, "მეცნიერება", თბ. 1975, გვ. 62.



სურ. 6. დასახლების ტიპი, გუდამაყარი, სოფ. ათნოხი

Рис. 6. Тип горного поселения, Гудамакари с. Атнохи

6. Type of mountainous settlement, Gudamakari, village Atnokhi

დანიშნულება; ამავე დროს დამხმარე როლს ასრულებს მევენახეობის, მიწათმოქმედების წარმოების პროცესში (სარი, ჭიგო და სხვა). მთიან რეგიონში — სუბალპური ტყეები. რომლის ძირითადი ფუნქციაა მაღალი მთის კალთების დაცვა ეროზიისაგან, ხეაებისაგან. ამ ბუნებრივი დანიშნულების გარდა ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. ეთნოგრაფიული პოზიციებიდან ტყესაზრებლობის შესწავლა მთლიანად განსხვავდება მეტყვეობის ძირითადი ამოცანებისაგან, რომელიც ტყეს უყენებს სამ ფუნქციას: დამცველი, სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური. ეთნოეკოლოგიური კვლევა მიზანად ისახავს ტყის სოციალური ფუნქციისა და ბუნებასთან ურთიერთმოქმედებისას საზოგადოების შრომითი პროცესების გამოვლენას, ვინაიდან ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება არის არა მხოლოდ ბუნებრივი კატეგორია, არამედ ერთობლივი შრომის შედეგიც.

ამ მიმართებით მეტ მნიშვნელობას იძენს ეთნოეკოლოგიური კვლევა რეგიონალური კუთხით, რადგან იგი ავლენს ადამიანის მიერ ბუნებრივ, საწარმო



სურ. 7. დასახლების ტიპი, ხევსურეთი

Рис. 7. Тип горного поселения, Хевсурети

7. Type of mountainous settlement, Khevsureti

ძალების გამოყენების ადგილობრივი თავისებურებებს და მასთან შეფარდებულ ემპირიულ აგროტექნიკურ ხერხებსა და მეთოდებს აღმოცენებულს მრავალსაუკუნოვან საწარმოო ტრადიციებზე და ამდენად იგი რეგიონალურ ბუნებათსარგებლობის მოდელია. ყურადსაღებია ისიც, რომ კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური სისტემა ტრადიციულ ბუნებათსარგებლობის ნიმუშს წარმოადგენს ლოკალური რეგიონისათვის და მისი სხვა გარემოში გადატანა შედეგს არ იძლევა⁵.

ისტორიულად და ტრადიციულად აითქმის ყველა ქართული სოფელი ტყის გარემოცვაში ან ტყესთან ახლო მდებარეობს⁶. საცხოვრისის სიჭრელე განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ვიწრო ხეობებში, სადაც ყოველ ნაბიჯზე

⁵ ვ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, გვ. 15-30.
⁶ "სოფლის დასახლების ტრადიციული ფორმა კარგად ჩანს 'ხეობისტყვევლებაში': "სოფელი ტყისპირსა და წყლისპირსაო".

ცვალებადობს ბუნებრივი პირობები და მასთან კავშირში არა მარტო მცენარეულობა, არამედ მისი გამოყენების ფორმები და მეთოდებიც. რაც აირეკლება ხალხის სამეურნეო სფეროებში. მაგალითად ღუშეთის რაიონში, სოფლების განსახლება ხდება სატყეო ზონების მიხედვით.



სურ. 8. დასახლების ტიპი, მთიულეთი
Рис. 8. Тип горного поселения, Мтиулети
8. Type of mountainous settlement, Mtiuleti

პირველ 'ხონა'ში ძირითადად წარმოდგენილია ჯაგნარი, მუხნარები და წიფლნარები. მეორე 'ხონა'ში - წიფლნარები, შესამე - ალპური.

პირველ 'ხონა'ში ძირითადად ფოთლოვანი ხეების კორომები ჭარბობს. მეორე 'ხონა'შიც ხშირი ფოთლოვანი ტყეებია. წამყვან ჯიშათ ითვლება წიფელი და მუხა, შერეულია პანტა, მაჟალო, თხილი, რცხილა. ბუნებრივი ნაძვი 2 ჰა. ფართობი წარმოდგენილია კაწალხევეზე. ბუნებრივი წარმოშობის კაკასიური ფიჭვი გვხვდება მაღაროსკარში - ბზინა და შატელში-არაღუნის ხეობა, არხოტში - ასას ხეობა, ფასანაურში - ძმინათ ფიჭვნარი. მასიურად არის წარმოდგენილი იფნი. იფნის კორომები გვხვდება კიშხეში (კაწალხევისკენ), ვანხევეზე, პანტიანში - მაღაროსკართან. ბუნებრივი წარმოშობის კაკალი ორი ჰექტარის მოცულობით წარმოდგენილია

წიურანში (თვალივი). რელიქტური, ძველი ჯიშებიდან წარმოდგენილია ურთხელი-უთხოვარი ფშავში.

ტყე თითქმის ყველა სოფელს ეკერის 2-3 მ. მოშორებით. დაეასახელებს ზოგიერთ მათგანს: სოფ. ჩუგუნხანთკარს: ნაცარა, მუხიანი, კაკლიანი, ხატილეულ, აკირი, ტყისპირები.

სოფ. ჩირდილიანთკარს – ნაქეთკორაღი, ხაღორები, ოცხილის წყარო. სოფ. ბაზაღელის – მთაწმინდის ტყე, უანგანა, ბაკურიანის ტყე, ნაყურის ქელი, დიდმზხარე. სოფ. მჭადიჯვარს – ნაცარა, ახიები, დიდველები, ღამიანი, ტისის ტყე, გუდაბერა, აყუდებულა.

სოფ. ოძისს – გარიყულა ხევი, ხეე-ხმელა, ღვთაშობლის ტყე, ხოყის ტყე



სურ. 9. სოფლის შარა გზა, მარჯვნივ ქვისცვენა

Рис. 9. Сельское шоссе, справа - камнепад

9. Rural main road, to the right – stone fall

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მოსახლეობა სოფელიდან ახლო მდებარე ტყეს – დაბალ ტყეს უწოდებს, მის ზეჟიას, სოფლიდან მოცილებით მდებარე ტყეს – მაღალ ტყეს. წიწვიან ტყეს – შვე ტყეს, ყლითლოვანს – თეთრ ტყეს (აღიგენის რაიონი, სოფელი 'ხანაეი), სადაც მუხა ჭარბობს – მუხნარი, სადაც წიფელი – წიფლნარი,

ფიქტით ხელოვნურად განაშენიანებულს – ნარგავები და ა. შ. მოსახლეობა ტყეს სახელწოდებას აძლევს სტრუქტურის, მდებარეობის, ანატომიის, მცენარეულის გაერცვლეობის არეალის მიხედვით. მოხრობელთა გადმოცემით დაბალი ტყე, ჯაგნარია, სამასალედ და საშეშედ გამოუსადეგარი. დაბალ ტყეში გაერცვლეულია-კუნელა, ასკილი, კერინჩი, ზღმარტლი, მძახეელა, შინდი, მაცვალე. მაღალ ტყეში დიდი ხეებია, როგორცაა, მუხა, წიფელი, თეთრცხილა, შავ რცხილა, იფნი, მაჟალო, პანტა. მოსახლეობა სამასალედ ხე-ტყედ ასახელებს უინვალის, მადაროსკარის ტყეებს. გუდამაყარში – ოსაეის ტყეს, მთიულეთში – შინჩო-ყოჟონის, ლაკათხევის. წარსულში ცნობილი იყო ბულაჩაურის ტყე, რომელიც კარგ სამასალედ ხეს იძლეოდა.

არაგვის ხეობის მთიან ზონში, კერძოდ ფშაეში, ტყე ყველა სოფელს გარს ეკეროს.

სოფ. გომეწარში – ეშმაკ-ხევა. ჩალიანას ხევი, გორ-მაღალას ხევი, ვერხვიანა, თაგვათხევი, მაღაწლის ხევი, საეაშლოხო, მუხრანი.

სოფ. ხილიანაში – კანატას ჩირდილი, საქერენი, გაღაეანთგორი.

სოფ. მიგრიაულთაში – უკანტა, ეშმაკთ გორა, ჩირდილი, კილდოეანი, ვერხვიანა, თელიანა


სოფ. შარახევიში – ნასყდრალა, ჩრდილა, მუხიანი, შენდიანი, იფნიანა.

სოფ. კუჭუჭაში – მუჯათგორა და ა. შ.

მთიულეთ-გუდამაყარში ძირითადად გაერცვლეობას პოულობს სუბალპური ტყე. სუბალპური ტყე წარმოადგენს ვიწრო ზოლის სუბალპურ და ალპურ ველებს შორის. მისი სიგანე საშუალოდ 200-400 მ აღწევს. ზედა საზღვრის სიმაღლე განპირობებულია ჰაეის კონტინენტურობით, მთების მასიურობით და სიმაღლით. იგი აერთიანებს წიფლნარს, მუხნარს, არყნარს, ნეკერჩხალს, დეკიანსა და ლეიანებს. მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ტყეები მაღალი მთის კალთებს იცავენ ზეაეის, ქარისა და თოვლისაგან.

სუბალპური ტყე აღნიშნულ რეგიონში სახეშეცვლითაა წარმოდგენილი, რაც განაპირობა ადამიანის შრომითი საქმიანობის გააქტიურებამ. ბუნებრივი რესურსების არასისტემატურმა და დაუზოგაემა წარმოებამ, კერძოდ, მიწათმოქმედების, რაც დაკავშირებული იყო ტყის გაჩეხეისა და ახოს აღების სისტემასთან, გამოიწვია მცენარეული საფარის განადგურება და შექცირება. ამაზე მეტყველებს ტოპონიკაში შემორჩენილი ტერმინები მუხიანი, არყნარი, ურთხლიანა და სხე. რომელიც დღეისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე აღარ დასტურდება ან მცირე რაოდენობით გეხედება. სოფლების: თორელანის, გამსის, დიდებანის და სხვა ტერიტორიაზე მხოლოდ „ხატის ტყეშია“ შემორჩენილი მაღალი, ტანაყრილი მუხის და წიფლის ხეები, გარშემო სათიბებით შემორტყმული.

ხალხში შემორჩენილი ემპირიული ცოდნა რომელიც აქ გაერცვლებული ჯიშების სრდა-განვითარებას, ანატომიურ აგებულებას, მის ცალკეულ ლაღებთან თუ უარყოფით თვისებებს რომ ეხება ნათლად გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნდა ამ ჯიშების მოვლა-გამოყენების გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იგი მცირედ ან საერთოდ აღარ არის წარმოდგენილი; ასეთ ადგილებში ტყეს მოსახლეობა მოგონებითა და ასახელებს. მაგალითად, ამჟამად მიუხიანები მხოლოდ სოფ. ბახანში და წინამხარში გვხვდება, სამშენებლო ხე-ტყით კი მოსახლეობა მხოლოდ ოსაეის ტყიდან სარგებლობს.



სურ. 10. პირიმზე-ფუძის ანგელოზის და ჩოხის წმ. გიორგის ტყეები.
გუდამაკარი, სოფ. ზემო და ქვემო ჩოხი.

Рис. 10. Священные леса св. Гиоргии и Пиримзе-хранителя очага.

Гудамакари, селения Земо Чохи и Квемо Чохи

10. Sacred woods of St. Giorgi and Pirimze, hearth keeper.

Gudamakari, villages Zemo Chokhi and Kvemo Chokhi

ს. თორელაანს ადრე ტყე ჰქონდა: დუდგულანთ ხევი და ღერენიანთ ხევი. ს. დიდებანს – სამედიანი, ბაქვის ხევი, ს. გამსს – წყაროთა, ლეკიანი, ურთხილანი, ს. ჩოხს – ბუცნახევი, ტყელთხევი უკანა გზა, თეთრა მიწა, ს. ბურსაჭირს – არყიანი, ს. ბოსელში – ურთხილი ყოფილა გაერცვლებული. ამჟამად ტყეებს ასახელებენ ს. მაქართაში

ლუთხუბის ქედზე, დიდვაკის ქედზე, უხედრის ქედზე, ნასეილარაის ქედზე, მუხიანში, ქიჭოლის ძირში, ხერხაის ქედზე და სხვ.

ადგილობრივი მოსახლეობა კარგად ცნობს ტყის ნიადაგის აეკარგინაობას. განარჩევს ფერის, ადგილის, ნოყიერების მიხედვით, შავი მიწა, ქვიშნარი მიწა, დალიანი მიწა და ა. შ. მათი გადმოცემით „საცა ტყეა ყველგან შავი მიწაა, ფოთოლი ღპება, ნიადაგი იმით ნოყიერდება. ტყეში 'ხოგან თეთრი მიწაა თიხნარი, იქ მალალი ხე არ იზრდება, საცა შავი მიწაა იქ ტყე აყრილია, თითქო ნაკელმოყრილიაო. ქედებზე, საცა ფერდობი ადგილია, ქვიშნარი ნიადაგია, იქ უფრო მეტი იზრდება“⁶.

ან „მზიანი ადგილი არ ეარგოდა – თეთრი მიწა იცის. მიწას მზე სულ უყურებს, სიცხოველე დიდი აქ და ხე იზარება, დიდად არ იზრდება“ შემსწავლი აქვს, რომ ტყის მიწა „ფენა-ფენათაა დაგებული შავი-ყვითელი-თეთრი“ და ა. შ. პირხითში „ნიადაგი მოყვითალოა, ქვიშრობი-ნიადაგი, ხირხიტი ადგილი“ ჩირდილში – „მოშავო-დალიანი“ და სხვა.

მოსახლეობა არჩევს ხის ჯიშებს და ერთმანეთისაგან ასხვავებს ფერით, სუნით. შენიშნული აქვს ხის დამახასიათებელი ნიშნები სისეველე, ძარღვიანობა.

პრაქტიკულ დაკვირვებაზე დაფუძნებული ხალხური ცოდნა, რომელიც ხის ზრდა-განვითარებას შეეხება. ხალხის გაგებით, „ხე ტოტებით სუნთქავს, ფესვებით კი იკვებება“. „ყველა ხეს თავისი ადგილი აქვს ყველგან არ ღვება“, „ჩირდილში დიდი ხე იზრდება, მზარეში არა“, „იქ სადაც ვაკეა წიფლებია“, „შავ მიწაზე წიფელი და მუხა ხარობს, წითელ მიწაზე კუნელა, ლამიანში – კერინი“, „იფნი პირიმხის ჯიშია“, „მუხა პირიმხისაა – გულანია“ და სხვა.

ხალხური გაგებით, ყველა ხის ჯიშის ზრდა-განვითარებას განაპირობებს გარემო პირობები, მზის მხარე და ნიადაგი.

როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, კონკრეტულ გარემოში მზისა და ჩრდილის მხარეების მიხედვით ხალხი განარჩევს მის სამეურნეო მნიშვნელობას. ასეთი ადგილების სახელწოდებად მიღებულია – *პირმზითი* და *ჩირდილი*.

მოსახლეობის გამოცდილებით⁷ პირმზითში ხე იზარება „მზე სულ მიწას უყურებს, სიცხოველე დიდი აქვს და ხე იზარება, დიდი არ იზრდება, ჩირდილში, ნესტი მეტია, ხშირი ტყე მოდის“. პირმზითში იზრდება ძირითადად მუხა, ჩირდილში – წიფელი. მაგ. „საცა პირმზითია იქ მუხაა, მუხას პირიმზე ადგილი უყვარს“ ამიტომ მასიურად ყველგან პირმზითს მუხიანს ეძახიან, ჩირდილს – წიფლნარს.

⁶ საველე დღიური, № 1-5, ბახალეთისა და ანანურის სასოფლო საბჭოები, 1999 წ.

⁷ საველე დღიური, № 6, ფშავი, 1999 წ.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა ტყეოსარგებლობის პრაქტიკამ და ტრადიციულმა გამოცდილებამ ადამიანს საშუალება მისცა მისთვის საჭირო მოვლენის თვისება გამოეყენებინა თავისი სამეურნეო მიზნებისათვის. ტყეომცოდნეობის გამოცდილება აღბეჭდილია ტყესთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაშიც.

საყურადღებოა ხალხური ცოდნა-გამოცდილება სამასალე ხის ჯიშების შერჩევა-შეგულების საქმეში. ხის შერჩევის წესი ძველი დროიდან მომდინარეობს. იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისათვის იჭრებოდა ხე, შიირსიოდა შესაფერისი ჯიშის, ყურადღება ექცეოდა მერქნის რაობას, ხის სისწორეს, ანატომიას. მგ. კოჭებად, ბოძებად, ფიცრებათ ცნობილი იყო მუხა. ვისაც ბოძებად მუხა აქონდა ის სახელიან, სასაქებო ოჯახად ითვლებოდა ფიცრებად, სივნივებად წიფელი. მუხისკალურ ხაკრავებს მგ. ხინგურს თუთისაგან, ხალაძურს მურყენის ხისგან, სტეირს ასკილისაგან გამართავდნენ. ფიცრებად „ბებერ“ სრდადასრულდებულ ხეებს არჩევდნენ ლარტყად - ნელსი, საწვავად - გამხმარ ხეებს და ა. შ. ეთნობრაუოლო



სურ. 11. ცაცხვის ხის ყვავილის შეგროვება, ხევსურეთი
 Рис. 11. Собираание липовых цветков, Хевсурети
 11. Gathering of lime-blossoms, Khevsureti

მასალები მთავითაიოებს, რომ სამასალე ხე-ტყის მოჭრა-დაშუშავება გარკვეულ წესებს ექორწილებოდა და ამისათვის წლის ყველა დრო მიზანშეწონილი არ იყო.

მოსახლეობა უხედად იყენებს ტყის ხილს და მცენარეებს როგორც საჭმელად, ისე სამკურნალოდაც.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტყის ექსპლოატაციის ხალხური წესების შესწავლამ გამოავლინა, მოსახლეობის მიერ მისი გამოყენების რაციონალური მეთოდები, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ტყის მასიური განადგურებისაგან დაცვის საქმეში. გარემოსთან შეგუების პროცესში ადამიანი მივიდა მისი ეფექტური გამოყენების მეთოდებთან. მიუხედავად იმისა, რომ მთიანი რეგიონებისათვის ტყე არსებობის ძირითადი საშუალება იყო, მისი ხელაღებით გაჩეხვა ხალხური ცხოვრების წესს არ ესადაგებოდა. აქ შემუშავებული იყო ტყეების ექსპლოატაციის ხალხური მეურნეობის წარმოების წესები, რომელიც განაპირობებდა მისი პრაქტიკული მოხმარების ხასიათსაც.

ადრეული პერიოდიდან საქართველოში ცნობილია დიფერენცირებული სატყეო მეურნეობა: *სასარე, საკაფი, სალობაეი, საჯაღჯე, საშეშე* და სხვ. ჩეტყეეობის ამგვარ დიფერენცირებულ განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სოფლის მეურნეობისათვის, არამედ თვით ტყეების დაცვის თვალსაზრისითაც, რადგან ამ პატარა ტყის კორომებს მოსახლეობა ძირითადად სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდა და, ამავე დროს სოფლის ახლოს მდებარე ტყის მასივებს იცავდა ყოველწლიური გაჩანაგებისაგან.

სასარე მეურნეობის პროტოტიპია რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული საბელაეი და ნამოშვარი ტყეები. საბელაეი და ნამოშვარი ტყეების მოხმარება ერთდროულად ტყის დაცვას, მის ბუნებრივ განახლება-გაახალგაზრდაებასაც ვარაუდობდა⁸.

მთის ტყეების გვერდით საქართველოში ფართოდაა წარმოდგენილი ჭალის ტყეები⁹. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტყის შემქმნელი ხის მთავარი ჯიშებიდან — ვერხვი, ტირიფი, თუთა, მურყანი და სხვ. დაბლობ რაიონებში უმთავრესად მდინარის ნაპირებზეა გავრცელებული და წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი ფუნქციები ეკისრება. ამავე დროს, დამხმარე როლი — მებენახეობის, მიწათმოქმედების წარმოებაშიც (სარი, ჭიგო).

გარკვეულია ისიც, რომ ჭალის ტყე ყველგან ერთნაირი შემადგენლობის არ არის. წყლისპირთან ვერხნარები ან ტირიფნარებია, წყლისგან დაცილებით, სადაც ნაკლები ნესტია, მუხნარები და თელნარები. ხალხური შეფასებით ჭალა ნოყიერი

⁸ ლ. ფრუიძე, ფასდაუდებელი სიმღიდვრე, გაზ. "სოფლის ცხოვრება", № 22, 1969; მისივე, ყოფა და ტრადიციები, გამ. "მეცნიერება", თბ. 1981, გვ. 9.

⁹ ნ. კეცხოველი, აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები და მათი აღდგენის საკითხი, სსრმ, XVIII, 1942, გვ. 7-9.

ადგილია რაც განაპირობებს მის სამეურნეო ღირსებასაც, (წყალთან სიახლოვე, მდინარის მიერ მოტანილი ლაში, ფოთოლნარევი მიწა). ხალხში არსებობს ჭკლის ნიადაგის და სამეურნეო თვისებების დიფერენცირებული ცოდნა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ჭკლაში წარმოდგენილია ნიადაგის სხვადასხვა სახეობა: ლამგვარი



სურ. 12. ჭკლის ტყე.
 Рис. 12. Прибрежный лес
 12. Riverside forest

ალაგი, ბალყუმი მიწა, ხირხატი ალაგი. ადგილობრივ მკვიდროსა დაკვირვებით ლამგვარი ნიადაგი „კარგია, დაქვირიობებულია, ბოშია და ფესვი კარგად მუშაობს“. „ბალყუმი მიწა უფრო მკერივია, კარგი ბალახი იზრდება“, რომელსაც მოსახლეობა ტყის ბალახთან შედარებით უპირატესობას აძლევს. „ხირხატი ჭკლა გამოუსადეგარია, მას არავითარი სარგებლიანობის მოტანა არ შეუძლია“.

ამ გამოცდილებების შესაბამისად ხალხს ჭკლის გამოყენების სხვადასხვა ხერხისთვის მიუმართავენ. იგი შესაფერ პირობებში გამოყენებულია სახნაე-სათესად, საძოვრად, საბოსტნედ, ბაღებად, მაგრამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰქონდა სატყეო მეურნეობას, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობაზე მისი ცალკე სახეობებად დიფერენციაციაც მეტყველებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ჭაღლის ტყეებში დაცულია თავისებური რაციონალური მეურნეობა. აქ გამოყოფილია *სასარე, სამარგოლე, საკაფი, საშეშე, უკაფი* ტყეები. ამ ტიპის მეურნეობის მალალი კულტურის შაჩვენებელია ისიც, რომ ძველი იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში საკაფი, სასარე ტიპის ტყეები მოხსენიებულია სხვა ტიპის სამეურნეო ნაკვეთებთან ერთად მაგ. ბალსან, ეენახთან, სათობთან და სხვ.

ჭაღლის ტყის სასარე და საკაფე მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის წარმოებაში. იგი გამოიყენება ვა'ხისთვის *სარად (ჭიგოდ)*, ღობისთვის – *მარგოლბად*, ხეხილისთვის – *ბოწკინტი*, სამამულე *ლობედ*, *ფინახად*, *საიარაღე* მასალად, მებოსტნეობაში – *სარუბად* და სხვ.

ტყის მოხმარების ხალხური წესების შესწავლა ავლენს ტყესთან ურთიერთობის კულტურასაც, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ცხოვრებაში ტყის ყოველწლიური მოხმარება უამრავ ხარჯთანაა დაკავშირებული, უმი'ხნოდ ხე არ იჭრება და ხალხური წესით ხის მოჭრა მის ხელახლა აღმოცენებასაც ვარაუდობს.

1. *ხის მოჭრის წესები*. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემებით ხის მოჭრა წლის ყოველ დროში დასტურდება¹⁰. ხის მოჭრის დროს მასალის ფუნქცია განსაზღვრავს. სამასალე ხე იჭრებოდა საფხულში ან შემოდგომით, საშეშე – გვიან შემოდგომაზე „როცა ფოთოლ დაყრილია“, სენაეთში შეშის მოსატყრელად გაზაფხული ითვლება კარგ დროდ, ხენა-თესვის დამთავრებისათანავე, სავეჯე ხისთვის – შემოდგომის დასაწყისი (ტყის ხედა სარტყელი ან გვიანი შემოდგომის ტყის შუა სარტყელი). აჭარაში სამასალე ხის მოჭრის საუკეთესო დროდ დეკემბერ-იანვარია მიჩნეული, ზემო აჭარაში ხამთრის ხანგრძლივობის გამო – ნოემბერ-მარტი, ფშავ-ხევსურეთში – 'ხაყხული და შემოდგომა.

ხის დამზადება სხვადასხვა საჭიროებისათვის სხვადასხვა სამუშაოებისათვის წინებად, რომელიც სეკონურად ნაწილდებოდა წლის განმავლობაში: ტყეში ხის შერჩევა, მოჭრა, დამზადება (საჭიროების მიხედვით საშეშედ, სამასალედ და სხვ.) მოჭრილი ხე-ტყის ტყეში დაწყობა-გაშრობა, ხე-ტყის გადმოხიდავა (თრევისა, დაცურებით, მარხილით, ურმით), საცხოვრებელ სახლში ხე-ტყის დაწყობა-განაწილება (სამასალედ, საშეშედ...) საშეშე ხე-ტყის დალაგება (ხალიკად, ჩახტად საოჯახო საჭიროებისთვის, საუანად-გასაყიდად).

¹⁰ ლ. ბედუკაძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, "მეცნიერება", თბ. 1973; გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ. 1982; მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1961; ჯ. ვარშალოშიძე, ორნამენტის ხეზე, ბათუმი, 1979; მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ტურტელი, "მეცნიერება", თბ. 1988.

ხის მოჭრა ყველას შვედლო, მაგრამ შერჩევა განსაკუთრებულ ცოდნასა და დაკვირვებას საჭიროებდა. ხის შერჩევა ხდებოდა საჭიროების მიხედვით. მაგალითად, სამასალე ხის შესარჩევად სხვადასხვა მონაცემებს ითვალისწინებდნენ - სისქე, სიმაღლე, ტოტიანობა, (სამასალელ ნაკლებტოტიანი გამოდგებოდა), ხის ღირსებას მისი ადგილმდებარეობითაც განსაზღვრავდნენ: ჩრდილში გაჩრდილი *ჯაჯელი ხეა*, ძაყიანი, მასალად არ გამოდგება. მხეში გაჩრდილი კი *ფატარია* ადვილად იხერხება და დასამუშავებლად ნაკლებშრომატევადია. სამასალე ხეს თავისი გამჭოლი ზოდის მიხედვითაც არჩევდნენ: ხეს ზოლი თუ სწორად მისდევს, ის „ნაგრეხი“ არ არის და სამასალედ მიზანშეწონილია. გარდა ამისა, „მსხვილმარღვიანისაგან“ მეტი მასალა დგებოდა, „წერილმარღვიანი“ კი უბარაქო იყო.




სურ. 13. ხის დამუშავება

Рис. 13. Обработка лесоматериала

13. Wood processing

გარეგნული ნიშნებით არჩევდნენ *გულიან* და *უგული* ხეს. უგული-ახალგაზრდა ხეა, თხელი და სუსტი. გულიანი - ხანდასმული ხეა, სწორი ხე *დედალი ხე* - ვარგისია, დაბრეცილი *მამალი ხე* - არ გამოდგება. სამასალე ხე ჯანმრთელიც უნდა იყოს, ამას ფერით არჩევენ, ხის კანს მოლურჯო ფერი უნდა დაჰქრავდეს და ა. შ.

ინფორმატორთა გადმოცემით საშეშე ხე „სხვა გუნებისა უნდა იყოს, ცვეცხლი და სითბო უნდა ჰქონდეს“. „სადაც ხშირად მოდის ტყე, იქ საშეშე არ იზრდება და არც ჩირდილის ხე ვარგა“. „მზეში გაზრდილი ხე ცხიმიათი კარგად იწვის“. გამსმარი ბებერი ხე შეშად კარგია, ახალგაზრდა – ნელთა და „არ იწვის“ მოსახლეობის და კვირებით, სამასალე ხე „ხშირში“ უფრო კარგი იზრდება, მზისკენ მისწრაფვის ყველა მადლდება და გამოდის სწორი ხეები. მქსიერში კი გადაიქცევა, ტოტებად „გაიბარუნება“ (ყშაგი).



სურ. 14. ხის გაშრობა საცხოვრებელ სახლთან

Рис. 14. Сушка дров у жилого дома

14. Firewood drying near the dwelling house

გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მოსახლეობა იცავს გარკვეულ წესებს წლის სეზონის, მთეარის ფაზების მიხედვით. მნიშვნელობა ენიჭება დღე და რიცხვებსაც. ხის მოჭრა არ შეიძლება ოთხშაბათ და პარასკეე დღეს, კარგ დღედ ითვლება ხუთშაბათი „სავესე დღე“ ახალ მთეარეზე არ ჭრიდნენ „ზრდაშია და მალე დაჭიანდება“, ძველ მთეარეზე კი „ზრდადასრულებულია“

ხე როგორც წესი იჭრებოდა ტყის შუაგულში. გ'ხის პირებზე და სოფლის ახლოს ხეს არაეინ მოჭრიდა. ტყის გაჭრა ხლებოდა შერჩევით. ამჯობინებდნენ „ხშირ“

ტყეში შეთხელებას, რომ სხვა ნორჩი ხეებისთვის გაზრდის საშუალება მიეცათ. მოსატრელად შეარჩიებენ წლოვანს, მერქნიანს, რადგან ინფორმატორთა



სურ. 15. ნიაღვრისაგან გამოორიყული ხეების დამუშავება

Рис. 15. Обработка выброшенных потоком дров

15. Processing of firewood thrown out by the stream

გადმოცემით: „ახალგაზრდა ტყეს ვუყრახილდებით, იქ არ შევალთ ეცლილობთ მოსატრელი ხე იყოს დიდი, ერთი ძირის მოჭრა უფრო მომგებიანია, ვიდრე ათის და ახალგაზრდის, რადგან მერქანს ერთი ბებერი ძირისაც ვერ მოგვეცემს” ან „ახალგაზრდა, წალი ხის მოჭრა ცოდება”


მოსახლეობა გარკვეული პრაქტიკული გამოცდილებით უყრახილდებოდა ტყის შეთხელება-გაველებას. „როცა ტყე თხლადაა ძაან გაველება, გახუება არ შეიძლება, საცა ხშირია იქ უნდა გამოხშირდეს. ზოგი ხე გვიან იზრდება. თუ ქვიშნარზეა – უფრო გვიან, არც მაღალი გამოდის. თიხნარ, ნესტიან ადგილზე მაღალიც იზრდება და ხშირადაც მოდის, ამიტომ ქვიშნარ ადგილზე მოჭრას ვერიდებით. ქვიშნარ ნიადაგში თესლი რომ ჩადის გვიან ამოდის, თიხნარზე წიფელს, რცხილას, შვინდს კურკა უფრო სწრაფად მოდის, არ მოცდება, გაღვივდება”

გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას ემორჩილება ცალკეული ხის ჯიშების მოჭრის წესებიც.

არყის, თხილის ხეები, როგორც წესი გაზაფხულზე იჭრება სანამ ხე „გაიფოთ-ლებს“. ხეს ძირში არ გადაჭრიდნენ, კელავ „ანორჩების“ საშუალება რომ მიეცათ.

ტყეში თავდაპირველად შეარჩევდნენ მოსაჭრელ ხეებს. გამორჩეულ ხეებს „შემოყვერავდნენ“ ნიშანს დაადებდნენ¹¹. მოწონებული ხის მისაკუთრება საქართველოს ყველა კუთხისათვის ნიშანდობლივი ყოფილა და *ნიშნის, თარჯის, თაღარის* სახელით არის ცნობილი. ნიშანდადებულ ხეს სხვა არ მიეკარებოდა (ტყე იჩეხებოდა შერსევით ან ბითუმ. შერსევით ადგილობრივი მოსახლეობა, ბითუმ-მიყოლებით მენახშირეები).

ხის მოჭრა ხდება ცუდით ან ბირდაბირით. ცუდით იჭრება პატარა ხეები, ბირდაბირით – დიდი ხეები. ხის მჭრელს საეისი საქმიანობა მზის ამოსვლამდე უნდა დაემთავრებინა.



სურ. 16 . ზამთრისთვის დამზადებული შეშა

Рис. 16. Заготовленные на зиму дрова

16. Firewood prepared for winter

¹¹ ნიშნის დადება მოწმდება საქართველოს ყველა რეგიონში. მაგ. ხევსურეთში ტოტს კაპის ჩამოაჭრიდნენ და წსელის რგოლს ჩამოაცმევდნენ. მთიულეთში სამ ადგილას შემოუჭკვედნენ. ყშაქში – ჯეარს დაუსვამდნენ, თუშეთში – სერს.

ხალხი მნიშვნელობას ანიჭებს ტყეში მოშუშავის საკვების რაობას. მაგალითად ვირილებიან მარილიან საჭმელს, რომ არ გამოიწვიოს წყურვილი, რძის ნაწარმს, სასმელს.

მუშაობის დაწყებამდე ხის მჭრელი გადაიწერდა პირველად – „ღმერთო ძალა ჩემო, საბუშაო კარგად დამამთავრებინე, ბარაქა და ხევიანობა მიეცი ოჯახსო“ და დაიწყებდა მუშაობას.

პირდაპირი ჭრის დროს ცულის ჯერ უკნიდან დაარტყამდნენ „ჩიუნაფოტებდნენ“. შემდეგ იმავე სომასზე – წინიდან. ასე მქორდებოდა რამდენჯერმე. („ძარღვები თუ არ ჩაეჭრა, ხე ვერ წაიქცევა“).

გვერდითი ჭრის დროს, ჯერ ერთი გვერდიდან დაარტყამდნენ ცულის შემდეგ მეორე გვერდიდან. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ხე ხმას გამოსცემს „ჭიჭინებს“ ანის შემდეგ „გადაწევა“.


მოხელე ხის ჭრის ამ ხერხებს იყენებს იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეზე აწყობს ხის წაქცევა. მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, ხის გადაქცევის დროს ღიდი ან მოხარდი ხეები არ დაასიანონ.

თუ რამდენიმე ხეა მოსაჭრელი, ერთდროულად, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარი, მაშინ ბოლო ხიდან დაიწყებდნენ გვერდით ჭრას, ჩამოუელიდნენ ყველას რამდენჯერმე იმავე წესით, ოღონდ საითაც უნდა გადაწევის, იმ პირველ ხეს ცოტას მოჭრიან, ბოლოს – ყველაზე მტკს: „ხე ხმას როცა გამოსცემს, მაშინ უკან მდგომ ხეს მაგრად დაარტყამ, ის წამოვა და ერთად გადააწევენ ყველას“

ხის მოჭრის დროს ყურადღება ექცეოდა მის წლოვანებას, ფორმას, სიმსხოს. გარდა ამისა, ხის მოჭრა შეიძლებოდა ძირიდან საში მტკაველის სემოს, რათა ხეს შემდგომი აღმოცენების საშუალება მისცემოდა. „ხე მიწის პირზე არ უნდა მოსჭრა. ისე უნდა მოსჭრა რომ, რაც მოსჭერი ისევე უნდა ამოვიდეს. თუ ასე არ მოვიქცით, ჩემს შვილს უტყვოდ დაეტოვებ. ისე ბებრის მოჭრა სჯობს. ჯერ ერთი არ მრუდდება, გამოსულია, მეორეც, ნაყოფს არ ეხარალობო. ცხოვრება დამთავრებული აქვს, ხომ უნდა გაიბარტყოს, მოჭრის მერე კი ამოიყრის ხშირად“.

გაზაფხულზე ხის მოჭრას მოსახლეობა ერიდება. „ამ დროს ხე ცოცხლდება. წყალი უდგება და გვეცოლება, გაცოცხლდა და მოეჭრაითო. წყალი რომ გაუშრება მერე უნდა მოსჭრა“. ამ დროს მოსახლეობაში სასმელად იყენებდნენ ნეკერჩხლის წვეს. უმეტესად ბავშვები. ნეკერჩხლის ქერქს მრგვალად ამოჭრიდნენ, შიგ ბალახის ღეროს ჩადებდნენ და წუწნიდნენ. ხის წვენი საქარსველოში სხედასხევა სახელწოდებითაა ცნობილი: *ლოპო//მოწი* (თუ შეთი)//*ლაპო* (ფშაფი, მთიულეთი). წვენი ხეს გაზაფხულზე უდგება და აგვისტოში შრება. ლოპოს ხალხი „*ხის წვენს*“,

„ხის ცრემლს“ უწოდებს: „ხეს ცრემლი გადმოსდის, ლოპო აქვს შერეული, მაშინ იღვიძებს ხე. ხის მოჭრა ამ დროს ისევე ცოდვია, როგორც მძინარი კაცის გაღვიძება“ ასეთი ცოდვა კი შეიძლება ოჯახის განადგურების, ავადმყოფობის მიზეზიც გახდეს.



სურ. 17. წნული სამეურნეო ნაგებობა

Рис. 17. Плетенное хозяйственное строение

17. Wicker household construction

ამიტომ გასაყუხულოე ხის მჭრელი „ცოდვიან კაცად“ ითვლება თუ არ „დაინანა“ – ღმერთის პატიება უნდა სთხოვოს. სახლში მისეღისას სანთელი უნდა აათნოს და ღმერთს შესთხოვოს „მაპატიე, ნუ გამიწყრები ღმერთო, დღეის შემდეგ ხელი გამიხმეს თუ მოეჭრაო“.

გაზაფხულზევე იჭრება წნულისთვის გამოსადეგი მასალა. უმეტესად თხილი, „ბევრ წყალს რომ გამოჰყოფს მოქნილია და ადვილად დასაწნელი, წნელებს შუაგულიდან იღებდნენ ხე რომ არ დაზიანებულიყო“. გაზაფხულზევე იცოდნენ ახოს ასაღებად ადგილის მონიშვნა სამიჯნეებით – დიდ ქვებს დააღაგებენ ან განაპირა ხეებს დანიშნავდნენ ოთხივე მხრიდან. ამ დროს სამასალე ხეების მონიშვნაც იცოდნენ.

დასამუშაებლად ვარგისს – *სამუშაო ხეებს* უწოდებენ.

მოჭრილ ხეს ნიღვრიანი კობიტით – ცალპირა ცულით გასხევეპავდნენ – ტოტებს გააცლიდნენ. გალოპრავდნენ – გაქერქავდნენ და დამორავდნენ. ეს ხდებოდა შემოდგომამდე, რადგან „ლოპრიანი ხე, მთხრობელთა გადმოცემით, დასამუშავებლად არ ეარგა. საავეჯე მასალად არ გამოდგება, არც ჭურჭლეულისათვის. ლოპროში მოჭრა კარგია შეშად, კარგად ხმება და კვარივით ხდება“ (სოფ. ლარგვისის მასალები).

გამზადებულ მორებს „კაუქს“ – ჯაჭვის ან თოკის გასაყრელს // „რკინის სახიდს“ გამოსდებენ და ტყვიან ხარებით გადმოხიდავენ.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება ხალხური ემპირიული ცოდნა სამასალე ხის ჯიშების შერჩევის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და საოჯახო ავეჯად გამოყენების ეარგისთანობა. მაგალითად, დედაბოძებისა და თავხეებისათვის გამოყენებულა მუხა. წიფელი – კარ-ფანჯრებისათვის.

საშეშედ ხე იჭრებოდა გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც. გაზაფხულზე მოჭრილი შემოდგომისათვის უკვე გამწვანალი იყო.

მოჭრილ ხეებს ერთ ადგილზე შეაგროვებდნენ, რამდენიმე ადგილზე ერთი მარხილის ოდენა *ბორყე*-ს გააკეთებდნენ და მარხილით სახლამდე მოიტანდნენ. ხოლო სამშენებლოდ გამზადებულ, გასხეპილ და დამორილ ხეებს დააცურებდნენ წნელით, დელეკით, რკინის ჯაჭვით, თოკით ერთმანეთსე მიამაგრებდნენ და ხარით ჩამოათრევდნენ.

ფშავ-ხეესურეთში გასხეპილ და კარგად გაქერქილ ხეებს, ხარების უღელში შეაბამდნენ ჯაჭვით და ჩამოათრევდნენ, ყურდობ ადგილზე კი დააგორებდნენ.

ამრიგად, ხალხის პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დამუშავდა მრავალი საყურადღებო ხალხური დაკვირვება ხის მასალის შერჩევა-შეგულების, დამუშავების შესახებ, რომელიც შეესაბამებოდა საოჯახო ან სამეურნეო მოთხოვნებს და უპირველესად ტყის საფარის რაციონალურ ათვისებას.

2. ახოს აღების სისტემა. სამიწათმოქმედო სისტემის უძველეს საფეხურს განეკუთვნება საახოვე მიწათმოქმედება, რომელიც ცნობილია საქართველოს როგორც მთის, ისე ბარის სინამდვილეში და უკავშირდება ტყის გაკაყვას სახნავე-სათესი და სათიბი მეურნეობისათვის.

არქეოლოგიური მონაცემებით, საახოვე მიწათმოქმედების განვითარება ნეოლით-ენეოლითის ხანის პერიოდს ემთხვევა¹². ამას ადასტურებს ამ პერიოდის ქვის წვერწამახული თოხნაირი და წერაქვისნაირი მიწის სათხრელ-საჩიჩქნი იარაღის სიმრავლე. საახოვე მიწათმოქმედების განვითარებით უნდა იყოს გამოწვეული დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითურ ძეგლებზეც ქვის ცულებისა და წალკატისებური იარაღის დადასტურებაც¹³.

თანამედროვე ეთნოგრაფებმა ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის სპეციფიკისა და საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემის ტიპოლოგიისა და ევოლუციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევისას, სათანადოდ წარმოაჩინეს საახოვე მიწათმოქმედების შრომითი პროცესების არქაული ნიშნები, საანტიმდევრობა, განვითარების მიზეზები. ცხადეყვს, რომ ახოს აღება სახნავე მიწების განვითარების პირველი საფეხურია და უშუალოდ დაკავშირებულია მემინდერეობის განვითარებასთან.

საახოვე მიწათმოქმედება უძველესი დროიდანვე მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადი ნიშნებით ხასიათდებოდა. იგი დამახასიათებელი იყო ძირითადად მთიან და მთისწინა ზოლისთვის. ნაკლებ იყო გაერცვლებული ვაკე ადგილებში. მიწათმოქმედების ამ ტიპის განვითარებას ხელს უწყობდა მცირეჩიწიანობა და ტყის მასივი.

ახოს აღების სხვადასხვა წესი გამოცდილებით მიღებული შრომითი ჩვევების საფუძველზე ჩამოყალიბდა. პირველი წესი გარაუდობდა ტყის გაჩეხვას და ცეცხლის გამოყენებას, მეორე – ბუჩქნარის გატეხვას და ამოფესვას.

ახოს აღების პირველი წესი¹⁴ ემორჩილებოდა სეზონურ ციკლს: „ტყე მკათათვეში გაიჩეხებოდა, მარიამობის თვეში გადაწვეადნენ, შემოდგომაზე გადაბარაე-გადაქორჩიდნენ.“ მეორე შემთხვევაში – შემოდგომით ბუჩქებს ფესვებით ამოყრიდნენ-ამოფესვადნენ.

¹² ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 17-20; ნინო ბერძენიშვილი, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრაშიწიდან, მსკე, ნაკვ. 29, თბ. 1961; ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ. 1972.

¹³ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-25.

¹⁴ ეს უკანასკნელი გაერცვლებული იყო ვაკე ადგილებში.

ტყის განეხებისათვის და საახოე ადგილის ამორჩევისათვის საჭირო იყო „მცოდნე კაცი“ ტყის მნაყველი” (ხეესურეთი) რომელიც ცნობდა ნიადაგს, ტყის შედგენილობას, ითვალისწინებდა საახოე ადგილის მდებარეობას, მისასვლელ გზებს და ა.შ. მაგ. ახოსთეის მეურნე არჩევდა „პირზითის“ ადგილს, შედარებით „მეჩხერს“. ძირების ამოძირკვა რომ გაადვილებოდა და ა.შ. ხალხის დაკვირვებით ახოსთეის წიფლის ნაღვოში ტყე უკეთესი იყო. ლიტერატურაშიც აღნიშნულია, რომ კარგი მოსაველიანობის გამოირჩეოდა ის ადგილი, რომელსაც მძლავრი ხეები იდგა“¹⁵

გარკვეული ეკოლოგური ცოდნის საფუძველზე ხდებოდა ტყის გაკაფვა სამაქულედ. ეთნოგრაფიული მასალები ავლენს ქართველი ხალხის რაციონალურ წესებს ტყის „გამოღების“ და სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებაში.



სურ. 18. ნახოვარი ადგილი

Рис. 18. Результаты подсечного хозяйства

18. Results of undercutting

ახოს აღების მდიდარი ტერმინოლოგიაა დამოწმებული ეთნოგრაფიულ ყოფაში: გამოჯაგვა, გამოყვერა, გაველება, ახოს გამოღება, ტყის დანაყვა, ახოს გატეხვა, კორდის გატეხვა, ლიმულე (სეანეთში) და სხვა, რომლის წარმოება გარკვეულ რაციონალურ წესებზე იყო დამყარებული.

¹⁵ ჯ რუ ხ ა ძ ე, მიწათმოქმედების სისტემის ერთი მოდელი. მეცნიერება, თბ. 1985, გვ. 210-212

თავდაპირველად საახოე ადგილს შეარჩევდნენ, უმჯობესი იყო ნაკლებტყიანი, ქვიანი ადგილი არ უნდა ყოფილიყო და ფერდა. ნაკეთოს ჯერ „ტყეკაჟიად“ აქცევდნენ. გაახოების დროს მუხას არ ჭრიდნენ, პანტასა და კაკალს მამულის პატრონი ვერ ელყოდა ოჯახური საჭიროების გამო. დიდ ხეებს ძირში, ერთი ხელის სიბრტყეზე კანს შემოაჭრიდნენ, „დაკოდავენ“ (შემოყვერავენ) და კოდილი ხე ხმება. გამხმარ ხეებს მოსჭრიდნენ, ერთად შეაგროვებდნენ, საშემედ გამოსაყენებელს სახლში წაიღებდნენ, დანარჩენებს ერთად მოაგროვებდნენ და დაწვედნენ. დარჩენილ ძირებს მიწას შემოაცლიდნენ და „გასტუსავენენ“, „რომ აღარ განედლდეს“ და შემდეგ დაიწყებდნენ მათ ძირიდან ამოყრას—წერაკით, წალდით, ქარჩით. გასუფთავების შემდეგ საახოე ადგილს ქვებისაგან გაწმენდნენ (გაქვავება, დაქვავება, გალორღვა). ამის შემდეგ იწყებოდა მამულის დამუშავება.

გასათვალისწინებელია, რომ გაახოება ხელალებით როდი წარმოებდა. გაახოების დროს გათვალისწინებული იყო ხალხური, ტრადიციული ემპირიული ცოდნაც. პირველ რიგში, სოფელი ან სოფლის უბანი მთის ფერდობზე ირჩეოდა ისეთ ნაკეთოს, რომელსაც 2–3 პა-ზე მეტი ფართი არ უნდა სჭეროდა. ნაკეთის ზემო და ქვემო ნაპირებზე 1 პა-ზე ტყის ზოლს ხელუხლებლად დატოვებდნენ. ამის შემდეგ კეთებოდა ახოს მეორე ზოლი.

ვისაც ახოს გატეხვა ფერდა ადგილზე შეხედებოდა (ტყის მასივი ხშირი არ იყო) სახნავის ნაპირზე ბაქანს გააკეთებდნენ და ზედ ხეებს დარგავდნენ (ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, როგორც ტყიანი ზოლიც იყო ახლო მიდამოებში).

ტყის გაკაფვისას პირველადი სამუშაო ადგილის შერჩევა და ხის დანიშვნა იყო. ამ სამუშაოსათვის ორგვარი წესი არსებობდა. პირველ შემთხვევაში ტყეს ერთ მხარეს თხრილს ან სამანს გაუკეთებდნენ, მეორე შემთხვევაში კუთვნილების ნიშანს დანით დააჭდევდნენ. პატარა ადგილის დამუშავება ერთდროულად ხდებოდა, დიდი ადგილის ნელ-ნელა „დატეხვა“ ხდებოდა.

ხეებს ჯერ „გაქერქავდნენ“ შემოკოდავენენ, ბუჩქებს ამოიღებდნენ. გაზაფხულზე ხეებს მიწიდან 30–40 სმ მოშორებით ნაჯახით კანს შემოაცლიდნენ, დაჩქვევდნენ. კანგაცლილი ხე „მაღელ კედებოდა, ლპებოდა“. ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილია მეურნის დაკვირება: „ხეზეულად გამხმარი ხე მასალად არ ვარგოდა, მაგრამ მიწისთვის კარგი იყო, მეტ ნეშოს ყრიდა და მიწას ანოყიერებდა“¹⁶.

¹⁶ ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

ახოს აღების მეორე პროცესი იყო დაწვა. საწვავი შეშისა და საშენი მასალისათვის საჭირო რაოდენობის გატანის შემდეგ, დარჩენილ ტოტებს და ფიცრებს თავს მოუყრიდნენ და ცეცხლს მისცემდნენ. ცეცხლით მიწა სუფთავდებოდა სხვადასხვა სარეველებისაგან და ადვილი დასაწეშავებელი ხდებოდა, მიწაზე დარჩენილი ნაცარი კი მიწის გასასოყიერებლად იყო გამოყენებული. მეორე მხრივ, ეს ხერხი აადვილებდა ტყის ამოძირკვას, რადგან ფოთლოვან ხეთა ფესვების ხელით ამოძირკვა მძიმე და ხანგრძლივი საქმე იყო.

კუნძებისა და ფესვებისაგან განთავისუფლების შემდეგ, მინდორი ქვებისაგან უნდა გაწმენდილიყო. ამ პროცესს ფშავეში *სახნურთ გალორღვა* ეწოდება. დასაჯელით საქართველოს მთაში კი – *მოკარება/მოქეაება* (ლექსი) // *ლღიკეცანარ* (სვანეთი).

ახოს აღების შემდეგ ჯერ „ქერი უნდა დათესილიყო, რადგან ქერი ფიტაეს თუ რამეა დარჩენილი, (ჭანგა, მცენარეების ფესვები), შემდეგ სიმინდი, განარბილდებოდა და ბოლოს ყანა“. თუ ახო მაღალმთიან ადგილზე იყო ქერი დაითესებოდა, დაბლობში-ხორბალი. ახოში აუცილებლად დატოვებდნენ რომელიმე დიდ ხეს ჩრდილისათვის. არაგვის ხეობაში მასობრივად დასტურდება დიდი მუხის ან პანტის ხეები. ლიტურატურაში ცნობილია საველე მასალებითაც დასტურდება ახოს აღების დროს ტყიდან გარეული ხეხილის კარმიდამოში გადმოზრვის წესი¹⁷.

ახალგამოდებულ ახო-მამულს ნაყვერ-ნაჩეხს უწოდებენ. ახო დამწამუშავებლის – მფლობელის სახელით იხსენიებოდა. მაგ: ფშავეში – ჯაბანთ ახო, ქოჩათ ახო, დუშეთის ბარის რაიონებში, კერძოდ ბაზალეთთან მდებარე სოფლებში – ტუგოს ახო, დათოიანთ ახო, დორეულთ ახო, სანახშირე ახო და ა.შ.


საქართველოს მთიანეთში, არახელსაყრელი რელიეფის გამო ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული ხდებოდა რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ბუნებისათვის გამოეგლიჯა სათესად და სათიბად ცუდად თუ კარგად ვარგისი თითოეული ნაკვეთი. ამიტომ მას უხდებოდა უდიდესი შრომის გაწევა.

ამდენად საახოე მეურნეობა საკმაოდ რთული მეურნეობა ჩანს, რამდენადაც მის კომპლექსში შედის ადგილობრივი პირობების ღრმა ეკოლოგიური ცოდნა: ნიადაგის რელიეფის ფორმა, ნიადაგის ტენიანობა, ნაკვეთის მდებარეობა, დაქანება, თოხნის დროს მცენარეულის მოჭრის ვადები, სათესი ჯიშების შერჩევა, მეურნეობის შესაბამისად და ამასთან ერთად ბუნების დაცვის გარკვეული პრაქტიკული ჩვევები, როგორცაა ტყის საცავი ზოლების პრაქტიკა. ადგილობრივ მოსახლეობაში დასტურდება ტყის დაცვის აუცილებლობის საჭიროებაც. „ტყე თუ სულ მოესპეთ, წყალიც მოვისპეთ და მოვაგორახეთ, მაშინ რაღად გვინდა ასეთი ახო, თუ

¹⁷ ნ. კეცხოველი, ექვთუმი ხილი, თბ. 1950, გვ. 15; მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება, თბ. 1961, გვ. 174, 176.

საცხოვრებელი მოესპეთ. დაბალი ტყე საცაა ჯირგვიანი ის უნდა ამოუგაღოთ და კარგი დაეტოვოთ, ისე გამოღებული ახო უცოდინრობითაა”

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ხაზგასმული, ახოს აღებას მისი ჩასახვის უმაღლესი მიზანმიმართული ხასიათი აქონდა¹⁸, ხოლო მესაქონლეობის განვითარების შემდეგ სათიბ-საძოვარი ახოებიც ემატება¹⁹.



სურ. 19. სათიბი

Рис. 19. Сенокосные поля

19. Hayland

ეწარმოებული მასალებით, ადგილობრივ მოსახლეობაში ახოს აღება გარკვეულ ეკოლოგიური გარემოს ცოდნას ემყარებოდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ოჯახი სახნაურო მიწის მოპოვებას თავისთავად კუთვნილი ტყის ხარჯზე წარმართავდა გარკვეული ეკონომიკური მიდგომით, რადგან ამით ტყის მარაგი უმცირდებოდა²⁰. ამიტომ გაახოების დროს ტყის დაცვას ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

¹⁸ მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება, გვ. 24-31.

¹⁹ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და საზოგადოებრივი კულტი ძველ საქართველოში, გვ. 39.

²⁰ გ. ჯალაღბაძე, მემინდერების კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. გვ. 109; მისივე, მიწათმოქმედება ფშაესა და ხეესურეში, თბ. 1963, გვ. 10-15.



ხევსურეთის არაგვი Riv. Khevsuretis Aragvi
Хевсуретский Арагви

ამდენად ტრადიციულ საახოე მიწათმოქმედებაში სახნავე-სათესი ფართის მოპოვებასთან ერთად ტყის საფარის შენარჩუნების ნიშნებიც შეიმჩნევა.

მასობრივმა მიგრაციულმა პროცესებმა საახოევე მეურნეობაში არსებული ბუნების დაცვის რაციონალური მარცვალიც მოსპო. მაგ. დუშეთის რაიონის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ XX ს. დასაწყისიდან მიმდინარე მასობრივი ჩამოსახლების პროცესებმა მთიდან ბარში გამოიწვია საახოე მეურნეობის გაფართოება. მოსახლეობის მოძალების გამო სოფელი ევლარ ახერხებდა ტყის საცავი ზოლების დაცვას. ახალ ჩამოსახლებულები ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების უგულებელყოფით მასიურად მისდევდნენ ახოს აღებას *გამოჯაგვა/გამოყვერვა// გაველება*, საცხოვრებელი ადგილისათვის, სამამულედ, რამაც ხელი შეუწყო ტყის მასივების მასობრივ განადგურებას, მეორე მხრივ კი ტყის ხარჯზე სოფლის გაჩრდას.

ამდენად, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ერთხელ კიდევ დასტურდება ლიტერატურაში გამოთქმული მოსახრება²¹, რომ ახოს გაკაფვისათვის ორი მთავარი მომენტი შეინიშნება, ერთი როდესაც ახოს გაკაფვა ტყის სიცოცხლისუნარიანობის დროებით შეწყვეტას გულისხმობს, ხოლო მეორე—როდესაც ახოს აღებით ტყე ისპობა.

²¹ ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 216-217.

ბუნების დაცვის ემპირიული საშუალებები

ეკოლოგიის სოციალურ პრობლემათა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნების დაცვას, რომელიც აქტუალური ხდება საზოგადოების განვითარებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა მოთხოვნილებების ინსტენსიურ ზრდასთან ერთად. მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება რომ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა წამოიჭრა დედამიწაზე ადამიანის გაჩენასთან ერთად (უ. დორსტი). საპირისპირო მოსაზრებით, საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟზე, როდესაც მოსახლეობა დღევანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო და ბუნების რესურსებზე მოთხოვნილება უმნიშვნელო, ადამიანი არ ფიქრობდა ბუნების რესურსების დაცვაზე¹.

აქ დგება ადამიანის ბუნებასთან როგორც სოციალური, ისე პრაქტიკული ურთიერთობის საკითხი: შეეძლო თუ არა ადამიანს განვითარების ადრეულ საფეხურზე შეეგრძნო უშუალოდ ბუნების განადგურების საფრთხე? რასაკერძოდაა არა, მაგრამ ბუნების ძალას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა; ამითაც იყო გამოწვეული მისდამი განსაკუთრებული დაჩოკიდებულება: თაყვანისცემა, აღტაცება, მადლიერება. მისი ცალკეული ობიექტები ზებუნებრივ ძალაა სამკვიდრო ადგილად ითვლებოდა.

მარტივი შრომის იარაღის გამოყენების დროს, ადამიანის ურთიერთობას ბუნებასთან არ მოყვებოდა კატასტროფული შედეგები. კერძოდ, ისტორიიდან ცნობილია, რომ ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შემდეგ (ტყე, მიწა, ნადირ-ფრინველი) ხალხი გადასახლდებოდა ახალ მიდამოებში, ხოლო ძველი საცხოვრებელი ადგილები, მცენარეული რესურსები აღდგენის ბუნებისეული უნარით, კვლავ ინარჩუნებდა თვითაღდგენის თვისებებს.

ამდენად, ინტენსიური ნეგატიური ეკოლოგიური მოვლენები შეიძლება არც ჩაითვალოს საზოგადოების განვითარების თანდაყოლილ ელემენტად. იგი გამოწვეულია ტექნიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკის შეცდომებით, რომელიც არ ითვალისწინებს ანთროპოგენური მოვლენების ეკოლოგიურ შედეგებს და ეკონომიურ ზარალს. ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება ბუნების თვითაღდგენის ცოდნის გაუთვალისწინებლად იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას². როგორც

¹ გ. გულისა შვილი, ბუნების დაცვის საფუძვლები, თბ., 1973, 3.
² Израель Ю.Ф., Проблемы охраны природной среды и пути их решения, Л., 1984, 4-5.



სურ. 1. ხის გახმობა
 рис. 1. Усыхание деревьев
 1. Drying up trees

სახეობა, როგორც წესი, შეხამებულია ადგილობრივ გეოგრაფიულ გარემოს და ითვალისწინებს მოცემული რეგიონის თავისებურებებსაც: ნიადაგს, რელიეფს, ჰავას და ა. შ.

თანამედროვე ეკოლოგიის პრობლემები ფართოა და მრავალწახნაგოვანი. ამდენად საჭიროა გამოიყოს პრიორიტეტული საკითხები. როგორც ლიტერატურაში აღინიშნა⁴ ყველაზე სერიოზულ პრობლემებს კავკასიის რეგიონში წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების ეკოლოგია, მისი დაცვა და შენარჩუნება, რომელზედაც

ცნობილი ეკოლოგი ს. შვარცი წერდა: „ბიოსფერო ათასი მილიონი წლების მანძილზე ინარჩუნებდა სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტების თანაშეწყობის ოპტიმალურ საშუალებებს, რამდენიმე ათეული წლები დასჭირდა სამრეწველო რევოლუციას რომ დაერღვია იგი“.

ამ მიმართებით, ბუნების დაცვის პრობლემის განხილვისას, შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოების ბუნებაზე დაკვირვებისა და სამეურნეო გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებულ საწარმოო ტრადიციებს. „ემპირიული კოდი“ ჩვენამდე მოღწეული ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის ეთნიკური ტრადიციები გამოხატულებას ხალხურ საწარმოო სამეურნეო ჩვევებში, დასახლების, საცხოვრებლის ტიპის შერჩევაში, კვების სისტემაში და ა. შ. პოულობს. საქართველოს ცალკეულ რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული მეურნეობის კონკრეტული

³ Проблемы экологии и охраны окружающей среды, т. 1, 1983, гл. 131-133.

⁴ Котляков В., Иванов П., Бажев А., Экологическое состояние природных ресурсов Северного Кавказа и их рациональное использование, ЭВ. 1, М., 1995.

დამოკიდებულია ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა. ბუნებას სარგებლობის მოდელში ყველაზე მნიშვნელოვან როლს იკავებს მთიანი რეგიონები, რომელიც თავისი მდებარეობის სპეციფიკის გამო არასტაბილურია ანთროპოგენური მოქმედების მიხარო.

უკანასკნელ პერიოდში ბუნებაზე არასწორი ზემოქმედების შედეგად გამოიკვეთა ნეგატიური მოვლენები: გაუარესდა ტყეების, სათიბების მდგომარეობა;



სურ. 2. ტყის ბუნებრივი დაზიანება
რის. 2. Природные заболевания-повреждения лесов
2. Natural diseases (damage) of forests

იმბატა ლანდშაფტის დეგრადაციამ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბუნებრივი კლიმატური პირობების შეცვლამ, მცირე ტერიტორიაზე არასწორი საწარმოო ურთიერთობის განვითარებამ, გზების გაყვანამ, მთის დაცლამ, და ა. შ. საძოვრები ალპური ზონის მრავალწლიანი არასწორი მოხმარების გამო გამოიფიტა, იმბატა ეროზიამ⁵, რამაც გააძლიერა ჰუმუსის დაქვეითება და ნიადაგის გამოფიტვა. ეროზიის პროცესი ყველაზე მეტად მთავორიან ქვეყნებში იგრძნობა, მით უმეტეს, როცა ასეთ მხარეში მაღალია ნალექების რაოდენობა. ნიადაგის გადარეცხვა ქვეყნისათვის იმდენად საშიშ მოვლენად ითვლება, რომ რიგი მკვლევარი მას ეროვნულ

⁵ Котляков В., Иванов П., Бажев А., იქვე გვ. 25.

უბედურებად მიიჩნეეს⁶, რადგან ნიადაგის ჩამორეცხვას თან სდევს მდიდარი ნიადაგური ფენის აუნახლაურებელი დანაკარგი. ამიტომ საქართველოს ოლქულად მცენარეულობით მდიდარი რეგიონებიდან დღეს გაშიშვლებული ადგილები და დარჩა.

ლიტერატურაში⁷ განასხვავებენ ეროზიის ორ სახეს – წყლისმიერს და ქარისმიერს, იმის მიხედვით, რომელი ფაქტორი იწვევს ამ მოქმედებას. წყლისმიერი ეროზია ვითარდება თოელის დნობის ან თავისხმა წვიმის შედეგად. ნიადაგი ყველაზე მეტად ირეცხება მეტი დახრილობის და უტყეო ადგილებში, რასაც შედეგად მოჰყვება მცენარეული საფარის ჯერ გამეჩხერება, შემდეგ გაქრობა. ლიტერატურაში ცნობილია⁸ ასევე ჭავლისიერი ეროზია, რომლის შედეგად წარმოიქმნება ჯერ



სურ. 3. მეწყერისაგან განადგურებული ტყე
Рис. 3. Последствия оползней - деградированный лес
3. Consequences of landslips – degraded forest

⁶ Панек А. М., К географии и картографии почвенной эрозии, Почвоведение № 6, М.–Л., 1934; ჩიჯავაძე ნ., სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971.

⁷ ხარაიშვილი მ., ტყის როლი ბუნების დაცვის საქმეში, თბ., 1988, გვ. 6–10; კეცხოველი ნ., მეურღში დაჭრილი ბუნება, თბ., 1980, გვ. 79–87.

⁸ პეტრიაშვილი რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ნაღარები, "შემდეგ ხეები და ხრამები.ერო'ხის განვითარების, გარეგანი ფორმის და დაშლის ხარისხის მიხედვით. კეცხოველი გამოჰყოფს ერო'ხის ორ ტიპს: ბუნებრივი ერო'ხია და ადამიანისმიერი ერო'ხია".

ბუნებრივი ერო'ხია მიმდინარეობს დედამიწის ჩამოყალიბების დღიდან და მას ბუნებრივი ხასიათი აქვს: მისი თვისებაა თვითაღდგენა. ხოლო როცა ადამიანი არარაციონალური სამეურნეო მოქმედებით არღვევს ბუნებრივ პირობებს, ერო'სიული



სურ. 4. ფესვების გაშიშვლება

Рис. 4. Последствия оползней - оголенные корни

4. Consequences of landslips – bare roots

პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს და მთლიანად ანადგურებს ნიადაგს. ამჯერად, ადამიანის ჩარევა ცვლის ნორმალური ერო'ხის ტემპს და ბუნებრივი თვითაღდგენის პროცესიც ისაობა⁹. ერო'ხია ეთარდება წვიმების დროსაც. ირეცხება და უსარგებლოდ იკარგება ზედა, ჰუმუსითა და აზოტით მდიდარი ფენები, ხოლო მის ადგილას გერჩება გადარეცხილი, უნაყოფო ნიადაგი. ამავე დროს დადგენილია, რომ ნიადაგი ყველაზე დიდი რაოდენობით იკარგება მოშიშვლებულ ადგილას,

⁹ კეცხოველი ნ., მკერდში დაჭრილი ბუნება, გვ. 79.

¹⁰ ხარაიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ყველაზე ნაკლებად ტყეში. სტაციონალური დაკვირვებებით მთის ტყეებზე დადგინდა ცალკეული ჯიშების წყალგაუმტარობის თვისებები: კერძოდ, გაზაფხულზე მუხნარ-ჯაგრცხილნარი ტყე 17-ჯერ ამცირებს ოხიერ ზედაპირულ სამონადენს, ფიჭვის – 8-ჯერ, ნაძვის – 9-ჯერ; მაღალი სიხშირის ტყეები კი სრულიად გამორიცხავენ ეროზიული პროცესების განვითარებას¹¹. სპეციალური მონაცემებით, ტყე ამცირებს ეროზიულ პროცესებს და წარმოადგენს ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების მთავარ ფაქტორს, რადგან, იგი ახანგრძლივებს თოვლის დნობას, მეორეც, თოვლის დნობის დროს ტყის კალთის ქვეშ ნიადაგი გაღებოილია და ადვილად ატარებს თოვლის წყალს სიღრმეში (უტყეო ადგილას ნიადაგი გაყინულია და ქმნის წყალგამტარობის ცუდ პირობებს), ტყის წყალშემნახველ და ნიადაგ-დაცვითი როლს განსაზღვრავს ტყის ნიადაგის ჯანსაღი ფიზიკური თვისებებიც. იგი ფხვიერია, ვინაიდან დაცულია ქარის, სეტყვის გაელენისაგან, ხოლო



სურ. 5. გზის მშენებლობისას დაზიანებული ხეები
 Рис. 5. Поврежденные деревья - последствия прокладки дорог
 5. Consequences of road laying – dying trees

¹¹ ხარაი შვილი მ., ტყის როლი ბუნების დაცვის საქმეში, გვ. 16.

წყალგამტარობა აიხსნება ხე-მცენარეების მსხვილ ფესვთა სისტემით. ნიადაგის მკედარი საფარი (ფოთლები, წიწვები, ტოტები) აგრეთვე აძლიერებს წყლის ტევადობისა და ფილტრაციის უნარს. ლიტერატურაში ცნობილია, რომ მკედარი საფარი ითვლება ბუნებრივ მექანიზმად, რომელსაც ზედაპირული ჩამონადენი წყლები გადაყავს ნიადაგში. ტყის განადგურების შემდეგ ეს პროცესიც ქრება, მიწა კეტავს ნიადაგის ფორებს და ხელს უშლის სიღრმეში წყლის ჩაუონვას. ეს ხელს უწყობს ზედაპირული ჩამონადენის გაძლიერებას, რასაც თან სდევს ეროზიული პროცესებისა და ღვარცოფების განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროზიაზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც: როგორიცაა, ტყის შემადგენლობა, ხნოვანება, სიხშირე, ნალექების რაოდენობა და ა. შ.

ოფიციალური ცნობით საქართველოს სახნაე-სათესი მიწის 25%-ზე მეტი ეროზირებულია, აქედან მთის ზოლის 1200 და ზევით სახნაე-სათესი მიწის ნაწილი. ყოველი უტყეო პექტრიდან წყალს 60 ტონამდე მიწა ძიქეს¹².



სურ. 6. ტყეში ხეებიანად მოწყვეტილი მიწა, სოფ. ბუქურები
 Рис. 6. Оползневый пласт земли с деревьями, с. Букуреби
 6. Ground layer displaced together with trees, village Bukurebi

¹² კეცხოველი ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 81-82.

ნიადაგის ეროზიული პროცესების ინტენსივობას ხელი შეუწყო ტყეების მასობრივმა სიხემ, ასევე დიდი დახრილობის ფერდობებზე ხენა-თესვის შეწყვეტამ, საქონლის გადაჭარბებულმა მოვებამ. სელური დეარებისა და მეწყერების გააქტიურებამ დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას და მოსახლეობის სოციალურ ყოფას.



სურ. 7. მთის ფერდის ეროზია, სოფ. ნისლაური

Рис. 7. Эрозийные процессы на склонах горы около с. Нислаური
7. Erosive processes on mountainsides in the Nuslauri

მთავორიან ტერიტორიებზე ურბანიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა.

ცნობილია რომ, საქართველო საეკონომიკური რეკონსტრუქციის მახასიათებლებით კლასიკურ მთავორიან ქვეყანას წარმოადგენს. იგი გამოირჩევა რთული გეოლოგიური აღნაგობითა და მრავალფეროვანი კლიმატური პირობებით. გარდა ამისა, საზოგადოების გარემოსთან დამოკიდებულების ეკოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევამ გამოავლინა რომ, მაღალმთიან,

მთაგორიან ქვეყნებში ბინადარი ცხოვრების მოწყობას, დასახლებას და სამეურნეო სისტემებს უკავშირდება ტრადიციული ცხოვრების მოწყობის წესი და ბუნებრივი მოვლენები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიულ სფეროებზე. იმის გამო, რომ ჩვენ ქვეყანას რთულ და მრავალფეროვან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში უხდება ცხოვრება, გადამწყვეტ როლს თამაშობს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო – სასოფლო დასახლების მკვიდრი, ცხოვრების ხასიათის ჩამოყალიბების წესში. ამიტომ სტიქიური მოვლენები, მათი გამოვლინებები უშუალოდ დაკავშირებულია დასახლებული ადგილების უსაფრთხოებასთან და მის რაციონალურ ათვისებასთან.




სურ. 8. წყალდიდობის და მეწყერის შედეგები
Рис. 8. Результаты ливневых и оползневых процессов
8. Results of downpours and landslides

სტიქიური გამოვლენების სიმძაფრით გამოირჩევა მთის მდინარეები, რომელთა უმრავლესობა მკვეთრად გამოხატულ ღეარცოფულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია ის ფსიქოლოგიური დატვირთვა, რასაც მოსახლეობა განიცდის ღეარცოფული ნაკადების გამანადგურებელი ძალის მუდმივი საშიშროების ზეგავლენით. ასეთ

რაიონებს განეკუთვნება რეგიონები, სადაც ღვარცოფული ნაკადები გამოირჩევა განსაკუთრებული აქტივობით. ღვარცოფული ნაკადების დამახასიათებელი ნიშანია მოულოდნელობა, ხშირად მზიან ამინდშიც კი, ამ ნაკადებმა შეიძლება სრულიად მშრალ ხევშიც დაიდოს ბინა და რამდენიმე წამში წარეცხოს და დამარხოს ყველაფერი.

ქვატალახიანი ნაკადები, ანუ როგორც მას საქართველოში უწოდებენ ღვარცოფები, ძირითადად გაერცვლებულია წრდილო-ტროპიკულ სარტყელსა და 50-ე პარალელს შორის, გეოლოგიური თვალსაზრისით ახალგაზრდა წარმოშობის მთიან 'სონებში, როგორიცაა კავკასიონი, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს თანამედროვე ტექტონიკური პროცესები, ადგილი აქვს მდინარეების სათავეებში და მის გაყოლებაზე ტყის საფარის განადგურებას¹³.

მდ. არაგვის აუზში უხედაა განლაგებული ღვარცოფული ხასიათის წყალდენები. ეიდრე საქართველოს სამხედრო გზა ამოქმედებოდა (1863 წ.) მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არაგვის მარცხენა მხარეს იყო დასახლებული. გზის გაყვანამ სწრაფად გაზარდა მოსახლეობის მიგრაცია მდინარის მარცხენა



სურ. 9. ღვარცოფის დანატოვარი
Рис. 9. Остатки селевых процессов
9. Results of water and stone flows

¹³ სულაქველიძე ლ., ქვატალახი ნაკადები, საქართველოს ბუნება, 1989, № 6-7.

მხრიდან (განსაკუთრებით სოფლებიდან: წკერე, გვიდაქე, უოუონი, სონსო, ლაკათხევი და ა. შ.) მარჯვენა მხრისკენ. მოსახლეობა, რომელიც თოვლის 'ხეაგებს უფრო იცნობდა. ვიდრე ღვარცოფებს (ემპირიული ცოდნის ამ კოდს განაპირობებდა ტრადიციული დასახლების ტიპი) წყლის სიახლოვეს სახლდებოდა, უმეტესად დანარიყის კონუსზე. პირველ ხანებში დასახლებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, შემდეგ განაშენიანება ძირითადად დამტკიცებული პროექტის საფუძველზე ხორციელდებოდა, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული კონკრეტული ეკოლოგიური პირობები. ასე შეიქმნა ახალი დასახლების ტიპი „ჭალის სოფლები“ თუ ასეული წლების მანძილზე, დაკვირვების საფუძველზე შექმნილებული, ბუნებასთან შერწყმული არქიტექტურა (მაღალმთიანი დასახლების ტიპი,



სურ. 10. მთის ფერდის დახრამეა, სოფ. ნაღვარევი
 Рис. 10. Изборожденный горный склон, с. Нагвареви
 10. Furrowed mountainside, village Nagvarevi

სამეთვალყურეო კოშკები და სხვ), რომლებიც დიდთოვლობასა და 'ხეაგიან პერიოდებში არ ზარაღდებოდნენ, უჩვეულო პირობებში მოსახლეობის გამოუცდელიობამ უცბად იჩინა თავი, იგი ღვარცოფების მსხვერლი გახდა. გარდა ამისა, თეთრი არაგვის მარჯვენა მხარეს მოსახლეობის მატებამ განაპირობა ტყეების ჩეხვა,

საძოვრების გადატვირთვა. რამაც გამოიწვია დიდ ფერდობებზე მცენარეული საფარის დეგრადირება, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების გააქტიურებას. განსაკუთრებით მძიმე იყო 1987 წ. გაზაფხულზე, არაგვის მარჯვენა შენაკადებზე და განსაკუთრებით ჩოხელთ ხევზე გაეღილი ღვარცოფული ნაკადი¹⁴. საშიშროებას უქადის ფშაის არაგვზე წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადებიც. ერთერთი ინფორმატორის გადმოცემით სოფ. გუდრუხიდან „თვალურა შიშის ზარს გვცემს, ისე კივის სახლებში ვერ ვსერდებით, მოაქვს ყველაფერი რაც გზაზე ხედება, არემარე ქვა, ღორღი, ლოდი, ლამის სახლის ტოლები. იტბორება სახლები, ისპობა ბალები, ძირიანად თხრის ხეებს“ ან კიდევ „ყოფსურამ იმდენი ტყე მოწყვიტა და წამოიღო, 2 წელი შეშა აღარ დაგეჭირებია“ და ა. შ.



სურ. 11. ღვარცოფის შედეგი

Рис. 11. Последствия сѐла

11. Consequences of water and stone flows

¹⁴ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა, შედარებით მცირე სიგრძის (5 კმ-მდე), მაგრამ მნიშვნელოვანი საშუალო ქანობის (0,2-0,40) სელური ხასიათის შენაკადებზე. 1897 წლიდან ღვარცოფის მოვარდნა აღრიცხულია 136-ჯერ, მლეთისხევზე - 29, ნაღვარეზე - 28, კოტორასხევზე - 8, ჩადისციხის ხევზე - 6 და ა. შ. ქვატალახიანი ნაკადების გაელა ხდება აგვისტოში, უფრო ნაკლები სიხშირით-აპრილში.

არანაკლებ საშიში მოვლენებია წყალდიდობა და 'ხეაეი. მან დიდი ზარალი მიაყენა გულამაყარს, განსაკუთრებით ჭალის სოფლებს. მოსახლეობა მასიურად მიუთითებს, არაგვის კალაპოტის დონის აწევას, რომელმაც გადაარეცხა გზის საგალის დიდი ნაწილი¹⁵.



სურ. 12. ღვარცოფის მიერ დაზიანებული სასოფლო გზა ს. გუდრუხთან

Рис. 12. Селевым потоком затопленная дорога у с. Гудрухи

12. Consequences of water and stone flows – flooded road in the village Gudrukhi

საყუბულზე, ნაერაუდევი იყო 80-იანი წლისათვის სოფ. ხიჯანათის გადასახლება ანანურის სასოფლო საბჭოს ციეწყაროს დასახლებაში, ხოლო სოფ. ბაძინის კი სოფ.

რეგიონს დიდ ზარალს აყენებს 'ხეაეები, რომლის გააქტიურების ძირითადი მიზეზი ტყის არასწორი ექსპლუატაციაა. უნებურ ჭრას მოჰყვება საუკუნოვანი კორომების გამეფება. გულამაყარის ისტორიის ბოლო პერიოდში ცნობილია ორი დიდი 'ხეაეი, რომელსაც მოჰყვება მსხვერპლიც. 1976 წ. სოფ. მაქართაში, აღიშურთის ხეივანის ჩამოწვა 'ხეაეი, ხოლო სოფ. საქორუში – ბუცნახეიდან. „ვერავინ წარმოადგენდა ამ ხეივანის 'ხეაეი თუ დაიძვრებოდა. მანა-პაპით არ გეახსოვს, უფუქი წამოვიდა როგორც ქარიშხალი“ (ენაო დიმიტრის ძე წიკლაური)¹⁶. მძიმედ იხსენებენ სოფ. მაქართაში 1976 წლის 'ხეაეი რამდენიმე ოჯახის დაეცა და 6 ადამიანი დაიბანა, ხოლო სოფ. ხიჯანათის დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა. სპეციალური დადგენილების

¹⁵ ფშაეი, საეეე დღიური №4, 1999 წ.

¹⁶ გულამაყარი, საეეე დღიური №1, 1999 წ.

ჩალისჭალაში. ამას გარდა გუდამაყარში მოსახლეობა ასახელებს ზეგესაშიშ ქედებს, როგორცაა, ბუცნახევი, წითელითხები, ოზანო, ბოსლის მთა, არყოფის ხევი, გამსის ხევი და სხვა.

„საზოვე ადგილები მამა-პაპით ვიცით, ჩვენც ვატყობთ, დამართული მყები, უბეყო ადგილები. ზოეს ტყე სცავს, მაგრამ ხალხმა გასჭრა, დაბალი ტყე კი ზოეს ვერ აყენებს. როცა მაქართას ზოვი დაეცა ერთად წამოვიდა ქიქოლის ძირი, ნირდილი, მზისპირიც შეუერთდა ამ ადგილიდან ზოეს არაეინ ელოდა, არასოდეს წამოსულა მაგრამ ხალხმა ტყე გასჭრა და ზოვიც დაიძრა“. (სოფ. მაქართა) „ზოეს



სურ. 13. ღვარცოფის შედეგი, ს. ჩოხელთხევი

Рис. 13. Последствия селевых потоков, с. Чохелтхеви

13. Consequences of water and stone flows, village Chokheltkhevi

ტყე სცავს, ყველას თავ თვისი მომაგრება აქვს აღარ უშვებს, ის იკავებს. ტყიან ადგილს კუროსაც არ აქვს ადგილი“ (სოფ. კოტორიანი).

ყველა სოფელში საზოვე ადგილები ცნობილია მოსახლეობისათვის.

სოფ. მაქართა – ოხციხოს ხევი.

კიტოხის ჭალაზე – საპურის ხევის თავი.


სოფ. გამსი – საბურთელოს თავი, ნაფუძარი, ნაქერალი.

სოფ. დიდებანი – ჯლიური და სხვ.

ამ ადგილებს მოსახლეობა იცავდა და ტყის გაჭრის ნებას არაუბოძებდა.

მოსახლეობა ერიდება სახლს ზემოთ ტყის ჩეხვას. „თუ სახლს ზემოთ ტყე არ დაეიცავი ისევე საზოგადოებრივ“ (სოფ. დიდებანი, ბექაური ალექსი).

არანაკლებ საშიშროებას უქმნის გუდამაყრის მოსახლეობას მწვეერი. სოფ. ჩოხის მკვიდრის ვახტანგ ჩოხელის თქმით. „ჩოხის თავიდან, მამულებიდან ამოსკდა მეწვეერი, წამოვიდა სახლების თავზე და დაფარა სამი სახლი და სკოლა, სულ რომ წამოსულიყო სოფელს დაფარავდა, ტყემ „შეაჩერა“¹⁷.



სურ. 14. მთის ფერდის ეროზია და ღვარცოფის შედეგი

Рис. 14. Эрозия горных склонов и последствия водокаменных потоков

14. Erosion of mountain slopes and consequences of water and stone flows

ასევე ცნობილი იყო მოსახლეობისათვის სანიადგროს საწყლე ადგილებიც.

საცა საწყლე ადგილები იყო ფიჩხის, ლატანის, მარხილის, დაუცვავა და დასწნავა. წყლის ნაპირებზე წნორის, ტირიფის, ცაცხეის ხის დარგვაც სცოდნიათ.

მოსახლეობა აქტიურად ებმება ტყის განაშენიანების საქმეში, განსაკუთრებით უსაფრთხოების მიზნით საზოგადოებრივ ადგილებში. მაგ. სოფ. დიდებანის, გამოსის

¹⁷ გუდამაყარი, საეკოლოგიური, № 2, 1999 წ.

მოსახლეობის მოთხოვნით განაშენიანდა ნაფუძარისა და ნაქერალის სახნაურო ადგილები.

სოფლები: სიჯანაანი, თოთიაურები გასაფხულოებით საკუთარი ინიციატივით გამოდიან ნიაღვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. აგრეთვე ცალკეული პიროვნებებიც საკუთარი თაოსნობით ზეციისა და ეროზიის წინააღმდეგ იბრძვიან, ანაშენიანებენ გაუტყეურებულ ფერდობებს, უვლიან მათ¹⁸.



სურ. 15. კლდეზვავები, სოფ. ბუქურები

Рис. 15. Процесс разрушения гор -
низвержение глыб, с. Букуреби

15. Destructoin of mountains – overthrow
of stone lumps, village Bukurebi

სებურებებს: დასახლება, საცხოვრებელი, მუერნეობა და ამასთან, ბუნებრივია.

¹⁸ მაღაროსკარის სკოლის დირექტორ გ. თურმანაულის ინიციატივით 80-იან წლებში მაღაროულას ადიდების საშიშროებისაგან დაცვის მიზნით წნარის ხეები დარგეს მდინარის გაყოლებით. ასევე სოფლებმა ვარდისუბანმა, ხილიანმა – არაგვის გაყოლებაზე. საველე რეელი, № 1, 1999.

განაშენიანებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ სატყეო მუერნეობები 60-იანი წლებიდან ძირითადად მისდევდნენ ფიჭვის ხით ხელოვნურ განაშენიანებას, რამაც არ გაამართლა. ჯერ ერთი ადგილობრივ ლანდ-შაფტს კოლორიტული სახე შეუცვალა, მეორეც, 90-იანი წლების ეთნოგრაფიულმა მასალამ გვაჩვენა, რომ 20-30 წლების ფიჭვის ნაზარდებმა ვერ გაუძლეს დიდთოვლობას და ძირიანად ამოვარდნენ მიწიდან.

ეთნოეკოლოგიურმა კვლევამ გამოაგლინა, რომ მალაღმთიანეთის სპეციფიკურ გეოგრაფიულ რეგიონებში ნაპოყალიბებული მთიანეთის მოსახლეობის ისტორიული ყოფა ესადაგება კონკრეტულ რეგიონალურ თავი-

ხანგრძლივი დროის მანძილზე მთის ზოლის მოსახლეობაში უნდა შექმუშავებულიყო სტიქიურ მოვლენებთან აქტიური ბრძოლის პრაქტიკული ჩვევებიც. ამდენად ხალხური ეკოლოგიური ცოდნა საყურადღებოა როგორც ისტორიულ-



სურ. 16. კლდეჭევაეი
 Рис. 16. Низвержение глыб
 16. Overthrow of stone lumps

ენონოგრაფიული კუთხით ისე ბუნებისმცოდნეობისა და თანამედროვე პრაქტიკული თვალსაზრისით. სპეციალურსა გამოკვლევებმა დადასტურეს რომ საქართველოს მკვეთრი ვერტიკალური სონალობის ზედა სარტყელში წარმოების წესის და კონკრეტული ფორმების წარმოქმნა-განვითარებაში არსებით როლს თამაშობდა მოსახლეობის ეკოლოგიური, ისტორიულად გამართლებული ცოდნა-გამოცდილება¹⁹ კერძოდ, მთის ზოლის მოსახლეობაში უნდა შექმუშავებულიყო სტიქიურ უბედურებასთან, კერძოდ, ზეაეების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პრაქტიკული ჩვევებიც, რის მაგალითის იძლევა ზემო სენაეთის საცხოვრებელი და

სამეურნეო არეალი. სოფლების დასახლება ხეობათა ძირზე, დიდი მთებს შუა, ბუნების სტიქიის უშუალო საშიშ სოლში, ადამიანის მხრიდან სათანადო სიფრთხილეს მოითხოვდა. სპეციალური კვლევის, ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოსკთა სიძრაველ ზემო სენაეთში დიდთოვლიანობის, თოვლის ზეაეების, მეწყერებისა და ღვაცოვებისაგან თავდაცვის პროფილაქტიკით

¹⁹ შ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურული-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, გვ. 66-70.

ნაკარნახევი უძველესი ტრადიციების გამოხატულება იყო და უპირველესი, საბრძოლო ფუნქცია კი მხოლოადი. „ამ თეზისის დასაბუთებულად აშკარად გვაკლია სენაურ კოშკების სამშენებლო-ტექნიკური დახასიათება, რომელიც პასუხს გასცემდა ამ ნაგებობათა სიფრცითი ორიენტაციას. მათი ფიზიკური სიმტკიცის, ზედაის დარტყმის ძალისაღმძი შეფარდების, სეისმოძღველობის და სხვა თავისებურებებს“²⁰, რომელიც ხალხურ ეკოლოგიურ ცოდნის პრაქტიკულ სიძველესაც წარმოაჩენს. 1987 წ. სენაეთის ტრაგედიამ ეს თეორია სენაური კოშკების შესახებ გაამართლა და იგი



სურ. 17. ფიჭვის ხით ხელოვნურად განაშენიანების შედეგი
 Рис. 17. Последствия необдуманного искусственно насаждения
 леса быстрорастущими породами сосны
 17. Consequences of artificial forest planting with quick growing
 species of pine-tree

ურნალ „ეკოგ სეეტაში“ სენაეთში დატრიალებული ტრაგედიისაღმძი გამოხმა-
 ურებიდანაც კარგად ჩანს²¹, სადაც სენაური კოშკების გადარჩენის სხედასხვა

²⁰ გ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, გვ. 94.

²¹ „Вокруг света“, 3-4, 1987; გ. გოცირიძე, დაუეიწყართა შორის, კრ. კვალი ნათელი, თბ., 1998, გვ. 147-148.

მიზეზთა ასახსნელად, პირველ რიგში, ამ ნაგებობათა სეისმოიმედეგობითი დანიშნულებით მშენებლობის ხალხურ გამოცდილებას ითვალისწინებენ.

დასახლებისა და საცხოვრებლის შერჩევის გამოცდილება სხვადასხვანაირია საქართველოს მთიანეთში. მაგ., იმ ადგილებში, სადაც მთისძირა, ჭკლისპირული დასახლებაა, სოფლების უმეტესი ნაწილი ტერიტორიულად ხეობის ძირთა ან საშუალო ზოლშია განფენილი და არა ზედ მთის ქედებზე; ისტორიულად ხეესურეთში უშუალოდ წყლის პირას დასახლება იშვიათად გვხვდება, გუდამაყარში



სურ. 18. ფიჭვის ხით ხელოვნურად განაშენიანების შედეგი

Рис. 18. Последствия необдуманного искусственно насаждения


леса быстрорастущими породами сосны

18. Consequences of artificial forest planting with quick growing species of pine-tree

პირიქით, – ქედებზე და ა. შ. აქვე მოსახლეობა სტიქიური უბედურებებისაგან თავდასაცავად სხვადასხვა სახის წინალობებს აწყობს: წნული ღობურები, ზღუდეები, მოჭრილი ხეები და სხვ., რომლის დანიშნულებაა პირველად მოთოველილი და ჩაყინული მასის ადგილზე შეჩერება. ასევე იცოდნენ ეროზიის წინააღმდეგ დატერასება. ამ მიმართებით საინტერესოა ხალხური ცოდნა-გამოცდილება სამეურნეო საქმიანობის დროს. ტერიტორიის სიმცირე აიძულებდა მთის

მოსახლეობას ნაკვეთები მოეწყო დაქანებულ ადგილებში, ფერდობებზე, რაც წარმოქმნიდა ეროზიის საფრთხეს. ხალხურმა პრაქტიკამ ამ შემთხვევაში შეიმუშავა მორწყვისა და ნაკვეთების სათესად მომზადების რიგი ხერხები²². სათბ ნაკვეთებში ბალახის ისეთი ჯიშების გაერცვლებას უწყობს ხელს, რომლებიც გამოირჩევიან მჭიდროდ დატოტვილი ფესვთა სისტემით, რაც ნიადაგის ზედა ფენებს საგრძნობლად ამაგრებს და ნაკლებ საშიშს ქმნის დაფერდებულ ადგილებში წყლით ნიადაგის ხარეცხვასა და დაშლას²³.

მოსახლეობა მთა-გორიან პირობებში ფლობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების მრავალ პრაქტიკულ წვევას. ემპირიულ ეკოლოგიურ კულტურას ქართული კაცი აელენს ტყეში შესვლის პირველი წუთიდან, მოსატრელი ხის შერჩევის (გარეგნობის, ფერი, სისქის, მდებარეობის და სხვ.) ხის მოჭრის სხვადასხვა



სურ. 19. ჭაობის გაჩენა, ხევსურეთი
 Рис. 19. Заболоченные луга, Хевсурети
 19. Water-logged meadows, Khevsureti

²² გ. ჩიტაია, შრომები, ტ. I. გვ. 8-50.

²³ მ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები, გვ. 136-137.

ემპირიული ხერხების, მოჭრილი ხის წაქცევის, ტყიდან მოჭრილი ხის გამოტანის გზებისა და საშუალებების, მოზარდი ხეების დაცვის, „გამოხშირვის“, „გამობერტყვის“ და სხვა მრავალი. გარკვეული პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ხდება ტყის გაკაფვა სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებისათვის.

ტრადიციულმა გამოცდილებამ ადამიანს საშუალება მისცა მასში საჭირო მოვლენის თვისება სამეურნეო ნიშნით გამოეხატა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცნობილია „წერილი ტყეები“ – საიდანაც შეშა, ხარი, ჭიგო, წკნელი გამოჰქონდათ, „მსხვილი ტყეები“ – საამშენებლო მასალისათვის, „აყრილი“ –



სურ. 20. ჭაობის გაჩენა, გუდამაყარი
Рис. 20. Заболоченные луга, Гудамакари
20. Water-logged meadows, Gudamakari

ახალგაზრდა, მაღალი ტყე რომელიც არ იჭრება, „წერიმიანი“ (მთის არყიანი). ასევე სამეურნეო დანიშნულებით აჭარაში ცნობილი იყო „საბოგი ტყე“ – რომელიც გამოყოფილია ფუტკრის გასაშენებლად.

ბუნების დაცვის ემპირიული საშუალებების შესწავლამ გამოავლინა ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა მთის ტყეების სამეურნეო მნიშვნელობით გამოყენებისა და მისი დაცვის საქმეში. მოსახლეობამ იცის, რომ მაღალი მთის კალთებზე ტყეები იცავენ ზეაგებისა და ნიაღვრებისაგან, ნიადაგებს – ჩამორეც-

ხეისაგან, არეგულირებენ წყლის რეჟიმს. კრიდებიან ჭალებში დასახლებას ნიადაგის შიშით, სცავენ „სახოვე“ და „საკუროე“ ადგილებს, „ანდრეხით“ იციან დაცული ტყეები და ა. შ. ეს ემპირიული ცოდნა ვლინდება ემპირიულ ეკოლოგიურ კულტურაშიც, რომელიც ვლინდება ბუნებასთან ურთიერთობის ყოველ პროცესში. ჯერ კიდევ ნ. კეცხოველი აღნიშნავდა: „ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ რაკი მთაში ხენა-თესვაზე ავალებინებთ ხელი, მთიშალა საუკუნოებით დამუშავებული



სურ. 21. ტბა დიდველზე, დაჭაობების დასაწყისი, მთიულეთი
 Рис. 21. Последствия срубки леса - заболоченные луга, Мтиულети
 21. Consequences of cutting down the forests -
 water-logged meadows, Mtiuleti

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიება: აჭარაში, ეროზიის საწინააღმდეგო ხის შენებანი, მესხეთში ოროკოები (დარიჯები). აღმოსავლეთ საქართველოში მთის ფერდობებზე დატოვებული ტყის ზოლები და ა. შ.”²⁴.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობით არის შეფასებული ზეაეისა და წყალდიდობისაგან ნიადაგის დამცველი ღონისძიებების შექმნის ხალხური პრაქტიკა. გამოვლენილია მურნის მიერ წინასწარ ჩატარებული ღონისძიებები ზეაეისა და წყალდიდობის საწინააღმდეგოდ. იგი „საშიშარ

²⁴ ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ადგილებში” არც სახლს აშენებდა, არც ეენახს თუ ყანას აწყობდა²⁵. ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ საკუთარი მიწა-წყლის მოვლის საიდუმლოება და მკაცრად იცავდნენ ტყითა და მიწით სარგებლობის წესებს²⁶.

მიუხედავად მეცნიერული კვლევის შედეგებისა, რომ 150 მეტრი დაქანების ფართობზე არ შეიძლება სათოხნი კულტურების მოყვანა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმერეთში, აჭარაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახანავ-სათესად 250-ზე დაქანების ფერდობებიც გამოიყენებოდა. თედო



სურ. 22. დაჭაობების პროცესის დასაწყისი დიდველზე
Рис. 22. Начало процесса заболочивания на Дидвели
22. Landslop processes near the lake Didveli

სახოკიას მონაცემებით, რასაც ადასტურებს თანამედროვე საველე ეთნოგრაფიული მასალებიც გლეხი თოკით მიებმებოდა ხეს და ისე ამუშავებდა ფერდობებს, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ იცავდა მიწით სარგებლობის ტრადიციულ ხერხებს. ამის საშუალებას იძლეოდა, უპირველეს ყოვლისა, ტერასული მიწათმოქმედება, რომლის შექმნას საფუძვლად დაედო ნიადაგის ეროზია და სახანავე მიწების სიმცირე. აღმოსავლეთ საქართველოს რიგი სოფლები, მთიანი აჭარაც ბუნებრივ ტერასებზეა ²⁵ ლ. ბერია შვილი, ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, “მეცნიერება”, 1989, გვ. 236.

²⁶ „ჩვენ დაცული ადგილები გვექონდა. ხალხი არ დასახლდებოდა ხატის ტყის ადგილზე, სახოვეზე და ჭალისპირებზე” გაბრიელ ჭინჭარაული, ხევსურეთის საველე მასალები, 1999.

გაშენებული, რომელსაც ზემოდან იცავს ტყის ზოლი, სადაც საკუთარი შეგნების საფუძველზე ტყის მოჭრა აკრძალულია. არქეოლოგიური მონაცემებით²⁷ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ფშაის არაგვის ნასოფლართა აბსოლუტური უმრავლესობა ფერდობზე ხელოვნურად მოჭრილი ტერასებზეა განლაგებული. სრულიად განცალკევებულ ჯგუფს ქმნის პირიქით ხეცურეთის და არხოტის ციხესოფლები. როგორც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში²⁸ აღნიშნული დასახლებებისათვის ირჩევიდნენ აღმოსავლეთის ექსპოზიციის მზიან ფერდობებს და გრიდებოდნენ სრდილოვან, ნესტიან ადგილებს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი პირობა მთის ფერდობებზე ხელოვნურ ტერასებზე დასახლებისა, რაც მძიმე შრომას მოითხოვდა, უნდა ყოფილიყო მდინარეთა ვიწრო ხეობებში სახნაე-სათესი ადგილების და ხოვების აუცილებლობა. ამას ადასტურებს ნამოსახლარების შორის გადაჭიმული ფართო ნახოვარები და ხელოვნური ტერასების ნაშთები.



სურ. 23. ნაპირის გასამაგრებელი ჯებირები


Рис. 23. Берегозащитные дамбы

23. Bank protecting dams

²⁷ გ. რჩეული შვილი, ფშაის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, მეცნიერება, 1990, 67-95.

²⁸ თ. ოჩიაური, ხეცურეთი, მეცნიერება, გვ. 20; მ. კანდელაკი, ხეცურეთის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი სოციალური საკითხი, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1987, გვ. 140-141.

აღმოსავლეთ საქართველოს რიგი კუთხეების სამეურნეო საქმიანობა თუ წარმოვადგინეთ ბუნებასთან ურთიერთობისა და გეოგრაფიული მდებარეობის ფონზე საკმაოდ მკაცრ სურათს მივიღებთ. კერძოდ, ხევსურეთის სოფლების საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1600 მ აღემატება. სოფლები ძირითადად მაღლობზეა განლაგებული, რასაც განაპირობებდა ზეალებისა და ნიაღერებისაგან დაცვის და მეორე, სამეურნეო მოსაზრებაც, რადგან სახენელად ვარგისი მიწების უმეტესობა მაღლობზეა. „ისეთ გვერდში ას სათიბები, რომ კაცს ცელის მოქნევაში სიმთხილე უნდა, რომ ფეხი არ დაუსხლტეს და კლდეზე არ დაყირავდეს ან ცელს არ დაეჭრას...“²⁹ მძიმე ეკოლოგიური პირობების, მიწის სიმცირისა და უნაყოფობის პირობებში ხევსური უზარმაზარ შრომას, დროს ახმარს საარსებო პირობების მოპოვებას; ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი მიწის სიდიდეს ანგარიშობს არა მიწის ფართობის, არამედ იმ დროის მიხედვით, რომელიც მის დამუშავებას ხმარდება³⁰. მიუხედავად ამისა, გეოგრაფიულ-ბუნებრივი ფაქტორების არსებითი




სურ. 24. მთის ფერდის ეროზია
 Рис. 24. Эрозийные процессы склона горы
 24. Erosive processes on the mountain slope

²⁹ მ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

³⁰ მ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

როლი ხეესურთა ყოფის ზედნაშენურ კატეგორიებში აისახა, როგორცაა. მონადირეობასთან, ტყის მოჭრასთან დაკავშირებული აკრძალვები და ტაბუაციის სახით რწმენასა და პრაქტიკაში¹¹ გამოვლინდა.

საქართველოში ისტორიულად გამოჩეულებული ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ტერასული სამიწათმოქმედო მუერნობა, რომელიც საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონებს შეესიტყვება; ოუ აღმოსავლეთ საქართველოში იგი რწყვის ხელშეწყობ და მარეგულირებელ საშუალებას წარმოადგენს, დასავლეთ საქართველოში, ჭარბწყლიანი ნიადაგების ათვისების



სურ. 25. მთის წვერის ძლიერი ეროზია
Рис. 25. Последствия эрозийных процессов горы
25. Consequences of erosive processes

ეფექტური ღონისძიებაა¹². ტერასული მუერნობა თავისი ფესვებით საუკუნეაა სიღრმეში იღებს დასაბამს. ქართულ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში¹¹

³¹ მ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გე. 143.

³² ლ. ბერიაშვილი, ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიცია საქართველოში. "მეცნიერება", 1989, გე. 237.

³³ ნიადაგის დაცვის ტრადიციას საქართველოში ეძღვნება ლ. ბერიაშვილის მონოგრაფია, სადაც გამოვლენილია მდიდარი, ახალი მასალა ეროზიისაგან მიწის დაცვის მიზნით. ნიადაგისაწინააღმდეგო საშუალებები და ღონისძიებები, დატერასების ხალხური წესები.

ტერასების მოწყობა ნიადაგების ეროზიის საკითხებთან კავშირში განიხილება, როგორც ეროზიის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

დადგენილია³⁴ რომ ნიადაგის ეროზია, ანუ ნიადაგის ფენების დაშლა-გადარეცხვა დამოკიდებულია უპირველესად ნიადაგის თვისებებზე, ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე, მცენარეულობის საფარზე, ფერდობის დაქანებაზე, წვიმისა და ნაკვეთის დამუშავების ხანგრძლივობაზე.

ეთნოგრაფიული მასალებით ვლინდება ქართველი მეურნის მიერ მიღებული პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება ბუნებრივი თუ ხელოვნური ეროზიის წინააღმდეგ. უპირველესად უნდა დავასახელოთ ადგილმდებარეობის ზედმიწევნით კარგი ცოდნა სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით, სათესი კულტურების გამოყენების ტრადიციული წესი, სათიბებში კორდიანი ნიადაგის შექმნის და ბალახის ძირიანი ბელტების გამოყენების პრაქტიკული წესები.

ეროზიის შესამცირებლად ქართველ მეურნეს გამოიშუაებული ჰქონდა ტყის ზოლების გაშენების პრაქტიკა. როდესაც მთის ფერდობს აახოებდნენ 3-5 მ. ტყის ზოლებს ტოვებდნენ. მთიულეთში, ფშაეში, ხევისურეთში, სვანეთში ნ. კეცხოველის³⁵ მიერ დადასტურებულია რაჭა-ლეჩხუმ, თრიალეთში; ჯ. ვარშალომიძე³⁶ ტყის ზოლებს ადასტურებს აჭარაშიც – საფარ-ტყე, ქარის, ზევე-მეწყერ-ღვარცოფის შესაკავებლად.

ლიტერატურაში ხშირად გატყევების ძირითად მიზეზად გაახილება ასახელებენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, საახოვე მეურნეობა ადგილობრივი მეურნეობის ღრმა პრაქტიკულ ცოდნას ემყარებოდა. თუმცა, როგორც ნ. კეცხოველი აღნიშნავს, „მოგახსენებთ მხენელ მთესველებზე და არა ხიზანზე, რომელმაც თავი იჩინა XIX საუკუნეში“³⁷. ეთნოგრაფებმა (გ. ჩიტაია, ჯ. რუხაძე, ნ. ბრეგაძე, გ. ჯალაბაძე, მ. ქანთარია) კონკრეტულ მასალებზე გამოაგონეს ახოს აღების სხვადასხვა წესი, რომელიც ხანგრძლივი წარმოებითი გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საფუძველზე ჩამოყალიბდა. კერძოდ ნიადაგის ცნობა, მისი დაცვის ხერხების მომარჯვება, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების, ტყის შედგენილობის, მცენარეული საფარის თავისებურებათა პრაქტიკული ცოდნა და მათი

³⁴ მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, მეცნიერება, 1961; ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, მისივე, საქართველოს მცენარეული საფარი, თბ. 1960; ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან საქართველოში; ლ. ბერია შვილი, ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, მისივე, ტერასული მიწათმოქმედება და ა. შ.

³⁵ ნ. კეცხოველი, „მკერდში დაჭრილი ბუნება“, გვ. 95.

³⁶ ჯ. ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე, 1979, გვ. 13.

³⁷ ნ. კეცხოველი, „მკერდში დაჭრილი ბუნება“, გვ. 91.

გათვალისწინება. გაახოებისას ლიტერატურაში ორი მთავარი მომენტია დასახელებული: პირველი, როდესაც ახოს გაკაფვა ტყის სიცოცხლისუნარიანობის დროებით შეწყვეტას გულისხმობს და მეორე, როდესაც ახოს ალებით ტყე ისპობა³⁸. ამიტომ საახოედ ძირითადად დაბალ ბუჩქნარიან ადგილებს ირჩევენ. სწორედ აქ იჩენს თავს ბუნებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ადგილობრივ მკურნეს და ხიზანს შორის.

ვინაიდან გაახოებული მიწა მუდმივ ეროზიის საფრთხეში იმყოფებოდა მოსახლეობა მისდევდა მის გაპატივებას ბუნებრივი სასუქით-პირუტყვის საკვლით. მათი დაკვირვებით გაპატივებულ მიწაში მოსავალიც კარგი მოდის და ბალახიც, ორივე ეს კი მიწის ზედაპირს ფესვებით ამგრებს და ჩამორეცხვის საშუალებას არ აძლევს³⁹.

ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად მოსახლეობა ემპირიულად გარკვეულ წესებს იცავდა ტყეში ხის მოჭრის დროს. უპირველესად, ხის მოჭრისას გათვალისწინებული იყო წელიწადის დრო, მთვარის ფაზები, მდებარეობა, ხის ანატომიური აგებულება და ა. შ. ამჯობინებდნენ უფრო „ხშირ“ ადგილებში ტყის შეთხელებას, რათა სხვა ნორჩი ხეებისათვის გაზრდის საშუალება მიეცათ გარდა ამისა სადაც „ხშირად“ მოდის ტყე, იქ საშეშე არ იზრდება „მხისპირის ჯობს, რადგან ცეცხლი კარგად ედება: არჩევენ ხნოვანებს, „ბებერს ეტყობა გაზრდილობაში, ძაყი არა აქვს, აჩირნილი კანი აქ, მარჯვედ იჭრება, ახალგაზრდას კი სალი, სუფთა“. „ბებერა“ ხეს საშეშედ არჩევენ. ხის მოჭრის ვადებს სეზონურად არჩევენ გამოყენების თვალსაზრისით „ზაფხულში წიყლის მოჭრა ჯობდა სამასაღელა, შემოდ-გომაზე – საშეშედ“. ხის მზარდობის მიხედვით, არჩევენ რომელი ხე იზრდებოდა შედარებით გვიან და მის მოჭრას ერიდებოდნენ მაგ. „კირცხლა გვიან იზრდება და ვერიდებით“, ასევე „ჩირდილში ჯობდა მოჭრა, იქ ხშირად მოდის ტყე, ვიდრე მხისპირში“. თხილის და არყის ხეები როგორც წესი მხოლოდ გაზაფხულზე იჭრებოდა სანამ ხე „გაიფოთლებოდა“, ძირშიც არ მოჭრიდნენ რათა „კელავ ანორჩების საშუალება მიეცათ“. ერიდებოდნენ ზრდასრული, დიდი ხეების მოჭრას. ახოს ალებისას სადაც თხლად იყო ტყე იმას შეარჩევდნენ, მაგრამ თუ ტყიან ადგილებში მოუხდებოდათ ახოს ალება, დიდ ხეებს ხელუხლებლივ დატოვებდნენ. არჩევენ „უწყლო“ და „წყლიან“ მცენარეებს, მაგ., სარო-ხიზაბაერას მასალებით, მოსახლეობა „ყიშლაზე“ ფერდა, უწყლო ადგილზე, ჭერამს აშენებს, „უწყლოდ კარგად ხარობს“, ხოლო დასაეღეთ საქართველოში ჭაობებზე ევკალიპტებს აშენებენ დასაშრობად.

³⁸ ჯ. რუხაძე, მიწათმოქმედების სისტემის ერთი მოდელი, გვ. 214.

³⁹ გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება ყუბაე-ხევისურეთში, თბ., 1963, გვ. 13-14.

მოსახლეობა პრაქტიკულ ცოდნას ამჟღავნებს ტყის მოვლის საქმეშიც. ცნობილია ტყის მოვლის სხვადასხვა სახეები: საზევე ტყეების დაცვა, გამოთხლება, გამოხშირვა, გამობერტყვა. ნიაღვარსაწინააღმდეგო ტყის ზოლები. „შახერებს“ იცოდნენ შემოდგომით: ხეებს დიდ ტოტებს მოაჭრიდნენ, პატარებს კი დაუტოვებდნენ, სიმაღლეში რომ წასულიყო.

გამოხშირვა ხშირ ტყეში იცოდნენ, ხსილ ტოტებს მოაცილდნენ, „ბებერა“ ხეებს მოჭრიდნენ, დაბლა ნაყარ ტოტებს დააგორავენდნენ ერთ ადგილზე. ჯგუფად მდგარ ხეებს „გამოთხლებდნენ“, სწორ „უკუერო“ ხეებს დატოვებდნენ და გარშემო ადგილს შემოუსუფთაებდნენ.

„გამობერტყვა“ ზამთარში ხდებოდა. დიდთოვლობას ხეებს თოვლს ჩამოაყრიდნენ და გაანთავისუფლებდნენ.

მიმართავენ აგრეთვე ნიაღვარსაწინააღმდეგო ტყის ზოლების გაშენების პრაქტიკას, რადგან საქართველოს პირობებისათვის განსაკუთრებით მახასიათებელი მოვლენა იყო წყლის მატების პერიოდში მდინარის ნაპირიდან გადმოსვლა. ამისათვის არჩევდნენ შესაყერის ხის ჯიშებს ტირიფი, რცხილა, ნერგი, კაკალი, განსაკუთრებით ფასობდა ნერგი „შიგვე აფოთლდებოდა და ბურჯივით დადგებოდაო“ აღნიშნავენ მთხრობელები.

არასასურველი ბუნებრივი მოვლენები თავიანთი დამანგრეველი ძალით ყოველწლიურად საგრძნობ ზიანს აყენებდნენ – დიდთოვლიანობის, ზეაქების, წყალდიდობების და ღვარცოფული ნაკადების სახით. ხშირად აუცილებელი ხდებოდა მოსახლეობის მამაპაპისეული საცხოვრებლიდან ორგანიზებული აყრა და შედარებით უსაფრთხო ადგილებში გადასახლება. ასეთ უშიშარ ადგილებად უპირატესად მცირე მდინარეებს აუზების შემოგარენს თვლიდნენ. აღნიშნულმა ღონისძიებამ მოშალა ტრადიციული დასახლების სურათი. მეორე მხრივ, მდინარისპირა დასახლებები ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ჩოხელთხევის (მთიულეთი) ტრაგედიის მიზეზად სწორედ არასწორ დასახლებას თვლიან⁴⁰. ახალმა დასახლებებმა არ გაამართლა. მაგ. სოფ. ქვემო მღეთა მალე იძულებული გახდა გადასახლებულიყო და უფრო საიმედო ადგილი მოენახა. ეთნოგრაფიული მასალებით, ოდითგან მოსახლეობა ერიდებოდა ჭალისპირზე დასახლებას. ცნობილია ხალხური თქმა „არ შეიძლება დასახლება საზოვეზე და ჭალისპირზეო“. ან „ზევესა და წყალს ანდრეზი არ უნდაო“. მიუხედავად ამისა, წინაპართა ტრადიციის

⁴⁰ ლ. სულაქველიძე, მდგომარეობა უკვე საგანგაშოა, საქართველოს ბუნება, 1989, № 6-7.

საწინააღმდეგოდ 60-იანი წლებიდან მოსახლეობა იწყებს ჭალისპირზე გადასახლებას, გუდამაყრის სოფლები გამსი, ჩოხი, კიტოხი და სხვ. დასახლებულია ჭალისპირზე და მუდმივ საფრთხეში იმყოფებიან. 90-იან წლებში დიდმა წყალდიდობამ წაღვეკა გუდამაყრის ახალსახლობა „ჭალის სოფლები“. მოსახლეობა აღელდა „არაგვი მოგვიხტაო“. სოფელის უხუცესმა ასე უპასუხა: „არაგვი კი არ მოგვიხტათ, თქვენ მოუხტით არაგვს“⁴¹.

ნიაღვარსაწინააღმდეგო ღონისძიებებიდან⁴² არაგვის ხეობაში აღსანიშნავია ფინჩის, ლატანის მარგილების დაწნა წყლის შესაჩერებლად *დაფიჩხვა*, *გოდორყურების*, *ჯებირების*, *ჯარჯის მშენებლობა*. გვიან შემოდგომით ან აღრიან გაზაფხულზე. სოფლების ხევისპირულ დასახლებებში, მდინარის აღიდების პერიოდში მთელი სოფელი განიცდის წაღვეკის საშიშროებას. მაგალითად, საშიშ ხეებად ითვლებოდა ფშავეში – კაწალხეურა, მადაროულა, თვალიურა, ჩარგლურა საქუხარათ ხევი, შარახეულა, ქალილოურა, ყოფჩიურა და ა. შ. ინფორმატორთა გადმოცემით, „წინაე ხალხი იცავდა სახოვეს, საწყლეს. წყალს ტყე თუ არ დახედა წაიღებს, ცოტა ხე თუა იმასაც მოთხროს და წაიღებს. ესეადგილები მამა-პაპით ეციით, ყველა თაე-საეის ტყე სცავდა. ესე იტყოდნენ სახოვეს და საწყლეს მოურიდებით, თორო საცხოვრებელი უპატრონოდ დაგრჩებათო“⁴³.

ღროთა განმავლობაში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძინა ეთნიკური ასპექტი. საქართველოს მთიანეთში ეკოლოგიურ კრიზისს მოჰყვა მოსახლეობის ხვედრიითი რაოდენობის შემცირება, ტრადიციული დარგების ნაწილობრივი ან მთლიანი მოშლა, დასაქმების რეგიონის შემცირება, ახალგაზრდობის მასიური მიგრაცია. ყოველივე ზემოთაღნიშნულის სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებული კავშირთა დაზიანების რღვევა. კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ ვითარებაში უმთავრესი ელემენტია გარემო, რომელიც საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს. მისი კრიზისი საზოგადოების კრიზისიცაა, რადგან იშლება სამეურნეო საქმიანობის არეალი. შემთხვევითი არ არის, რომ კონკრეტული რეგიონის სამეურნეო პრაქტიკა სათანადო შინაარსითა და ფორმით ჩამოყალიბებულია მოცემულ ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში. მის დარღვევას სავალალო შედეგები მოჰყვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური

⁴¹ საეველე მასალები, გუდამაყარი, 1999.

⁴² ეს საკითხები ამ ასპექტში დაყენებული და განხილული აქვს პროფ. მ. გეგეშიძეს, სარწყაევი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 32–35; ლ. ბერია შვილს, ნიადაგის ათეისების და დაცვის ტრადიციები საქართველოში, გვ. 73–78; ამიტომ დეტალურად მასზე არ შევამჩრდებთ.

⁴³ მთიულეთ-გუდამაყარი, საეველე მასალები, რეეული, №7–8, 1999 წ.

კრიზისის თანმდევი პროცესია მიგრაცია. ეკოლოგიურ კრიზისს გაურბიან მსლიანად სოფლები. ამიტომ იმრავლა ნასოფლარებსა და დაბერებულმა სოფლებმა, გულამყარში, ხეესურეთში, ხადაში. საშიშროების წინაშე დადგა მთისა და ბარის ურთიერთის შემადგენელი ბუნებრივ-სამეურნეო და სოციალური კავშირები, რომელსაც ივ. ჯაფარიძე ეწოდება მთლიანობისა და მუდმივი განვითარების ბაზად თვლიდა. დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებას მოჰყვა გაუსათვისწინებელი სოციალური შედეგები: ეთნიკური რუკის ცვლა, სიძნელეები ეთნომოწყობაში და ა. შ.

ამდენად, ეკოლოგიური კრიზისი საზოგადოებრივ, ე. ი. სოციალურ შინაარსს იძენს. ეკოლოგიური კრიზისის გადაჭრა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის თანაფარდობის, მეურნეობის ტრადიციული ფორმების და ამავე დროს მოსახლეობის შენარჩუნების საწინდარია.



მთიულეთი Mtiuleti Mtsuleti



არაბვის ხეობის თანამედროვე
ეკოლოგიური სურათი

ბერი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერება ფლობს ბუნებრივი რესურსების, მისი გამოყენების შესახებ მდიდარ ინფორმაციას და იკვლევს ბუნებათსარგებლობის პრობლემებს, მაგრამ როდესაც დედამიწის უდიდესი ნაწილი კულტურულ ლანშაფტმა და ბუნებრივ-ანთროპოგენულმა ეკოსისტემამ მოიცვა, დღის წესრიგში დადგა მისი შესწავლის საჭიროება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების მიერ¹. რამდენადაც სოციალური ეკოლოგიის ყველა სფეროში



სურ. 1. ჟინვალის წყალსაცავი ს. ანანურთან
რის. 1. Берг Жинвальского водохранилища у с. Анапури
1. Waterproof embankment near the village Ananuri

მეტნაკლებად ელინდება ეთნიკური თვისებები, ამ კუთხით ეთნოეკოლოგიური კვლევა პირველ რიგში უკავშირდება მოცემულ ეკოლოგიურ ნიშში ადამიანის კულტურული

¹ მ. სუტაშვილი, ბუნებათსარგებლობის საფუძვლები, თბ. 2000; გ. ქაჯაია, თანამედროვე ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები და გარემოს დაცვა, საქართველოს გარემოს დაცვა, I, ისუ, თბ., 1983;

ადაპტაციის გზით მიღებულ სამეურნეო ფასეულობათა გამოვლენას და ამ ფონზე ეკოსისტემების თანამედროვე სურათის დადგენას, ბუნებაზე საზოგადოების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ზოგიერთი ცვლილების მიზეზების გამოსაყვანად. ცნობილია რომ, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევების არასრულყოფილმა დანერგვამ გამოიწვია გლობალური ცვლილებები და დაარღვია ბუნებაში არსებული წონასწორობა, წარმოშვა კონფლიქტი ბუნებასა და საზოგადოებას შორის.

ეთნოეკოლოგიური კვლევის ძირითადი არეალია ეთნიკური კულტურა. მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ტრადიციებს, რომელიც გამართლებულია საუკუნოვანი გამოცდილებით და ინოვაციური პროცესებით.




სურ. 2. ჩაძირული ისტორიული „ბებრის ციხე“
рис. 2. Затопленный исторический памятник “Бебрисцихе”
2. Flooded historical monument “Bebris tsikhe”

გამოკვლევის ძირითადი მიმართულებაა, ერთი მხრივ, საკვლევი რეგიონის ლოკალური ბუნებრივი პირობების და ბუნებათსარგებლობის ტრადიციული კულტურის გამოვლენა, მეორე მხრივ – ბუნებრივ ანთროპოგენული პროცესები და მისი შედეგები ლანდშაფტზე, მოსახლეობაზე; მოსახლეობის შეხედულების გამოვლენა შექმნილ მდგომარეობაზე.

დაპირისპირებას ენერგეტიკის განვითარებასა და ბუნების დაცვას შორის ობიექტური საფუძველი აქვს, რადგან მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები და მარეგულირებელი წყალსაცავის მშენებლობა გარკვეულ გაელენას ახდენს გარემოზე. ამ ნაგებობებმა დაიკავეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობები, დატბორეს მომიჯნავე ტერიტორიები. მისი მახასიათებელი ნიშნებია: ჭარბტენიანობა, ახლომდებარე ტერიტორიების დატბობება, ნიადაგის ბიოლოგიური რეჟიმის შეცვლა-გამოფიტვა, მიწის ზედა ფენის დარღვევა². ხე-ტყის მასიურ ჭრას მოყვება ეროზია, დატბობება, დაბინძურება.

საკვლევ რეგიონში 1971 წ. დაწვებულ უინეაღჰესის მშენებლობას მოჰყვა საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია: ენებათლელეა და აზრთა სხეადასხეაობა.



სურ. 3. ჩაძირული კაკლის ხეები
 рис. 3. Затопленные ореховые деревья
 3. Flooded nut-trees

პროექტის მიხედვით შეიქმნა 101 მ სიმაღლის მიწაყრილიანი კაშხალი და წყალსაცავი ნახევარმილიარდზე მეტი კუბური მეტრის წყლის ტევადობით. ჰიდრო-

² საქართველოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები, სტატისტიკური კრებული, თბ. 1997, გვ. 15.

კვანძის აგებასთან დაკავშირებით მოიშალა ძველი სამიმოსელო გზა და დაიწყო ახალი საგზაო მშენებლობა. დატბორვის ზონაში მოექცა ბაღები, სასოფლო-სამეურნეო მიწები და მთლიანად სოფლები: უინვალი, გუდრუხი, ავენისი, ნეძიხი, ნაწილობრივ ანანური. სოფ. ციხისძირი ჭალამდე, ხოლო ფშაეის არაგვის ხეობაში სოფ. თვალიეის ჭალამდე. ასევე დაიტბორა ხორხის ხეობის ქვედა ნაწილი. ახალი გზის მშენებლობის არეში და დატბორვის ზონაში მოექცა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები: ბრინჯაოს, გეიანანტიკური და შუასაუკუნეების ხანის სამაროვნები, ნამოსახლარები, ციხეები, კოშკები, ეკლესიები და ა.შ. დაზიანდა არა ერთი საყურადღებო არქიტექტურული ძეგლი. მაგალითად, მშენებლობის ზონაში მიმდინარე აფეთქებებმა საკმაოდ დააზიანა არაგვის ერისთავთა რეზიდენცია – XVII



სურ. 4. ჩაძირული ბუჩქნარი
 рис. 4. Затопленный кустанник
 4. Flooded bushes

ს. ანანურის უნიკალური კომპლექსი, თავისი გალანით, კოშკებითა და ეკლესიებით. მშენებარე გზამ დააზიანა ცნობილი ანატორის სამაროვანი ხეესურეთში. ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთისკენ მიმავალმა გაზსადენის მშენებლობამ დააზიანა,

დანაგვიანა არაგვის ხეობა და ეროზიული საშიშროება შეუქმნა ხეობის მთელს სიგრძეზე განლაგებულ მთის დამრეც კალთებს, რომელსაც მოსახლეობა საძოვრებად და ნაწილობრივ სასოფლო მეურნეობისათვის იყენებდა.

მშენებლობის პროცესები გამოიხატა როგორც ლანდშაფტების, ისე მისი კომპონენტების ფიზიკურ განადგურებაში. ტყისა და მდელოს ლანდშაფტების ტექნოლოგიურმა შემცირებამ გამოიწვია ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების კატასტროფული გაძლიერება (მეწყერი, ზეაეი), რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო გრუნტის უზარმაზარი მასის გადაადგილებას.

ლანდშაფტის სტრუქტურის რღვევამ განსაზღვრა აქ ლეარცოფის საშიშროების გაძლიერება. სოფ. ჩოხელთა (1989 წ.) და ნალეარევი (1991 წ.) ნიაღერის მსხვერპლი



სურ. 5. სოფ. გუდრუხის ახალსახლობა
рис. 5. с. Гудрухи на новом месте- новопоселение
5. New settlement of the village Gudrukhi

გახდა. 1976 წ. ხევსურეთის არაგვის ხეობაში ერთდროულად ყველა ფერდობიდან წამოსულმა ზეაეებმა მთლიანად გადაფარეს და გაანადგურეს სოფ. დათვისი. ზეაეებს გაექცა სოფ. ქე. მლეოთას მცხოვრებნი; ასეთივე მდგომარეობაა ხადის, მთიულეთის, ფშაეის ხეობებში.

ბუნების დესტრუქციის თანამედროვე პროცესებმა შექმნეს არაგვის ხეობაში დესტაბილიზირებული ბუნებრივი სიტუაცია, მაქსიმალურად გაშიშვლებული ფერდობებით.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ხელოვნური წყალსაცავი შენელებული წყალსვლით ვიწრო კანიონისებურ ხეობაში იწვევს ჰიდროლოგიური რეჟიმის



სურ. 6. წყალდიდობის შედეგი სოფ. გუდრუხში
рис. 6. Последствия ливневя и селя, с. Гудрухи
6. Flood consequences in the village Gudrukhi

ცვლილებას, ამასთან წყლის ზედაპირის ზრდასთან ერთად იზრდება ჰაერის აბსოლუტური და შეფარდებითი ტენიანობა, რამაც შესაძლებელია გააქტიუროს ეკოლოგიური ძვრები.

საშიშროებას აძლიერებს ისიც, რომ არაგვი თავისი ჩქარი მოძრაობის გამო დიდძალ ქვა-ლორღს ითრევს თან, რასაც შეიძლება წყალსაცავის ამოვსება მოჰყვეს. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, წყალსაცავის ავსებას მოჰყვება გარშემო მდებარე ბოსტნების, ხეხილის ბაღების, საეარგულების დატბორვა, ნაპირის გადარეცხვა. ამიტომ სისტემატურად მიმდინარეობს ნაპირის იძულებითი ამაღლება ანანურის მისადგომებთან.

არაგვის ხეობაში ეკოლოგიური სიტუაციის გამოსაწესად საკელეე ლაბორატორიად შერჩეულ იქნა ერთი კონკრეტული ტერიტორიის ერთეული სოფლები, მოსახლეობის სტაბილური შემადგენლობით. დაკვირებაში გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები: 1. დაკვირების ადგილი (ენოგრაფიული ველი); 2. დაკვირების ობიექტი (ბუნება, ეკოსისტემები); 3. დაკვირების საგანი და 4. დაკვირების მეთოდი.

დაკვირების პირველწყაროს წარმოდგენს ინფორმაცია, რომელიც მიღებულია უშუალო გამოკითხვის წესით, სპეციალურად შერჩეული პროგრამა-კითხვარის



სურ. 7. სოფ. ნეძიხის ახალსახლობა
 рис. 7. с. Недзихи - новопоселение
 7. New settlement in the village Nedzikh

მეშეუბით; ჯვარედინად, ცალკეულ პატარა თუ დიდ სოციალურ ერთეულებში – ოჯახში, უბანში, სოფელში და ა.შ. ინტენსიურად საკელეე ტერიტორიაზე. შეკითხვები შემოიფარგლა წყალსაცავის, ტყეების, ნიადაგის, სახნავე-სათიბების, კლიმატის, მოსახლეობის მდგომარეობის აღწერით მათ

საცხოვრებელ ადგილზე, მუშაობის პირობებზე, სიცოცხლის უზრუნველყოფელ მენეტებზე. შემდეგ მოხდა შეგროვილი მასალის გაშიფრვა, სისტემაში მოყვანა და საკვლევი მატრიცის მომზადება. შედარებით მეთოდის საშუალებით პრობლემის მიხედვით დაჯგუფდა ცალკეული თემები პრობლემების მიხედვით, რომლის შეჯამებამ გამოაქვინა მოსახლეობის აზრი რეგიონში შექმნილ ეკოლოგიურ სიტუაციაზე.

აშკარაა, რომ მოსახლეობა ეკოლოგიურ პრობლემებს მიიჩნევს სერიოზულ და შემაშფოთებელ მოვლენად.



სურ. 8. „გზა“ სოფ. ნეძიხისკენ
Рис. 8. „Дорога“ к сел. Недзихи
8. Access “road” at the village Nedzikh

გამოკითხვის ანალიზით ეკოლოგიური დარღვევებისათვის ნიშანდობლივია: კლიმატის ცვლილება, წვიმისა და ღრუბლიანი დღეების სიხშირე. ტერიტორიის დაქანება, ეროზია, მეწყერი, მიწისა და ტყის მოწყვეტა ფერდობებიდან, ზედაეობისა და ნიაღვრების გახშირება, მცენარეთა და ცხოველთა რიგი სახეობების გადაშენება, ტყეების განადგურება, მთებზე მცენარეული საფარის შემცირება, ქვეწარმავლების გამრავლება.

სოციალური მნიშვნელობის პრობლემებიდან ასახელებენ: სოფლების დაცარიელება, ახალგაზრდობის მიგრაცია, შობადობის შემცირება, ტრადიციული სამეურნეო სისტემის მოშლა, უმუშევრობა, შიმშილობა, ელექტროენერჯის უქონლობა.

მოსახლეობის აზრი უინვალუის შესახებ უარყოფითია. მას თვლიან ძირითადად ეკოლოგიური კრიზისის, გარემოს დეგრადაციის გამომწვევ მიზეზად. მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ დაპყარგეს სახნაე-სათესი მიწები. მაგ., სოფ. ციხისძირის სახნაე-სათესი მიწები დაიკაეა ანანურის ახალსახლობებმა, რამაც სოფელი სულ უმიწოდ დასტოეა. მძიმე მდგომარეობა დაეაფიქსირეთ „დატბორილი სოფლების“ ახალმოსახლეობაში, რომელიც



სურ. 9. სოფ. ანანურის ჩაძირული სახლები
Рис. 9. Затопленные жилые дома в с. Ананури
9. Flooded dwelling house in the village Ananuri

გადაყეანილია ახალ საცხოერებლებზე. მაგ., სოფ. გუდრუხის მოსახლეობა გადაყეანილია ხეის პირას, ქეა-ლორიდან ადგილზე. ნეძიხი კი ისე მოწყეტილია, რომ სხეეა სოფლებს მხოლოდ ნაეით უკაეშირდება.

მოსახლეობის ყოფით პრობლემებს თან ერთვის სოციალური და სულიერი კრიზისიც, რომლის განეითარეებაში მნიშვნელოეან როლს ასრულებს ენერგეტიკული

რესურსების მოშლა. მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედოა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაუსაქმებელი. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გამო, ენერგოკრიზისის მოხსნის მიზნით სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს საერთოდ ჰესების აგების შესახებ მოსახლეობა უნდობლად უყურებს, რადგან მათი აზრით, ასეთი ტიპის ჰესებმა პრაქტიკულად არ გაამართლა, შედეგად კი ბუნებრივი გარემოს განადგურება მოჰყვა.

ინფორმატორების მასალის შეჯერებამ საკვლევე რეგიონში წარმოაჩინა შემდეგი ეკოლოგიური მახევნებლები:



სურ. 10. სოფ. ანანურის ჩაძირული სახლები
Рис. 10. Затопленные жилые дома в с. Ананури
10. Flooded houses in the village Ananuri

1. უინვალქსის წყალსაცავის ამუშავების ორი ათეული წლის შემდეგ გაუარესდა კლიმატური პირობები, იმატა ზეგებმა, დაშლილი ქანების ცვენამ, რის გამოც ახალი გზა შატილის მიმართულებით ხშირად დაკეტილია.

2. გაზაფხულზე, წყალსაცავში წყლის მომატებასთან დაკავშირებით იტბორება მიმდებარე სოფლების საეარგულები, რიგ შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთებამდე, დაჭაობდა ანანურთან მიმდებარე ტერიტორიები;

3. უინვალპესმა ვერ გადაწყვიტა რეგიონის ენერგეტიკული კრიზისი, რამაც განაპირობა ტყის დიდმასშტაბიანი შემცირება და მასში დამკვიდრებული განუკითხაობა.

ყოველდღიური ცხოვრების სოციალ-ეკონომიკურმა კრიზისმა გაზარდა ინდივიდების პირადი ინიციატივა. განურჩევლად ყველამ დაიწყო ტყის ჭრა, რასაც დამატა გარკვეული სტრუქტურებისა თუ კერძო პირთა მიერ ხე-ტყის ექსპორტი, რომელთაც დიდი მასივების გასატყრელად გამოიყენეს უალრესად დესტრუქციული მეთოდი, როგორიცაა მისასვლელი გზების დინამიტებით აფეთქება, მძიმე ტრაქტორების ტყეში შეყვანა და ა.შ.

4. მოიშალა მთელი რიგი ტრადიციული სამეურნეო დარგები.



სურ. 11. ტყის დაუნდობელი ჩეხვა
Рис. 11. Искусственное (Варварское) истребление леса
11. Wood cutting down

მთიან რეგიონში ეკოლოგიურ კრიზისს აძლიერებს გზის და გაზის გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომელიც იმედგეროულად არ ითვალისწინებს ბუნების დამცველ ღონისძიებებს. მაგალითად, ფუშაეში დაცულია III ათასწლეულის უნიკალური წიწვოვანი ჯიში ურთხელი|უთხოვარი (*Taxua bacc Z*) 20 ძირი. ამჟამად

გზის გაყენისას დაზიანებულია 6 ძირი, ფესვიანად ამოგდებულია 5 ძირი. გზის მშენებლობისას დაზიანებულია სოფ. ციხისძირის კადოეთის ტყის ასწლოვანი წიფლის ხეები და ა.შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი სატყეო მეურნეობები, ეკოლოგიური პოლიცია ნაკლებ ყურადღებას აქცევენ არსებულ ვითარებას.

5. ტყის განადგურებას თან სდევს დინამიური პროცესები საზოგადოების სოციალურ სფეროშიც: ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას, საარსებო არეს შემცირებას მოჰყვა ფართო მიგრაციული პროცესები მთიდან-ბარში, რაც იწვევს მთის დაცარიელებას, საქალაქო და სასოფლო ცენტრების განვითარების პროცესის დისბალანსს, რომლის შემდგომ წარმოიშვა ე.წ. „ნასოფლარები“ (ადგილობრივ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პირობებში ისტორიულად ჩამოყალიბებული და განვითარებული საცხოვრებლების ნაშთები).



სურ. 12. ექსპორტისთვის დაწუნებული ხე
 Рис. 12. Забракованное дерево для экспорта
 12. Export rejected tree

6. სატყეო მეურნეობების გატაცებამ – გატყეებული ადგილების განაშენიანებისათვის სწრაფმზარდი ფიჭვის გაშენება – არ გამართლა. იგი დიდთოვლობას

ვერ უძლებს და 15-20-წლიანი ნაზარდი ფიჭვი მოჰლიანად გადატეხა ან ფესვიანად ამოაგდო. ფერდობები კელაე გატყევებულია.

ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ელემენტებიდან მოსახლეობა გამართლდებულად მიიჩნევს: ფერდობების გატყიანებას, მდინარისპირა ნიადაგის მცენარეულით გამაგრებას, ფერდობების დატერასებას, საძოვრების ზომიერად დატეირთვას, ხენათესებას ფერდიან ადგილებში, ქარსაცაევი ზოლის პრაქტიკას, ტყის დაცვის ტრადიციულ წესებს.

მოსახლეობა ტყის სასიცოცხლო მნიშვნელობას აფასებს შემდეგი მაჩვენებლებით: ტყე იცავს დასახლებულ პუნქტს ქარისაგან, თოელის ზეაეების, ნიაღვრებისაგან, ამაგრებს ნიადაგს, იცავს მეწყერისაგან, ქმნის ჯანმრთელ მიკროკლიმატს და ა.შ.



სურ. 13. დიდველზე გაჩეხილი ასწლოვანი პანტნარი, მთიულეთი
Рис. 13. Вырубленный столетний лес дикой груши
у Озера Дидвели, Мтиулети

13. Felled centennial pear-tree on the glade, Mtiuleti

გაუტყეურობის შედეგებში ხედაეს ეროზიის შედეგად გააქტიურებულ მიწის დეგრადაციას, მცენარეულის მოსპობას, დაჭაობებას და კლდოვანი ხრამების

წარმოშობას, მეწყერების, კლდეზეუების, ღვარცოფების გააქტიურებას, მიწის რესურსების და მოსავლიანობის შემცირებას.

მოსახლეობის აზრით, ამ მოვლენებით გამოწვეული შედეგები ურთულეს პრობლემებს უქმნის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. სიკვდილიანობის მაღალმა კოეფიციენტმა



სურ. 14. ტყის დაუნდობელი ჩეხვა
Рис. 14. Варварское истребление леса
14. Feelled wood

ტრადიციული სამეურნეო საქმიანობით ქმნიდა მთურ კულტურას, ასახული სამეურნეო, მატერიალურ და სულიერ კულტურაში.

გადაატარა შობადობის მაჩვენებელს. რაც მოსახლეობის საერთო კლებაში აისახა. ასევე შესამჩნევია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი დაბერება. შემცირებულია ისტორიულად მომდინარე სამეურნეო სისტემების წარმოება, რაც იწვევს მოსახლეობის საარსებო არეს შემცირებას, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, დისბალანსს მოსახლეობის მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას შორის.

ზემოთაღნიშნულ პროცესებს მოყვება მთაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკოკულტურული სისტემის მოშლა. შედეგია მთიანეთის დაცარიელება. ეს მაშინ, როდესაც ისტორიულად საქართველოს მთაათასწლეულების მანძილზე

ცნობილია, რომ ნებისმიერი წყალსაცავი, მიუხედავად იმისა, რომელ კლიმატურ ზონაში შენდება, ზრდის სინოტივეს, ზამთრის ტემპერატურას და სხვ. წყალსაცავების მიერ კლიმატზე ზემოქმედებაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თვით სპეციალისტებს შორისაც. აღსანიშნავია, რომ მაღალმთიანი რეგიონების კლიმატთა შესწავლის სიზუსტე, დაბლობ რაიონებთან შედარებით, გაძნელებულია სიმაღლისა და რთული რელიეფის გამო, რადგანაც მეტეოროლოგიურ სადგურთა მშენებლობა აქ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.



სურ. 15. წყალდიდობის შედეგი
 Рис. 15. Последствия наводнения
 15. Flood results

რეგიონში კლიმატის ცვლილების შესასწავლად დაგუბებამდე და მის შემდეგ საჭირო გახდა მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების გაცნობა, რადგან მეტეოროლოგიური ელემენტები წლიდან წლამდე დიდ რყევას განიცდიან და ამ რყევათა კანონზომიერების დადგენა მდიდარ სტატისტიკურ მასალას მოითხოვს. სამწუხაროდ, მეტეოროლოგიური სადგურების მუშაობა საკელეე რეგიონში შეჩერებულია. ამდენად ეყვრდნობით 1990-იან წლების მონაცემებს³.

³ ნ. ხიდაშელი, დუშეთის რაიონის მეტეოროლოგიური სადგურის 1987-1990 წ.წ. მონაცემები, თბ., 1990. (ხელნაწერი).

დუშეთის რაიონი მოქცეულია კონტინენტურ სუბტროპიკულიდან სუბტროპიკულ კლიმატზე გარდამავალ ოლქში. რაიონისათვის დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, ნალექების ორი მაქსიმუმით წელიწადში, აქ მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია და წლიური მონაცემების მიხედვით 2000–2200 სთ-ია, უმზეო დღეთა რიცხვი წელიწადში 50 დღეა გუდაურში, ხოლო დუშეთში – 43.



სურ. 16. წყალდიდობის შედეგი
Рис. 16. Последствия наводнения
16. Flood results

საკელევი რეგიონი გამოირჩევა ტემპერატურის ამპლიტუდების სიდიდით (დუშეთი 22–23°, ფასანაური, მღეთა, ბარისახო, ბურსაჭირი, წინხადუ 24–20°), რაც მიუთითებს ამ მხარის კლიმატის კონტინენტურობაზე. ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა, ცივი კიანვარი.

სინოტივის რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს ტყის საფარი, რელიეფი და ადგილმდებარეობა.

საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე მერყეობს 71%-დან 81%-ის ფარგლებში. უდიდესი სინოტივით ხასიათდება ჯერის უღელტეხილი 81%, ხოლო უმცირესი 71% კი დუშეთი.

დანესტიანების კოეფიციენტი სიმაღლეზე საგრძნობლად მატულობს; წლიური მსველელობა ყველაზე ერთნაირი არ არის, მაქსიმუმი სხვადასხვა დროსაა, მინიმუმი კი – აგვისტოში.

ნალექების წლიური ჯამი მერყეობს 681 მმ-დან 1503 მმ-ის ფარგლებში. ნალექების დიდი რაოდენობა მოდის ჯერის უღელტეხილზე 1503 მმ. ნაკლები

ნალექიანობით ხასიათდება დუშეთი 681 მმ, უინვალი 682 მმ. მაქსიმუმი არის ზამთარში, მინიმუმი – გაზაფხულზე.

საკელევე რეგიონში უნიკალური ბუნებრივი პირობებია, რომელიც ძალზე მგრძობიარეა ეკოლოგიური დარღვევების მიმართ. სულ მცირე ცვლილებამ შეიძლება რეგიონისათვის შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს. სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნულია, რომ კავკასიონზე ადგილი აქვს ტემპერატურის



მატებას 1958–1967 ათწლეულში⁴, რამაც გამოიწვია ამ რეგიონში დათბობის პროცესის შემდგომი გაგრძელება. კერძოდ, წყალსაცავი მოქცეულია ვიწრო ხეობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჩაკეტილი ცირკულაცია, აქ არსებულ ისედაც მაღალ სინოტივეს ემატება წყალსაცავიდან აორთქლებული ტენი, რაც იწვევს ნალექიანობის გაზრდას. ეს კი თავის მხრივ ზედმეტად ატენიანებს ნიადაგს და სათანადოდ იზრდება აორთქლება. ნიადაგის ზედმეტი დატენიანება წარმოქმნის მეწყერს, დატბორევებს, რასაც წყალსაცავებიდან გადმოსული წყლის გარდა გარკვეული წილი ნალექების ზრდასაც მოუძღვნის.

მოსახლეობის დაკვირვებით, საგრძობლად გაიზარდა ნალექების რაოდენ-

სურ. 17. გზის გაყვანისას დაზიანებული ურთხელი, ფშავი
 Рис. 17. Загубленное тиссовое дерево при прокладки дорог, Пшави
 17. Yew-tree damaged during road building

⁴ დ. მუშლაძე, კლიმატის თანამედროვე ცვლილება საქართველოს მთიან რეგიონში. კრებული: საქართველოს გარემოს დაცვა, თსუ გამომცემლობა. თბ., 1992, გვ. 17.

ნობა მთიულეთში, რაც იწვევს მთის კალთების ჩამორეცხვას. ნიადაგის ჩამორეცხვას თან სდევს მდიდარი ნიადაგური ფერის აუნახლაურებული დანაკარგი. ეროზია ბუნებრივად ეთარღება. პერიოდულად მოსული ნალექების დროს ირეცხება და უსარგებლოდ იკარგები ზედა, ჰუმუსითა და აზოტით მდიდარი ფენები, ხოლო მის ადგილას გერჩება გადარეცხილი, უნაყოფო ნიადაგი. მეწყერი მოძრაობს ტენიან პერიოდში, საფხულში მისი ზედაპირი შრება, სკდება და ნაპრალებდა. მას თან სდევს ღრანტების, ხრამების, გრუნტის ჩაქცეების, ციცაბო ფერდობების კედლების წარმოქმნა.

კლიმატის ცვალებადობას აბრალებს მოსახლეობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასაც. როგორცაა, გულის იშემური და პიპერტონიული დაავადებების გამწეება, რემმატიზმი, ასტმური მოვლენები და ა.შ.

წყალსაცაეების რთული და მრავალმხრივი გავლენა გარემოზე, კერძოდ კლიმატზე, ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავილი არ არის, თუ არ მივიღებთ ამ მიმართულებით არსებულ ზოგიერთ გამოკვლევას⁵. წყალსაცაეების მშენებლობის შესახებ განსხეეებული აზრი არსებობს მშენებლებისა და მოსახლეობის. მოსახლეობა უჩივის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას: კლიმატის ცელილებას, სოფლების დატბორეას, ფლორისა და ფაუნის განადურებას, სოფ. ანანურთან ნაპრალის დაწეას, მეწყერის გააქტიურებას, ანანურის ციხესიმაგრეს წყლის შედგომას, მისი და სახლების კედლების დანესტიანებას, ხოლო სინესტის ზრდასთან ერთად დაავადებების გაზშირებას.

მშენებლები თელიან, რომ წყალსაცაეების პროექტირებისას გათვალისწინებული იყო ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის პიდროლოგიური, პიდროგეოლოგიური, პიდრობიოლოგიური პირობები, ხოლო მოსახლეობის შეფოთებას თელიან მათ ფსიქიკაზე ტექნონატროპოგენული ფაქტებით გამოწეული ე.წ. შიშის სინდრომით⁶, მაგრამ არ უარყოფენ დატბორეასთან დაკავშირებით, კლიმატის ცელილების და პაერის სინოტივის ზრდას⁷.

გეოფიზიკური მოვლენების ზეგავლენასთან დაკავშირებით მეცნიერება ბიომეტეოროლოგია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმზე მეტეოროლოგიური

⁵ Элизберашвили Ш., Хеладзе Т.В., Сообш. АН ГССР, т. 136, № 2, 1989; Кобышева Н.В., Наровлянский Г.Я., Климатическая обработка метеорологической информации, Л., 1978; Гагуа Г.И., Мумладзе Д.Г., Влияние водохранилища на микроклимате, Сообщения Академии наук Грузии, 145, №1, 1992.

⁶ ბ. გაგუა, დ. მუმლაძე, წყალსაცაეის გავლენა მიკროკლიმატზე, საქართველოს მეცნ. აკადემიის შოამზე, 145, № 1, 1992, გვ. 114.

⁷ ბ. გაგუა, დ. მუმლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

ფაქტორების გაეღენას სწავლობს, მრავალრიცხოვანი დაკვირვების საფუძველზე ადგენს, რომ მეტეოროლოგიური ფაქტორების ცვლილებებთან მჭიდროდ არის



სურ. 18. ირაციონალური საშუალებით
გადარჩენილი ურთხელის ხე ფშავში
Рис. 18. Спасенное иррациональным
способом тиссовое дерево
18. Yew-tree preserved by traditional
means in Pshavi

სფერულ მოვლენებზე (ტემპერატურა, სინოტივე, მზის რადიაცია, ჰაერის დაბინძურება). განსაკუთრებით მაშინ როდესაც ტრადიციულ გარემო პირობებსა და შეჩვეულ მეტეოროლოგიურ პირობებში ხდება სერიოზული ცვლილებები.

⁸ მ. წო წო რ ი ა , ბუნების მოვლენების გაეღენა ადამიანის ფსიქონერეულ მდგომარეობაზე, უურნ. ადამიანი და ბუნება, 1980, № 6.

დაკავშირებული რიგ დაავადებათა გამწვავებანი. მაგ. ცუდ ამინდში რევმატიზმის გამწვავება, გულის შეტევების გახშირება, დეპრესია, ფსიქოზი და ა.შ. ამგეარად, ბუნების მოვლენები (ეგზოგენურ ფაქტორებს) და ორგანიზმის შინაგან გარემოს შორის გარკვეული მიზეზობრივი კავშირი არსებობს. ისინი კორელაციაში და დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფებიან⁸.

ცნობილია რომ, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს ადამიანის ადაპტირება კლიმატთან, ამინდთან. რაც ელინდება ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებში, ბინათმშენებლობისას, საკვების წარმოებისას. იგი ცხოვრების წესს უსადაგებდა გარემო პირობებს და კლიმატურ პირობებს. ადამიანი ფიზიოლოგიურად რეაგირებს განსაზღვრულ ატმო-

1955 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილებების შემსწავლელი სახელმწიფოთა შორისო ექსპერტების ჯგუფმა თავის მეორე მოხსენებაში „კლიმატის ცვლილებების შესახებ“ გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ „Совокупность имеющихся свидетельств дает основание предположить, что деятельность человека заметно влияет на глобальный климат“⁹.

თანამედროვე პირობებში უფრო და უფრო მტკიცდება შეგნება იმისა, რომ კლიმატის ცვლილება, გაეყენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც.

ამრიგად, საქართველო, მდიდარი წყლის რესურსებით, ენერგეტიკის განვითარების საშუალებას იძლევა, მაგრამ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულ უნდა იქნას ბუნებრივი ეკოლოგიური პირობების დაცვისა და კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ემპირიული ეკოლოგიური ცოდნის გამოცდილება. იგი მწვავედ იჩენს თავს ეკოლოგიური კრიზისის შედეგად გამოწვეულ დარღვევებში, რაც ანადგურებს საქართველოს მთიანეთს. პრობლემას ამწვაეებს ის გარემოებაც, რომ ეკოლოგიურ დარღვევებთან პირდაპირ კავშირშია ხალხის ცხოვრება, მისი ფიზიკური და სოციალური გადარჩენა.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას არსებული ეკოლოგიური კრიზისის გამომწვევი მიზეზების სიმრავლის გამო აღნიშნული პრობლემების მარტივად გადაწყვეტა, სათანადო ეკოლოგიური ექსპერტიზის გარეშე რეალობას მოკლებულია. უპირველესად გამოკვლეულ უნდა იქნას ჰაერის მოქმედების შედეგი, რაც უშუალო კავშირშია მის პარამეტრებთან (ფართობი, მოცულობა) და წინასწარ გათვალისწინებულ იქნას შესაძლებელი უარყოფითი შედეგები: სოფლების, სათიბების, საეარგულების, სახლების, ისტორიული ძეგლების და ა.შ. დატბორვის რადიუსი, ეკოსისტემების განადგურების შედეგები.

ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას ხალხური ეკოლოგიური ცოდნაც, დამყარებული კონკრეტულ სამეურნეო გეოგრაფიულ პირობებში მიკროკლიმატის, მიკრორელიეფის, ნიადაგის, ტყის კულტურების შესახებ და სხვა ბუნებისდაცვითი ღონისძიებები, რომელთანაც დაპირისპირება წარმოშობს ეკოლოგიურ კრიზისს და დინამიურად მოსახლეობის უკმაყოფილებას.

⁹ Погода, климат и здоровье, Всемирная метеорологическая организация, Женева, Швейцария, 1999, გვ. 16.

მოსახლეობის შეხედულება რეგიონში
შემხნილ ეკოლოგიურ სიტუაციაზე
МНЕНИЯ НАСЕЛЕНИЯ ОБ ЭКОЛОГИЧЕСКОМ
ПОЛОЖЕНИИ РЕГИОНА
THE POPULATION'S VIEWS ON THE CURRENT
ENVIRONMENTAL SITUATION IN THE REGION



სურ. 1. „რალა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს,
ნიაღვარი წამიღებს ან ზამთარში ზოვი“

Рис. 1. “Грош цена моей жизни, то ливень угрожает,
то снежные обвалы”

1. “My life is not worth a penny: sometimes downpour
threatens it, sometimes snowslips.”



სურ. 2. „შიწა უკვე სკდება და ხეებიანად მოდის. მალე ალბად სოფელს დაეცემა თავზე“. სოფ. ბუქურები

Рис. 2. “Почва вся в расщелинах, оползневая, вместе с деревьями перемещается вниз, скоро сотрет с лица земли деревню”. с. Букуреби

2. “There are clefts in the ground everywhere, and landslips often happen, the ground moves together with trees and will soon wipe out the village”. Village Bukurebi

სურ. 3. „ნახეთ სად გადმომასახლეს – ნანიაღერაღზე. განა აქ ცხოვრება შეიძლება? მერე რა სავსე სოფელი დავტოვეთ. გავნადგურდით ხალხი“
სოფ. გუდრუხი

Рис. 3. “Разве здесь можно жить? Куда нас переселили? Ливнями искромсанная местность. А какую богатую деревню пришлось покинуть?! Мы на краю нищеты”.
С. Гудрухи

3. “Can one live here? Where have we been settled? Downpours have shred the locality. And what a village had we to leave! We are now on the verge”. Village Gudrukhi





სურ. 4. „თქვენ ჩვენი სოფელი ნახეთ რა დღეშია. გზაც კი აღარ გვაქვს მისასვლელი. ერთი დამტვრეული ნავით გადავდივართ ზაფხულობით“. ს. ნეძიხი

Рис. 4. “Да вы посмотрите, в каком состоянии наше село, нет никакой дороги, кроме одной поломанной лодки. Вот на ней и переправляемся летом”.

с. Недзихи

4. “Just look what a condition the village Nedzikhi is in: there is no fit road but the only broken boat - that is our means to ferry across in summer”. Village Nedzikhi

სურ. 5. „ზვავმა ჩემი სახლი დაიტანა. სახლი აღარ მაქვს. შეფარებული ვარ საბჭოს ძველ შენობაში“.
სოფ. ჩოხი

Рис. 5. “Снежный обвал обрушился на мой дом. Нет другого жилья, вот и живу в старом здании сельсовета”.

С. Чохи

5. “The snowslip has fell on my house. I have no other dwelling - so that I live in the old building of village administration”. Village Chokhi



სურ. 6. „ამ მთებში ძველიეს დავედივარ, აბა რა ვქნა, საქონელი როგორ გამოვკვებო“ სოფ. კიტოხი

Рис. 6. “Трудно по этим горам ходить, а другого выхода нет, иначе скот без корма останется”. сел. Китохи
6. “It is difficult to walk through these mountains but there is no other way, otherwise our live-stock remains without forage”. V. Kitokhi



სურ. 7. „უინვალქესმა არაფერი კარგი არ მოგვცა, არც დენი, არც სამუშაო. სამაგიეროდ კლიმატი შეიცვალა, სულ წვიმს და ღრუბლიანი დღეებია. განა აქ არ დავობადე და გაეზარდე? როგორი იყო, არ მახსოვს განა? ყველა ავადმყოფობს, სახსრები აწუხებთ, სახლში ნესტია, ლოგინიც ნესტიანია“ სოფ. ქვეშეთი

Рис. 7. “Ничего хорошего Жинвалгэс не принес нам, нет ни электричества, ни работы. Зато климат изменился, все время облачно и дожди зачастили. Да здесь я родился и хорошо помню, что было. Сейчас все болеют, в суставах ломает, сыро в домах, на сырой постели спим”. С. Квешети

7. “The Zhinvali power station has given us nothing good, we have neither electricity, nor job. But the climate has changed instead: the weather is always cloudy and often it rains. Wasn't I born here? Don't I remember how it was here before? Nowadays, all people are permanently ailing; they experience rheumatic pains in their joints, it is damp in the houses, and we sleep in damp beds”.

Village Kvesheti

სურ. 8. „გეპირდებოდნენ დაგუბება თქვენთვის სასიკეთოაო. ეხლა რაღას გვეტყვიან? წვიმამ, ნესტმა, ნიაღვარმა გაანადგურა ჩვენი სახლებიც“.

სოფ. ციხისძირი

Рис. 8. “Обещали, что затопление принесет добро, а что вышло? Дожди, сырость и ливни уничтожают даже дома”.

С. Цихисдзირи

8. “They promised us that the flood would be good to us but it turned out quite different. Rains, dampness and down-pours have destroyed even the houses”.

Village Tsikhisdziri



სურ. 9. „ტყე სულ განადგურდა. ჯერ ჰესის მშენებლობისას, მერე ხალხი შეესია. იმას კი ვერ ფიქრობენ უტყეოდ რა უნდა იყოს ჩვენი სიცოცხლე, ტყე სოფელსაც უნდა, ცოცხალსაც და მკვდარსაც. ცოცხალი იმით ცოცხლობს, მკვდარი იმით იმარხება“.


სოფ. გუდრუხი
Рис. 9. “Погибли леса, сперва строительство гэса уничтожило,

а затем и народ вырубил. Да не думают, какая без леса жизнь, лес нужен и живому человеку, и мертвому- покойника лесом хороним, и живой без него не обходится”.

С. Гудрухи

9. “The woods have been annihilated - firstly, they were destroyed during the power station construction and then people cut them down. People do not realize that there is no life without woods - both alive and dead people need the woods, we use woods when we bury the deceased and no alive person manages without them”.

Village Gudrukhi



სურ. 10. „აბა რა არის ჩემი ცხოვრება. ორი კომლილა დაერჩით სოფელში, ახალგაზრდობა აღარ ჩერდება. სინათლე ჩვენ არა გვაქ და საჭმელი. ბავშვების ხმა რო აღარ ისმის კვდარია სოფელი აბა რა” სოფ. იუხო.

Рис. 10. “Что это за жизнь? Несколько дымов осталось, молодежь уезжает, нет света, продуктов, не слышны голоса детей, а иначе и деревне жизни нет”.

С. Иухо.

10. “What a life I am dragging on! There are few houses only remained in our village, young people go away, there is neither electricity, nor foodstuff and no children’s voices are heard in the village - but then there is no life in the village”.

Village Iukho

სურ. 11. „ძველად ერთმანეთის გაგება გვქონდა, ერთმანეთს ვეხმარებოდით, თქვენც აგრე იცხოვრეთ შვილებო და აღარ გაგიჭირდებათ”.

სოფ. გუდრუხი

Рис. 11. “Раньше друг друга понимали, помогали. Живите и вы так, будет легче”.

Сел. Гудрухи

11. “There is good understanding and mutual assistance among people before - live on so, it will be easier”.

Village Gudrukhi





ხევსურეთი Khevsureti Хевсурети



გუდამაყარი Gudamakari Гудамакари



სურ. 12. „დაინგრა ბუნება, მეწყერმა ჩვენი მთები სუ ქვა-ლორღად აქცია. აი იმ ხევიდან წამოვიდა ზოვი, და დაიტანა სოფელი“. სოფ. ქვემო მლეთა

Рис. 12. “Уничтожена природа. Оползни превратили наши горы в кучу камней и щебня. Вон, с того ущелья обвалы падают, обрушились на деревню и разгромили”.

Сел. Квемо Млета.

12. “The nature has been annihilated. The landslips have turned out our mountains into a heap of stones. Look, there is a gorge where the landslips come from, they fell on the village and destroyed it”. Village Kvemo Mleta

სურ. 13. „სად წავიღო ჩიტის ბუდე“

Рис. 13. “Куда деть птичье гнездо?”

13. “Where shall I put this bird’s nest?”



ВВЕДЕНИЕ

Проблеме взаимосвязи природно-географической среды и этноса как социокультурного феномена сегодня придается особое значение. Ускоренные темпы развития цивилизации вызывают резкие изменения в биосфере, что со своей стороны вызывает разрушение экосистемы. Вопрос сохранения и защиты экологической стабильности на земле становится первостепенной задачей человечества. Именно поэтому дошедшая до нас народная традиция природопользования имеет, помимо научного, и огромное практическое значение.

Этноэкологическое исследование природопользования дает возможность изучить этнос и окружающую его среду как определенную совокупность - этнокультурную систему, сформировавшуюся в конкретных природно-географических условиях и проявляющуюся в результатах трудовой деятельности. Исследование подобного характера дает возможность изучить в процессе развития общества проблемы взаимоотношения природы и общества, в котором участвует этническая культура со значительным хозяйственно-материальным и социально-культурным опытом, а также народные навыки познания и использования природы, что позволяет выявить многообразие и особенности традиционной системы жизнеобеспечения общества по отношению к той природной среде, в которой жил и развивался данный этнос.

За последнее десятилетие в Грузии наблюдается острый социально-экономический и экологический кризис. Следует отметить, что старые проблемы нарушения баланса между обществом и окружающей средой предстают в более обостренной форме, чем раньше. Это дает возможность четко осознать ту опасность, которую влечет за собой с одной стороны низкий уровень экологического сознания общества, его потребительская психология и равнодушие, с другой же - пренебрежение многовековым опытом местного населения, его обычаями и навыками.

Сохранение экосистемы страны требует участия в нем общественности, ибо положение критическое - налицо тяжелые последствия экологического кризиса, который постепенно нарастает и с которым непосредственно связан экономический аспект. Жизнь людей, их физическое и социальное выживание во многом зависят от экологической обстановки окружающей среды и природоохранной деятельности. Ухудшению экономического положения населения сопутствует духовный и социальный кризис, в развитии которого

значительную роль играет уменьшение энергоресурсов. В результате остановлена значительная часть производства, растет безработица. К предложенным государством рекомендациям по строительству микро-ГЭС с целью снятия энергокризиса население относится с недоверием, т.к. уже действующие такого типа ГЭС не показали себя на практике с положительной стороны и вызвали уничтожение природы.

Целью предлагаемого проекта является изучение дисбаланса отношений общества с окружающей средой, экологического кризиса и его влияния на рельеф, климат, флору, фауну, хозяйственный и экономический потенциал общества со всеми последствиями.

Объект исследования - искусственное водохранилище, комплекс хозяйственных сооружений - "ЖинвалГЭС", построенный в гористой местности, а именно в Арагвском ущелье, со станцией мощностью в 400 мегаватт, предназначенный для водоснабжения городов Тбилиси и Рустави.

Строительство гидроэлектростанции ЖинвалГЭС начали в 1971 году. Согласно проекту, была сооружена насыпная плотина высотой в 101 метр и водохранилище емкостью более чем полмиллиарда м³ воды. Т.к. строительство гидроэлектростанции вызвало разрушение старой дороги, начали прокладывать новые. В зоне затопления оказались села: Жинвали, Гударехи, Ананури (частично), Авениси, Недзихи. Строительство охватило территорию с археологическими памятниками средневековья, погребениями позднеантичного периода; пострадали и повреждены ряд значительных исторических памятников, в частности, памятник старины - Анатори (на дороге к Муцо); прокладка дорог повлекла за собой вырубку леса, кустарника; взрывы создали опасность эрозии крутых склонов гор.

Создавшаяся ситуация выявляет следующие экологические показатели:

